ბიბლიოთეკა

პრეზიდენტი

განიხილეს მიმდინარე საკითხები

17 აპრილს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი დიტერ ბოდენი.

შეხვედრაზე იმსჯელეს იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც ხორციელდება რამდენიმე დღის წინათ აფხაზთა მიერ ტყვედ აყვანილი მეთევზეების განთავისუფლებისათვის. განიხილეს, აგრეთვე, გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომისათვის მზადებასთან დაკავშირებული საკითხები.

შეხვედრაში მონაწილეობდა განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი მალხაზ კაკაბაძე.

საქინფორმი.

კონტაქტები

მეცნიერთა მსოფლიო ფედერაცია საქართველოში საქმიანობის გაფართოებას აპირებს

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძისადმი გამოგზავნილ წერილში მეცნიერთა მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტი, პროფესორი ანტონინო ზიკიკი მიესალმება საქართველოში მეცნიერთა მსოფლიო ფედერაციის საქმიანობის ახალ მიმართულებათა ერთობლივად წამოწყების შესაძლებლობებს.

„საქართველოში, თქვენი რეკომენდაციების შესაბამისად, დაარსდა და წარმატებით ხორციელდება მეცნიერთა მსოფლიო ფედერაციის ეროვნული სტიპენდიების პროგრამა. 2001 წლის სტიპენდიები 10 ახალგაზრდა მეცნიერს დაენიშნა. ამჟამად ისინი საქართველოსათვის უმნიშვნელოვანეს კვლევითს ამოცანებსა და პროექტებზე მუშაობენ," – ნათქვამია ანტონინო ზიკიკის წერილში.

მეცნიერთა მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ეს ორგანიზაცია აპირებს უფრო მეტი დახმარება გაუწიოს საქართველოს სამეცნიერო წრეებს.

„არსებულ საჭიროებათა შესასწავლად, ვფიქრობთ, თბილისში მოვავლინოთ დიპლომირებული ინჟინერი კლოდ მანოლი, რომელიც შეხვდება სამეცნიერო წრეების თვალსაჩინო წარმომადგენლებს, ეწვევა ინსტიტუტებს და შეისწავლის ახალი საქმიანობის წამოწყების შესაძლებლობებს," – ნათქვამია წერილში.

საქინფორმი.

რეპლიკა

თურმე „ჰაილ შევარდნაძე" ყოფილა და არ გვცოდნია!

რაშინდ დანასისხლად იყო, მოწინააღმდეგეს ისეთი რამ არ უნდა დააბრალო, რაც არც მას და, რაც მთავარია, თვით შენ არ გეკადრება.

ვუსმინე ორშაბათს ღამის „კურიერში" პარლამენტარ გიორგი თარგამაძეს და ერთობ უსიამოვნო გრძნობა დამეუფლა.

არა, განა იმიტომ, რომ იგი ოპოზიციის სამრეკლოდან განიხილავდა ყველა საკითხს და მკაცრად აკრიტიკებდა ხელისუფლებას, პრეზიდენტს.

ოპოზიცია იმისია, საერთო საქმის სასიკეთოდ კრიჭაში უნდა ედგეს ხელისუფლებას, გასაკრიტიკებელი უნდა გააკრიტიკოს, სამხილებელი უნდა ამხილოს.

ის კი არა, მისი ის ნათქვამიც მომეწონა, პრეზიდენტის გუნდის წევრებისაგან განსხვავებით, ჩვენ, „აღორძინების" წევრები, ჩვენს ლიდერს პრესითა და ტელევიზიით კი არ ვაკრიტიკებთ და ვაქილიკებთ, არამედ კოლეგიურად ვმსჯელობთ მისი თანდასწრებით მწვავე საკითხებზე.

იხ. მე-3 გვ.

ჩვენი გაზეთი ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/sakartvelos-respublika

გასულ კვირაში ჩვენს გაზეთს ინტერნეტით გაეცნო 12420 მკითხველი. მათ შორის, 73% აშშ-დან, 22% – საქართველოდან.

„დილა ამ გაზეთის გადაშლით დაიწყეთ..." ი. ჭავჭავაძე

საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

გაზეთი დაარსებულია 1919 წელს, აღდგენილია 1990 წელს. №91 (3832) ოთხშაბათი, 18 აპრილი, 2001 წელი. ფასი 50 თეთრი.

ვიზიტი

ირანი დაინტერესებულია აქტიური თანამშრომლობით

16 აპრილს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია ოთხდღიან ოფიციალურ ვიზიტად ეწვია ირანის ისლამურ რესპუბლიკას.

თეირანის მეჰრაბადის აეროპორტში ზურაბ ჟვანიას დახვდნენ ირანის ისლამური რესპუბლიკის მეჯლისის თავმჯდომარე ქარუბი, მეჯლისის პრეზიდიუმის წევრები, სხვა ოფიციალური პირები.

დახვედრის საზეიმო ცერემონიის შემდეგ გაიმართა პრესკონფერენცია. ორი ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს ლიდერებმა უპასუხეს ჟურნალისტთა შეკითხვებს.

იმთავითვე გამოიკვეთა, რომ ირანის ისლამურ რესპუბლიკას სურს და მზად არის ფართო სპექტრის თანამშრომლობა დაამყაროს საქართველოსთან. ამ ვიზიტისადმი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ გავლენიანი პოლიტიკოსები, ექსპერტები და ჟურნალისტთა კორპუსი.

იხ. მე-2 გვ.

გთავაზობთ

თავად ჩვენმა მკითხველმა განსაჯოს

დღევანდელ ნომერში გთავაზობთ ამ დღეებში გახმაურებულ ორ პუბლიკაციას – გაზეთ „ვაშინგტონ პოსტში" გამოქვეყნებულ მასალებს საქართველოს შესახებ, რომელთა ავტორები არიან ჟურნალისტები პიტერ ბეიკერი და ჯიმ ჰოგლანდი.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ პიტერ ბეიკერის რეპორტაჟისათვის ინფორმაციის ძირითადი წყაროა ბაზრობა, სადაც ჩვენი მოსახლეობის სოციალურად ყველაზე უფრო დაუცველი ნაწილია კონცენტრირებული. არავინ უარყოფს, რომ ამ ხალხს უამრავი პრობლემა აქვს, მაგრამ ქვეყნის პრეზიდენტის ან ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ ერთადერთ და უტყუარ საბუთად ბაზრობაზე მიღებული ინფორმაციის გამოყენება დაახლოებით იმას ნიშნავს, რომელიმე ქართველმა ჟურნალისტმა ამერიკის პრეზიდენტის შესახებ მასალები ჰარლემში რომ მოიძიოს, ან ბრიტანეთის ხელისუფლების ავკარგიანობის მესაფასებლად რესპონდენტები საქვეყნოდ ცნობილ ჰაიდპარკში ეძებოს. სამწუხაროა და გასაკვირი, რომ ისეთმა ცნობილმა და ავტორიტეტულმა გამოცემამ, როგორიც „ვაშინგტონ პოსტია", თავის ავტორს არ მოსთხოვა პუბლიკაციაში მოტანილი ინფორმაციების სხვა წყაროს მიხედვით შემოწმება. სხვა გარემოებათა გარდა, რომელთა ჩამოთვლასაც არ შევუდგებით, ობიექტურ მკითხველს ეს ერთი ფაქტიც კი უტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ეს პუბლიკაციები შემთხვევით არ მიჰყვა ერთმანეთს...

საგულისხმოა, რომ ბეიკერის „ციტირებული" სიტყვების ავტორად გამოცხადებული ეუთოს ელჩი ჟან-მიშელ ლაკომბი კატეგორიულად უარყოფს იმას, რომ პუბლიკაციაში გამოყენებული ციტატა მის მიერ არის ნათქვამი (იხ. დღევანდელი ნომრის მე-3 გვ).

იხ. მე-3 გვ.

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2001 წლის 17 აპრილი ქ. თბილისი

ენდრიუ ათენსის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს მოსახლეობისათვის სამედიცინო და ჰუმანიტარული დახმარების ორგანიზებაში, ქართველ მედიკოსთა კვალიფიკაციის ამაღლებაში, ბერძნული სამედიცინო ცენტრის დაარსებასა და ქართველ და ბერძენ ხალხებს შორის მეგობრობის განმტკიცებაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისათვის საზღვარგარეთის ელინიზმის მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტი ენდრიუ ათენსი დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

წერილი ენდრიუ ათენსის შესახებ იხ. მე-7 გვ.

სხვისი თვალით

ჯიმ ჰოგლანდი

გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი" (აშშ) 12 აპრილი

შევარდნაძის გაწონასწორების პოლიტიკა

ედუარდ შევარდნაძემ შეუწყო ხელი მსოფლიოში კარდინალურ ცვლილებათა განხორციელებას, ათი წლის წინათ თამამად მოუღო ბოლო საბჭოური იმპერიის იდეოლოგიურ საფუძვლებს და ცივი ომის მემკვიდრეობას. ახლა ეს ცვლილებები შევარდნაძის წინააღმდეგ იწყებს შემობრუნებას. იგი ცდილობს გაუმკლავდეს მათ შედეგებს თავისი დათრგუნული ერისათვის, თანაც ისე, რომ არ დაკარგოს თავისი სახე.

შევარდნაძე არ ნანობს იმას, რაც მან საგარეო საქმეთა მინისტრად და მიხეილ გორბაჩოვის პარტნიორად ყოფნისას გააკეთა საიმისოდ, რომ მოეღო ბოლო სსრ კავშირის არსებობისათვის. „მთელი მსოფლიო განთავისუფლდა ბირთვული არმაგედონის საფრთხისაგან", – ამტკიცებს იგი.

„მაგრამ, ვერ ვიტყვი, რომ ქართველები ახლა თავს უფრო უსაფრთხოდ გრძნობდნენ", – დასძინა მან. დეზინტეგრაციის ჯაჭვურმა რეაქციამ მოსკოვიდან მის სამშობლომდეც მოაღწია. „ძნელი დასაჯერებელია, რომ ცივი ომის დასრულებიდან გასული ამდენი წლის შემდეგაც საქართველოს არ ექნებოდა უშიშროების გარანტიები".

იხ. მე-3 გვ.

პიტერ ბეიკერი

გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი" (აშშ) 14 აპრილი

დასავლეთისთვის გმირს, შინ კი დამნაშავე შევარდნაძეს ქართველები გაჭირვებისკენ მიჰყავს

ხათუნა ალავერდაშვილის ნახვა ბაზარზე ყოველთვის შეგიძლიათ. ის დახლთანაა დახრილი და სალათის ფოთლებსა და ხახვს ყიდის. ძირითადად ორ ან სამ ლარს (დაახლოებით 1-1,5 დოლარს) იღებს. მას ძლიეძლივობით გააქვს თავი და იცის, თუ ვინ უნდა დაადანაშაულოს: პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.

„რა გააკეთა მან"? – ამბობს სიძულვილით, – „ჭამით მარტო შევარდნაძე და მისი ამხანაგები ჭამენ, ჩვენ არ ვჭამთ".

ეს აზრი სუფევს მთელ ბაზარში, რომელიც სავსეა უმუშევარი ინჟინრებით, მასწავლებლებით და მსახიობებით, თავის გადასარჩენად ქუჩა-ქუჩა საქონლის გასაყიდად სიარული რომ დაიწყეს. 50 წლის ალავერდაშვილი გაავთრებულია, სხვები მის გარშემო იკრიბებიან, თანხმობის ნიშნად თავს უქნევენ, თანაც აგულიანებენ. ქალი დანას მუქარით იქნევს ჰაერში. საბედნიეროდ, ეს კარაქის საჭრელი დანაა, მაგრამ მისი მრისხანება სამართებელივით ბასრია.

„იარაღი რომ მქონდეს, მოვკლავდი", აცხადებს იგი.

იხ. მე-3 გვ.

გიხაროდენ!

„უხვმოსავლიანობაა" ორთაჭალასა და დიღმის დასახლებაში

წელიწადზე მეტია ჩვენი გაზეთის პირველი გვერდიდან „გიხაროდენ"! მრავალ ოჯახშია სიხარულის შემტანი. თითქმის ყოველი ნომრიდან გაუწყებთ რამდენი მოქალაქე ემატება საქართველოს. ჩვენც სიხარულით ეხვედებით ქალაქიდან, რაიონიდან, სამშობიარო სახლებიდან მოწოდებულ თითოეულ ცნობას.

ორთაჭალაში მდებარე დავით ქორიძის სახელობის №4 სამშობიარო სახლიდან (მთავარი ექიმი დალი გაბიძაშვილი) მედდამ ტატა ხუჭუამ დაგვირეკა:

– 6 აპრილიდან 14 აპრილამდე ჩვენთან 67 ქალმა მოილოგინა – 30 გოგონაა და 37 ბიჭი – მათ შორის ერთი ტყუპი ქალ-ვაჟი.

დიღმის დასახლებაში მდებარე სამშობიარო სახლ „ორიონიდან" (მთავარი ექიმი დავით გაგუა) მეანგინეკოლოგმა ნანო მაისურაძემ გვაცნობა: – ჩვენთან 6 აპრილიდან 14 აპრილამდე 21 ბავშვი დაიბადა – 11 გოგონა და 10 ვაჟი, ყველა ჯანმრთელია!

გაიზარდონ!

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

კომენტარი

ეთიკა, რომელიც პარლამენტარს აკლია

„ვაშინგტონ პოსტში" გამოქვეყნებულ სტატიასთან დაკავშირებით, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ თეირანიდან, სადაც იგი ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება, სპეციალური განცხადება გააკეთა:

„საქართველოს პარლამენტის წევრის ვანო მერაბიშვილის მიერ „ვაშინგტონ პოსტში" გამოქვეყნებული მოსაზრებები, სცდება არა მხოლოდ პარტიულ, არამედ უბრალო ადამიანური ეთიკის ფარგლებს.

თუ ბატონ მერაბიშვილს მართლაც მიაჩნია, რომ იმ პარტიის ლიდერი, რომლის სიითაც იგი პარლამენტარი და მნიშვნელოვანი კომიტეტის წევრი გახდა, არის რეფორმების წინააღმდეგი, ამის შესახებ საუბრის დაწყება მას ბევრად უფრო ადვილად შეეძლო – უცხოური პრესის დახმარების გარეშე. ეს შემთხვევა ჩემთვის ადამიანურად ძალზე მტკივნეულია იმიტომ, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საქართველოში განხორციელებული ყველა რეფორმა, იქნება ეს სასამართლო, ეკონომიკის ლიბერალიზაციის, აგრარული, ჯანდაცვისა თუ სხვა, მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის აქტიური მხარდაჭერითა და მისივე ინიციატივით განხორციელდა.

თბილისში დაბრუნებისთანავე უმაღლესობის საბჭოს ვთხოვ, სასწრაფოდ შევიკრიბოთ და ძალიან პრინციპულად ვიმსჯელოთ, როგორც ამ შემთხვევაზე, აგრეთვე, იმ ტენდენციებზე, რომელთა გამოხატულება ეს გამონათქვამები არის", – განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ.

პარლამენტის პრესსამსახური.

ოფიციალურ ვიზიტად

ჟაიმე ჟოსე მატოს და გამა – ეუთოს მომავალი მოქმედი თავმჯდომარე, პორტუგალიის სახელმწიფო და საგარეო საქმეთა მინისტრი

დაიბადა 1947 წელს ქ. ასორესში. დაამთავრა ლისაბონის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი.

1975 წელს აირჩიეს პარლამენტის წევრად. სხვადასხვა დროს იყო სამინაო საქმეთა მინისტრი, საგარეო საქმეთა მინისტრი.

1992-95 წლებში იყო სოციალისტური პარტიის საპარლამენტო ჯგუფის თავმჯდომარე. 1995 წლის ოქტომბრიდან საგარეო საქმეთა მინისტრია.

ბატონი გამა არის სოციალისტური პარტიის დამფუძნებელი წევრი, არჩეულია მისი პოლიტიკური კომიტეტის წევრად. იყო ჩრდილოატლანტიკური და ეუთოს საპარლამენტო ასამბლეებში პორტუგალიის დელეგაციების საგარეო კომიტეტების თავმჯდომარე. ამჟამად არის საგარეო ურთიერთობისა და თავდაცვის საკითხებზე აკადემიური კვლევის ინსტიტუტის ასოცირებული წევრი, უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა სპეციალობის სტუდენტებისათვის უძღვება სემინარებს სტრატეგიული საკითხების შესახებ.

ჰყავს მეუღლე და ვაჟიშვილი.

დღეს იგი თბილისში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოდის.

სიტუაცია

დაკარგული დრო და კისერზე დადებული უღელი

როგორ გაუშვეს ხელიდან ჩვენმა ფინანსისტებმა რუსეთის ვალის დროულად გადახდის რეალური შანსი

ამბავი, რომელზეც დღეს ვისაუბრებთ თითქმის ჩავლილია – პარიზის კლუბში საქართველომ საგარეო ვალების გასტუმრების 20 წლით გადავადება შესძლო.

არადა, საქართველოს, როგორც დოკუმენტებით ჩანს, მანამდე რუსული ვალის ნაწილის ლაფარეის რეალური შესაძლებლობა ჰქონდა, მაგრამ შანსი ვერ გამოიყენა.

„ჭკუა სიმდიდრის ფლობაში კი არა, მის გამოყენებაშია", – ამბობდა და ამ პრინციპით მოქმედებდა ნაპოლეონი. ჩვენი ფინანსისტები, ეტყობა, სხვაგვარად ფიქრობენ.

მაინც, რა შანსის ხელიდან გაშვებაზეა საუბარი?

იხ. მე-2 გვ.

განცხადება

სასამართლოს ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად

საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია, ხელმძღვანელობს რა სასამართლო ხელისუფლებისა და თითოეული მოსამართლის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის განმტკიცების, საქართველოში ობიექტური და მიუკერძოებელი მართლმსაჯულების დამკვიდრების ინტერესებით, ამასთან, გამოხატავს რა ასოციაციაში გაერთიანებულ მოსამართლეთა პოზიციასა და სულისკვეთებას, უფლებამოსილია განაცხადოს:

იხ. მე-4 გვ.

ინფორმაცია

დღეს საავიაციო ქარხანაში

დღეს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე თბილისის საავიაციო გაერთიანებას ეწვევა და ქართველი სპეციალისტების მიერ ისრაელის ფირმა „ელბიტთან" ერთად მოდერნიზებული მოიერიშე თვითმფრინავის – СУ-25-ის პრეზენტაციას დაესწრება, იუწყება „იფრინდა".

СУ-25 როგორც ტექნიკური, ისე საბრძოლო პოტენციალის მხრივ შეესაბამება ნატოს სტანდარტებს. პირველი გამოცდის შემდეგ, მოიერიშე თვითმფრინავი გაიგზავნება საფრანგეთში ლებურჟეს ყოველწლიურ საერთაშორისო ავიაგამოფენაზე.

შეხვედრა ვლადიკავკაზში

ხვალ ვლადიკავკაზში გაიმართება ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების ფარგლებში მოქმედი შერეული საკონტროლო კომისიის სხდომა.

სხდომის შედეგების საფუძველზე, შესაძლოა, ხელი მოაწერონ რეგიონის ეკონომიკური რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამას, რომლის ძირითადი პრინციპები მხარეებმა უკვე შეათანხმეს.

გაიმართება პოლიტიკური მოლაპარაკება სამხრეთ ოსეთის სტატუსის თაობაზე. ვარაუდობენ, რომ ქართული მხარე კვლავ დააფიქსირებს პოზიციას სამხრეთ ოსეთის ავტონომიის არარსებობის შესახებ.

სემინარზე აშშ-ში

სახელმწიფო კანცელარიის უფროსი პეტრე მამრაძე აშშ-ს მთავრობის მიწვევით ამერიკაში გაემგზავრა, იუწყება „იფრინდა".

ვაშინგტონში ვიზიტისას, პეტრე მამრაძე მონაწილეობას მიიღებს სემინარში კრიზისული სიტუაციების მოგვარების საკითხებზე, რომელიც 24 აპრილამდე გაგრძელდება.



წუხელ ევროპის სტადიონებზე

გაიმართა ჩემპიონთა ლიგის საპასუხო მეოთხე ფინალური მატჩები. გაუწყებთ მათ შედეგებს:

„ვალენსია" – „არსენალი" 1:0 (1:2);

„დეპორტივო" – „ლიდსი" 2:0 (0:3).

ინფორმაციები მოგვაწოდა იფრინდამ.

უკანასკნელ საათს

ხუთინ პარიზის შარლ დე გოლის აეროპორტიდან აფრინდა და მარსელში დაეშვა ზებგერითი სამგზავრო თვითმფრინავი „კონკორდი". ეს არის პირველი საცდელი რეისი შარშანდელი კატასტროფის შემდეგ.



სპეციალისტების აზრით, „კონკორდი" კვლავ შეასრულებს რეგულარულ რეისებს ევროპასა და აშშ შორის.

უკრაინის უმაღლესმა რადამ მიიღო კომუნისტებისა და ცენტრისტების მოთხოვნა გაიმართოს ვიქტორ იუშჩენკოს მთავრობისადმი ნდობის ვოტუმის პროცედურა.

საპასუხოდ პრემიერ-მინისტრის 2000-ზე მეტმა მომხრემ პარლამენტის წინ აქცია გამართა.

ამინდი დღეს

დასავლეთ საქართველოში

დაბლობში: ღამით +3+8; დღისით +18+23.

მთაში: ღამით +1+6; დღისით +12+17.

აღმოსავლეთ საქართველოში

ბარში: ღამით +4+9; დღისით +16+21.

მთაში: ღამით 0+5; დღისით +11+16.

თბილისში

ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ.

ღამით +7+9; დღისით +19+21.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრი.

ლარის კურსი

18 აპრილიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:

ინგლისური გირვ.	1	2.9376	ლარი
გერმანული მარკა	1	0.9282	ლარი
აშშ დოლარი	1	2.0400	ლარი
ევრო	1	1.8154	ლარი
რუსული რუბლი	1	0.0707	ლარი

ინტერპანორამა

მოყვარული გერმანელი მფრინავი მატიას რუსტი, რომელმაც თავის დროზე მოსკოვში, წითელ მოედანზე მსუბუქი თვითმფრინავი დასვა, 176 მარკის ღირებულების ქიშმირის სვიტერის მაღაზიიდან მოპარვის მცდელობისთვის დააკავეს. ვარაუდობენ, რომ მას ჯარიმას გადაახდევინებენ მხოლოდ.

დიუსელდორფში ააფეთქეს თურქეთის გენერალური საკონსულო. ანონიმური ზარის მიხედვით, ეს ტერორისტული აქტი ორგანიზებულია ისლამური ფუნდამენტალისტების მიერ თურქეთის ციხეებში პატიმრების მდგომარეობის გაუმჯობესების მოთხოვნით.



ჩინეთმა დაიწყო ალიგატორების ექსპორტი. ათი წლის წინათ კი რეპტილიების ეს სახეობა გადაშენების პირას იყო.

შპს მაგთიკომი
MAGTICOM Ltd

მაგთი MAGTI GSM

შპს „მაგთიკომი" იცავს თავის საქმიანობაში აბსოლუტური გამჭვირვალობის პრინციპს და გაწვდით ინფორმაციას კომპანიის მიერ საქართველოს ეკონომიკაში შეტანილი წვლილის შესახებ.

2001 წლის აპრილში – შპს „მაგთიკომის" ამ წვლილმა ყოველგვარი ჩათვლის გარეშე შეადგინა – 1,496,857.93 ლარი, ხოლო 2001 წლის განმავლობაში (აგრეთვე ყოველგვარი ჩათვლის გარეშე) – 5,199,022.57 ლარი, აქედან:

	2001 წლის აპრილი	2001 წლის 4 თვის განმავლობაში
საქართველოში მომუშავე უცხოელ იურიდიულ პირთა შემოსავლის დაბეგვრა 10%	42, 000.00	101,697.43
დღგ	850, 000.00	3,403,210.00
საშემოსავლო გადასახადი	60,000.00	226,910.00
ქონების გადასახადი	80,000.00	161,300.00
ქონების გადაცემისათვის გადასახადი	7,000.00	14,565.75
სამეწარმეო საქმიანობის გადასახადი	134,000.00	256,500.00
საგზაო ფონდი	158.680.00	268,180.00
სოცდაზღვევის გადასახადი	85,000.00	339,400.00
საბაჟო გადასახადი	- - -	92,049.53
დასაქმების გადასახადი	3,000.00	12,140.00
ჯანდაცვის გადასახადი	12,000.00	48,340.00
დარიცხული პროცენტების დაბეგვრა	226.93	7,455.07
რეკლამის გადასახადი	10,000.00	42,960.00
ადგილობრივი მოსაკრებლები	681.00	10,681.00
კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში საქმიანობის მარეგულირებელი ეროვნული კომისია	54,270.00	213,633.79
სულ	1,496,857.93	5,199,022.57

შპს „მაგთიკომში" დასაქმებულია 388 ადამიანი.

შპს „მაგთიკომი" მუშაობს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ბაას-ის) მიხედვით.

გიორგი კიკნაძე, შპს „მაგთიკომის" გენერალური დირექტორი.

„საქართველოს რესპუბლიკა" – ავიაკომპანია „აირზენა-საქართველოს ავიახაზების" თვითმფრინავებში.

№ 91. ოთხშაბათი, 18 აპრილი, 2001 წელი.

ვიზიტი

ირანი დაინტერესებულია აქტიური თანამშრომლობით

(პირველი გვერდიდან)

მოგვიანებით მეჯლისის სასახლეში ზურაბ ჟვანიასთან შეხვედრისას, რომელმაც პროტოკოლით გათვალისწინებულზე მეტ ხანს გასტანა, ქარუბმა აღნიშნა, რომ ირანში პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძისადმი სრულიად განსაკუთრებული პატივისცემა და დამოკიდებულებაა. აქ დღესაც კარგად ახსოვთ ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის საგარეოპოლიტიკური უწყების ხელმძღვანელის იმ დროისათვის უპრეცედენტო შეხვედრა ირანის ისლამური რესპუბლიკის ლიდერთან აიათოლა ჰომეინისთან, ედუარდ შევარდნაძის პირადი წვლილი ირან-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ჩიხიდან გამოყვანის პროცესში.

— თანამედროვე მსოფლიოში რეგიონული თანამშრომლობა განაპირობებს და განსაზღვრავს მიმდინარე პროცესებს. კავკასიასა და ცენტრალური აზიის რეგიონში საქართველოს თავისი გეოპოლიტიკური ფუნქციის გამო დიდი როლი და მისია ეკისრება, ჩვენ დაინტერესებული ვართ საქართველოსთან აქტიური თანამშრომლობით. ირანის ისლამურ რესპუბლიკაში თქვენი ვიზიტი, ოფიციალური თეირანის აზრით, მნიშვნელოვანი მოვლენაა, რომელიც, დარწმუნებული ვართ, ახალ ელფერს შესძენს ორი ქვეყნის ურთიერთობას,— განაცხადა ქარუბმა.

თანამშრომლობის პერსპექტივებზე საუბრისას აღინიშნა, რომ სახელმწიფოთა კეთილ ნებასთან ერთად არსებობს მყარი საკანონმდებლო ბაზა.

სხვადასხვა მიმართულებით ურთიერთობანი დინამიკურად ვითარდება, თუმცა სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის მაჩვენებელი არანაირად არ ასახავს ორი ქვეყნის პოტენციალს. ითქვა, რომ ამ ვითარების გაუმჯობესების მიზნით მხარეებმა უახლოეს მომავალში პრაქტიკული ნაბიჯები უნდა გადადგან.

ზურაბ ჟვანიამ თავის კოლეგას ერთობლივი საპარლამენტთაშორისო ფორუმის გამართვის იდეა შესთავაზა, რამაც ირანის მეჯლისის თავმჯდომარისა და საქართველოს პარლამენტთან თანამშრომლობის მუდმივმოქმედი დელეგაციის წევრთა დიდი მოწონება დაიმსახურა. აღინიშნა, რომ ამგვარი ფორუმი, რომელიც სისტემატურად და მონაცვლეობით გაიმართება საქართველოსა და ირანში, ხელს შეუწყობს სახელმწიფოთა თანამშრომლობის გააქტიურებას.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შეხვდა ირანის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრს ნამაზის.

— საქართველოსთან სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ. თქვენი ვიზიტი ურთიერთობათა გააქტიურებას ახალ სტიმულს მიანიჭებს,— განაცხადა ირანის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა.

აღინიშნა, რომ ორი ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის მკვეთრი გააქტიურებისათვის უკვე ძალიან მოკლე პერიოდში კონკრეტული პროექტები უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების, ისე ბიზნესმენთა და ექსპერტთა აქტიური მონაწილეობით.

განისაზღვრა პრიორიტეტული მიმართულებანი და დაისახა კონკრეტული ამოცანები — ერთობლივი ეკონომიკური კომისიის მუშაობის გააქტიურება, ორმხრივი სახელშეკრულებო სამართლებრივი ბაზის დახვეწა, ინვესტიციათა ხელშეწყობა, ერთობლივი საწარმოების შექმნა, ცალკეულ საწარმოთა თანამშრომლობის განვითარება, სატელეკომუნიკაციო სისტემების ერთობლივი პროექტების შემუშავება, თანამშრომლობის გააქტიურება მრეწველობის, საჰაერო და საავტომობილო ტრანსპორტის, ჯანმრთელობის დაცვისა და ფარმაცევტული წარმოების დარგებში.

რაც შეეხება ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის განვითარებას, „საამისოდ სასურველია შეიქმნას ინფრასტრუქტურა“,—აღნიშნა ზურაბ ჟვანიამ და მასპინძელთა მხარეს სავაჭრო პალატის შექმნის იდეა შესთავაზა, რომელიც მალე პრაქტიკულად განხორციელდება.

სატრანსპორტო დერეფანზე საუბრისას პარლამენტის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ „ევრაზიის ხიდის“ დასავლეთ-აღმოსავლეთის მიმართულება უკვე მუშაობს, ახლა ჩრდილოეთ-სამხრეთის მიმართულებაც უნდა ამუშავდეს, რამიც ირანს დიდი როლი და მნიშვნელობა ენიჭება.

პარლამენტის თავმჯდომარემ გვირგვინით შეამკო აიათოლა ჰომეინის მავზოლეუმი.

გვიან საღამოს ზურაბ ჟვანიას პატივსაცემად საქართველოს საელჩოში დარბაზობა გაიმართა. პარლამენტის თავმჯდომარე შეხვდა ქართველ სტუდენტებს, რომლებიც ამ ქვეყნის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრებში ეუფლებიან პროფესიას.

17 აპრილს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია პრეზიდენტის სასახლეში შეხვდა ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტს სეიდ მოჰამედ ჰ ათამის, საგარეო საქმეთა სამინისტროს სტუმართა საპატიო დარბაზში კი — ირანის საგარეო საქმეთა მინისტრს ხარაზის. დაგეგმილია ზურაბ ჟვანიას შეხვედრები ბიზნესმენთა წარმომადგენლებთან.

პარლამენტის პრესცენტრი-საქინფორმი.

თანამეგობრობა

მომავალში შეიძლება გაუქმდეს სავიზო რეჟიმი საქართველოსა და რუსეთს შორის

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის აღმასრულებელმა მდივანმა იური იაროვმა, რომელიც ვიზიტად იმყოფება ბიშკეკში, 17 აპრილს განაცხადა, რომ „მოქალაქეთა გადაადგილების სავიზო რეჟიმი თანამეგობრობის ქვეყნებს შორის არ იქნება შემოღებული“.

ჟურნალისტებთან საუბრისას მან თქვა, რომ გაივლის „გარკვეული დრო“ და სავიზო რეჟიმი რუსეთსა და საქართველოს შორის გაუქმდება... ამასთან იგი ირწმუნებოდა, რომ რუსეთის ფედერაციის მხრივ „ეს იყო იძულებითი ღონისძიება“, მაგრამ „ნამდვილად დროებითი“. ი. იაროვმა აღნიშნა, რომ თანამეგობრობის სხვა მონაწილე სახელმწიფოებს შორის შეთანხმება მოქალაქეთა უვიზო გადაადგილების შესახებ „მოქმედებდა და კვლავაც იმოქმედებს“. თანამეგობრობის აღმასრულებელმა მდივანმა ბიშკეკში გამართა შეხვედრები ყირგიზეთის ხელმძღვანელებთან, რომლის დროსაც მათთან განიხილა თანამეგობრობის სახელმწიფოთა ლიდერების, მთავრობის მეთაურებისა და საგარეო საქმეთა მინისტრების სხდომის დღის წესრიგი, რომელიც 31 მაისს-1 ივნისს გაიმართება მინსკში.

საქინფორმი.

ფინანსები

საქართველოს პარლამენტის აპარატის 2000 წლის ბიუჯეტის შესრულება

№	მუხლების დასახელება	2000 წლის დამტ. ბიუჯეტით	დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვით	გამოყოფილი დაფინანსება	საკასო ხარჯი	ფაქტიური ხარჯი
1	ხელფასი	2 017 200,00	1 750 400,00	1 854 613,00	1 854 613,00	1 644 065,00
2	პრემია	819 100,00	819 100,00	704 876,00	704 876,00	677 102,00
3	დახმარება	129 200,00	129 200,00	113 500,00	113 500,00	116 557,00
4	სოც. და სამ. დაზღ. ფონდი	800 700,00	731 903,00	650 120,00	650 120,00	626 216,00
5	ჯანდაცვის ფონდი	89 000,00	77 788,00	69 402,00	69 402,00	69 579,00
6	დასაქმების ფონდი	29 600,00	26 859,00	24 147,00	24 147,00	23 194,00
7	მივლინება ქვ. გარეთ	522 000,00	440 200,00	435 150,00	435 150,00	422 365,00
8	ოფისის ხარჯები	976 800,00	955 100,00	939 152,00	939 152,00	1 915 609,00
9	კომუნალური ხარჯები	379 200,00	532 232,00	505 383,00	505 383,00	682 845,00
10	ტრანს. ტექნიკის ხარჯები	668 000,00	419 000,00	418 610,00	418 610,00	765 731,00
11	სპეც. პროგრ. მომსახურება	190 000,00	-	-	-	86 499,00
12	სხვა ხარჯები	948 000,00	908 000,00	907 514,00	881 603,00	978 104,00
13	მანქ. დან. შეძენა	-	-	-	-	229 616,00
14	შენ. ნაგებ. შეძ. მშენ. და რეკ.	300 000,00	300 000,00	252 894,00	252 894,00	21 069,00
	სულ:	7 868 800,00	7 089 782,00	6 875 361,00	6 849 450,00	8 258 551,00

*პარლამენტის აპარატს 2000 წელს გარდა საბიუჯეტო შემოსავლებისა მიღებული ჰქონდა სპეცსახსრებით 374 ლარი.

პარლამენტის თავმჯდომარე

ევროპული სასამართლო დადებითად აფასებს

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ ირანში გამგზავრებამდე მიიღო ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თავმჯდომარე ლუციუს ვილდჰაბერი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მსოფლიოს 43 ქვეყანასთან თანამშრომლობს. საქართველოში ლუციუს ვილდჰაბერისა და ევროპული სასამართლოს ექსპერტთა ვიზიტის მიზანია ადამიანის უფლებათა დაცვის მხრივ ქვეყანაში არსებული ვითარების შესწავლა და კონკრეტული რეკომენდაციების გაწევა. სტუმრის თქმით, ევროპული სასამართლო დადებითად აფასებს ჩვენში მიმდინარე ინსტიტუციურ რეფორმებს, კერძოდ, სასამართლო სფეროში. მნიშვნელოვანია პენიტენციალური და პროკურატურის სისტემის რეფორმებიც, რომელთა განხორციელებაში ევროპული სასამართლოს თავმჯდომარემ, საქართველოს ხელისუფლებას ზურაბ ჟვანიასთან საუბრისას, ყოველმხრივი დახმარება აღუთქვა.

— ახალი, პოლიტიკისაგან თავისუფალი სასამართლო სისტემა, რომელიც დღეს მკვიდრდება საქართველოში, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ადამიანის უფლებათა დაცვას, — განაცხადა ლუციუს ვილდჰაბერმა.

სამოქალაქო საზოგადოების ასაშენებლად მეტად მნიშვნელოვანია არაკორუმპირებული, განათლებული და ახლებურად მოაზროვნე კადრების მოზიდვა, რაც სწორედ დღეს, ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნების საფუძველზე გახდა შესაძლებელი, — განაცხადა შეხვედრაზე ზურაბ ჟვანიამ. ინსტიტუციური რეფორმების შედეგად ჩვენს საზოგადოებას მიეცემა შესაძლებლობა, იცხოვროს ახალ სახელმწიფოში, რომლის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტი ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრირებაა, — აღნიშნა დასასრულ პარლამენტის თავმჯდომარემ.

პარლამენტის პრესცენტრი-საქინფორმი.

რეაქცია

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო დიდად არის შეშფოთებული ამ ბოლო ხანს გალის რაიონში განვითარებული მოვლენების გამო.

აფხაზეთის (საქართველო) კონფლიქტის მოგვარების ერთადერთ შესაძლებელ გზად ქართული მხარე კვლავაც პრობლემების მშვიდობიან მოწესრიგებას მიიჩნევს, რაც არაერთხელ განუცხადებია საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს. აქედან გამომდინარე, სამინისტრო ხაზგასმით აღნიშნავს, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება უკანასკნელ დროს საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მეგობარი ქვეყნების მხარდაჭერით მხარეთა შორის ნდობის აღდგენისა და კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მშვიდობიანი გადაწყვეტის მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებს. მხედველობაში გვაქვს: ჟენევის ფორმატით გათვალისწინებული საკოორდინაციო საბჭოს საქმიანობა; პირველი სამუშაო ჯგუფის შეხვედრები გაეროს მთავარი სამხედრო მეთვალყურის თავმჯდომარეობით; განსაკუთრებით კი მიმდინარე წლის 15-16 მარტს ქალაქ იალტაში უკრაინის მთავრობის ინიციატივით გამართული შეხვედრა ქართულ-აფხაზურ მხარეებს შორის, რომელზეც მონაწილეებმა კვლავაც დაადასტურეს თავიანთი ვალდებულება ცეცხლის განუახლებლობის შესახებ.

ამ ფონზე შემაშფოთებელია კონფლიქტის ზონაში მიმდინარე მოვლენები: გააქტიურდნენ აფხაზური შეიარაღებული დაჯგუფებები; სამგზავრო ავტობუსის აფეთქებას სოფელ ხურჩასთან ადამიანის სიცოცხლე შეეწირა; გალის რაიონში ნაღმზე აფეთქების გამო დასახიჩრდა ხუთი მცირეწლოვანი ბავშვი; დაუსაბუთებელი ბრალდებით დატყვევებულია ხუთი მოქალაქე, რომელთაგანაც ორი ადგილზევე მოკლეს; აფხაზურმა მხარემ ასევე აბსურდული და ცინიკური ბრალდებით — „აფხაზეთის ტერიტორიული წყლების დარღვევის“ მიზეზით დააკავა და გაიტაცა თევზსაჭერი სეინერი ხუთი ქართველი მეთევზითურთ. ეჭვგარეშეა, რომ ლაუცველი მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ მსგავს დანაშაულებრივ, პროვოკაციულ ქმედებას სჩადიან რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის მოწინააღმდეგე ძალები.

საქართველო სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამს შექმნილი ვითარების გამო და მოუწოდებს სამშვიდობო პროცესში ჩაბმულ ყველა მხარეს — გაეროს, აფხაზეთის (საქართველო) კონფლიქტის მოწესრიგების საკითხში გაეროს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების ჯგუფს, ეუთოს, დსთ-სა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს, სასწრაფო ზომები მიიღონ რეგიონში შექმნილი რთული ვითარების გამოსასწორებლად, რათა არ მოხდეს ძალადობის ესკალაცია, რაც საფრთხეს შეუქმნის სამშვიდობო პროცესს.

2001 წლის 16 აპრილი.

დერეფანი

კიდევ ერთი არხი

ბუშინ სანაოსნო კომპანია „უკრფერის“ ბორანი „პლევნის გმირები“ ფოთის ნავსადგურში ჩამოვიდა. ამ რეისით სანაოსნო კომპანია „უკრფერიმ“ გახსნა სატვირთო-სამგზავრო ნავიგაცია ევრაზიის საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნის —ტრასეკას საზღვაო მონაკვეთზე. ახლა ვარნა-ილიჩოვსკი-ფოთი-ბათუმის მარშრუტით მგზავრებსაც გადაიყვანენ. სარკინიგზო-საბორნე ხიდის მეშვეობით ფოთის ნავსადგურში გადამუშავდა 3 მილიონ 300 ათასი ტონა ტვირთი. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ფოთის ნავსადგურის ტვირთბრუნვამ უკვე 730 ათას ტონას გადააჭარბა.

საქინფორმი.

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2001 წლის 13 აპრილი ქ. თბილისი

შ. კობერიძის ღირსების მედლით დაჯილდოების შესახებ

საქართველოსა და ტაჯიკეთის სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობისა და ამ ხალხებს შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ტაჯიკეთის რესპუბლიკაში ქართული კულტურის ცენტრ „იბერიას“ თავმჯდომარე **შალვა კობერიძე** დაჯილდოვდეს ღირსების მედლით.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2001 წლის 13 აპრილი ქ. თბილისი

გ. რამიშვილის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

აფხაზეთისა და სვანეთის მხარის გეოლოგიურ შესწავლაში, გეოლოგიური რუკების შედგენასა და გამოცემაში შეტანილი თვალსაჩინო პირადი წვლილისათვის, მაღალი პროფესიონალიზმისა და აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ღვაწლმოსილი სამთო ინჟინერ-გეოლოგი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მრჩეველი **გიორგი რამიშვილი** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

ზრუნვა

სააღდგომო შეხვედრები

უკვე ტრადიციად იქცა მიუსაფარ და მზრუნველობასმოკლებულ ბავშვთათვის საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისათვის“ პრეზიდენტის ნანული შევარდნაძის ინიციატივითა და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ხელშეწყობით, სააღდგომოდ საქართველოს პარლამენტში ზეიმის გამართვა. ამ დღეს, თბილისის სენაკის, კასპის, მარტყოფის, წყნეთის ბავშვთა სახლების, პანსიონატებისა და დამხმარე სკოლა-ინტერნატების 400-მდე აღსაზრდელს პირადად შეხვდა ნანული შევარდნაძე, რომელმაც მათ მიულოცა აღდგომა და შეახსენა ამ ბრწყინვალე დღესასწაულის მნიშვნელობა. მან, ასოციაციის სახელით, ბავშვებს იმ მუდმივი მზრუნველობისა და შემწეობის გაგრძელება ალუთქვა, რასაც ასოციაცია ინვალიდი, ყრუ და სმენადაქვეითებული, მიუსაფარი და მზრუნველობასმოკლებული ბავშვებისათვის სისტემატურად გაიღებს ხოლმე.

„დღეს ჩვენს ქვეყანას უჭირს, ამის მიუხედავად, შევეცდებით, ჩვენი მხრიდან, ყურადღება არ მოგაკლოთ, რომ კარგი სწავლითა და შრომით ჩვენი ქვეყნის სიყვარული დაამტკიცოთ“, — განაცხადა ნანული შევარდნაძემ.

„საქართველოს პარლამენტის შენობას სხვადასხვა ქვეყნის პრეზიდენტები, მინისტრები, თუ სხვა გამოჩენილი ხალხი სტუმრობს, მაგრამ პირადად მე, თქვენ, ბავშვებს, ყველაზე პატივსაცემ ადამიანებად გთვლით. მუდამ უნდა გახსოვდეთ, რომ გვერდში გიდგათ მთელი საქართველო და ის ადამიანები, რომლებიც ამ ქვეყანას სათავეში ჰყავთ“, — აღნიშნა ბავშვებთან შეხვედრისას ზურაბ ჟვანიამ.

პარლამენტის შიდა ეზოში, სპეციალურად პატარა სტუმრებისათვის ჯამბაზებმა და ცირკის მსახიობებმა მხიარული სანახაობა გამართეს, მათთვის ცირკის მურა დათვიც კი აცეკვდა. ბავშვებმაც წარმოადგინეს თავიანთი თვითშემოქმედება. რუსთაველის სახელობის დარბაზში ბავშვებს კიდევ ერთი სიურპრიზი ელოდათ, — სააღდგომოდ, ღონისძიების ორგანიზატორებმა სხვა საჩუქრებთან ერთად, მათ წითელი კვერცხები და პასკა დაურიგეს. აქვე ბავშვებს მიეცათ უნიკალური შესაძლებლობა, სააღდგომო წესის მიხედვით წითელი კვერცხები, თავად ნანული შევარდნაძისა და ზურაბ ჟვანიასათვის მიეჭახუნებინათ.

ბავშვებმა მადლობა გადაუხადეს ღონისძიების ორგანიზატორებს და პარლამენტის შენობა კმაყოფილებმა დატოვეს იმ იმედით, რომ ეს ტრადიცია კვლავაც გაგრძელდება.

პარლამენტის პრესსამსახური.

კონტაქტები

„იმედი მაქვს, რომ ჩვენი თანამშრომლობა მჭიდრო მეგობრობაში გადაიზრდება“

17 აპრილს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თავმჯდომარე ლუციუს ვილდჰაბერი მიიღო საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ლადო ჭანტურიამ.

შეხვედრაზე, რომელზეც იმსჯელეს სამოსამართლო სამართლის ინსტიტუტის მნიშვნელობაზე, მხარეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ევროპის სასამართლო პრაქტიკას პირდაპირი მოქმედების ძალა აქვს საქართველოში და აუცილებელია ევროპის საპროცედურო სამოსამართლო სამართალი საფუძვლიანად განიხილოს საქართველოს კონსტიტუციასთან მიმართებაში. როგორც ლუციუს ვილდჰაბერმა განაცხადა, „სამართალი არ არის მხოლოდ კანონში ჩამოყალიბებული ქცევის წესი. ევროპის კონვენციის ქვეყნებისათვის ეს არის სამოსამართლო სამართალს პლუს ევროპის სამოსამართლო სამართალი“.

ლადო ჭანტურია და ლუციუს ვილდჰაბერი შეთანხმდნენ, რომ საქართველოსათვის შემუშავდება პროექტი, რომლის მიზანი იქნება ქართველი მოსამართლეების ინფორმირება ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებებით და ქართველ მოსამართლეთათვის ტრენინგების დანერგვა ევროპულ სამოსამართლო სამართლის პრაქტიკაში.

შეხვედრის დასასრულს სტუმარს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ სასამართლოს შენობა დაათვალიერებინა. ლუციუს ვილდჰაბერმა აღტაცება გამოთქვა. „იმედი მაქვს, რომ ჩვენი თანამშრომლობა მჭიდრო მეგობრობაში გადაიზრდება და კიდევ ბევრჯერ ჩამოვალ საქართველოში“, დასძინა მან ჟურნალისტებთან საუბარში.

* * *

—საქართველომ უნდა დააჩქაროს ევროპის კონვენციის პირველ ოქმთან შეერთების შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები და დაასრულოს ევროპულ კანონმდებლობასთან ქართული კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პროცესი, — განაცხადა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თავმჯდომარემ ლუციუს ვილდჰაბერმა 17 აპრილს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებთან გამართულ შეხვედრაზე.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ ავთანდილ დემეტრაშვილმა სტუმარს გააცნო 1996 წელს შექმნილი ამ უმთავრესი დემოკრატიული ინსტიტუტის სტრუქტურა და უფლებამოსილება, აცნობა, რომ არსებობის 5 წლის მანძილზე საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო 150-მდე სარჩელი, რომელთა მორის უმრავლესობა კერძო პირებისაგან ადამიანის კონსტიტუციურ უფლებათა დარღვევის მოტივით არის შემოსული.

ლუციუს ვილდჰაბერის აზრით, საჭიროა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გადახედოს, თუ რამდენად შეესაბამება მისი პრინციპები ევროპული სასამართლოების საქმიანობის პრინციპებს.

* * *

16 აპრილს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი შეხვდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თავმჯდომარეს ლუციუს ვილდჰაბერს.

* * *

ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ სიკვდილით დასჯის გაუქმების საკითხი ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების დროს დააყენა. ჩვენი ეკლესია ყოველთვის გამოირჩეოდა შემწყნარებლობითა და პატივისცემით სხვა ერებისა და რელიგიების მიმართ, — აღნიშნა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ 17 აპრილს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თავმჯდომარესთან ლუციუს ვილდჰაბერთან საპატრიარქოში გამართულ შეხვედრაზე.

* * *

შეხვედრებს ესწრებოდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ქართველი მოსამართლე მინდია უგრეხელიძე.

საქინფორმი.

სიტუაცია

დაკარგული დრო და კისერზე დადებული უღელი

როგორ გაუშვეს ხელიდან ჩვენმა ფინანსისტებმა რუსეთის ვალის დროულად გადახდის რეალური შანსი

(პირველი გვერდიდან)

როგორც ცნობილია, საქართველოს რუსეთის 157 მილიონი დოლარის ვალი აქვს დაგროვილი. ადრინდელი შეთანხმებით, ამ ვალის ძირითადი თანხის გადახდა წლეულს უნდა დაწყებულიყო და 8 წლის განმავლობაში დაფარულიყო. ყოველწლიურად ამ ვალის მომსახურებისთვის ქვეყანა სოლიდურ თანხას — რამდენიმე მილიონ დოლარს იხდის. ამას წინათ პარიზის კლუბში მიღწეული შეთანხმებით, რუსეთის ვალის ძირითადი თანხის გადახდა 2 წლის (უკეთეს შემთხვევაში 3 წლის) შემდეგ დაიწყება და 8 წლის ნაცვლად 20 წელიწადში დაიფარება. ამ ვალის მომსახურებისათვის 4 პროცენტი კი ქვეყანამ მის საბოლოო გასტუმრებამდე (20 წლით თუ კიდევ არ გადაგვივადებენ) მაინც უნდა იხადოს.

ირკვევა, რომ საქართველოს ამ ვალის დაფარვა, თავად რუსეთის თხოვნით, თბილისის საავიაციო ქარხნის პროდუქციით შეეძლო.

ეს შარშან, 22 დეკემბერს, თბილისში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა რუსეთის ვიცეპრემიერმა ილია კლებანოვმაც განაცხადა ჟურნალისტებთან შეხვედრის დროს, თუმცა არ დაუზუსტებია, რომელ საწარმოზე და რა პროდუქციაზე იყო საუბარი. მაშინ ჟურნალისტებიც არ ჩასციებიან და არც შემდეგ მიუქცევიათ ამისათვის ყურადღება. თუმცა ფაქტია, რომ საქართველო მართლაც აწარმოებს ტექნიკას, საბრძოლო თვითმფრინავებს, რომელთა შეძენის დიდი სურვილი ჰქონდა რუსეთს (ვფიქრობ, დღესაც არ დაუკარგავს მისდამი ინტერესი) და თანახმა იყო იგი საგარეო ვალის ანგარიშში მიეღო. ამას ფინანსთა სამინისტროში არსებული მტკიცედადებული დოკუმენტებიც მოწმობს.

ამ თვითმფრინავების მიმართ ინტერესი, როგორც ჩანს, რუსეთს დიდი ხანია, აქვს. როგორც საბუთები მოწმობს, 1999 წლის 22 ოქტომბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტროში გაიმართა კომისიის საგანგებო სხდომა, რომელზეც საქართველო-რუსეთის ურთიერთსავალო ვალდებულების საკითხი განიხილეს. სხდომაზე საავიაციო ქარხნის წარმომადგენელმა ფინანსთა სამინისტროს ამ ვალის დასაფარავად რუსეთისათვის მოიერიშე СУ-25-Т თვითმფრინავების გადაცემა შესთავაზა. კერძოდ, საავიაციო ქარხნიდან ფინანსთა მინისტრის დავით ონოპრიშვილის სახელზე 1999 წლის 26 ოქტომბერს შესულ წერილში აღნიშნულია: **„კომისიაზე მიღებული გადაწყვეტილების შესასრულებლად გიგზავნით ჩვენს წინადადებას.**

გაერთიანებას აქვს 12 ცალი მოდერნიზებული СУ-25-Т თვითმფრინავი 96 მილიონი აშშ დოლარის საორიენტაციო ღირებულებით, რომლებიც თავიანთი ტექნიკური და საბრძოლო მონაცემებით უტოლდება მსოფლიოში არსებულ უახლეს საავიაციო ტექნიკის ანალოგებს. საყურადღებოა, რომ რუსეთის სამხედრო უწყებას და თვითმფრინავების დამპროექტებელს არაერთხელ გამოუთქვამთ ამ ტექნიკის რუსეთისათვის გადაცემის სურვილი.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ საქართველოს აქვს რუსეთის ფედერაციის ვალი და მისი მომსახურებისთვის იხდის მნიშვნელოვან თანხებს, მიზანშეწონილია ამ თვითმფრინავებით დაიფაროს 96 მილიონი აშშ დოლარი რუსეთის ვალი, რაც თავიდან აგვაცილებს ვალის მომსახურების პროცენტების დამატებით გადახდას.

ამავე დროს, გაერთიანების მიერ გაწეული ხარჯების ასანაზღაურებლად საჭიროა 2000-2003 წ.წ. სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნეს 60 მლნ აშშ დოლარის (შიდა ვალის სახით) ფინანსირების საკითხი, რაც მომგებიანი იქნება როგორც ქვეყნის, ისე გაერთიანებისთვის.

გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

პატივისცემით, გენერალური დირექტორი ვაჟა თორდია“.

როგორც ხედავთ, ქარხანა ფინანსთა სამინისტროს თავად სთავაზობს ქვეყნისთვის უაღრესად მომგებიან წინადადებას რუსეთის ვალის დაფარვის თაობაზე. საგარეო ვალთან შედარებით შიდა ვალის უპირატესობაზე რომ აღარაფერი



ვთქვათ, ქარხანა ამ ოპერაციით, რეალიზებული პროდუქციიდან ბიუჯეტს უშუალოდ ჩუქნიდა 36 მილიონ დოლარს. მაგრამ მაშინ ამას ყური არავინ ათხოვა — წერილს მტვერი დაედო.

მაგრამ, ასეთი გულგრილობის მიუხედავად, ქარხნის ხელმძღვანელობასა და დამპროექტებელს შორის კონტაქტი არ შეწყვეტილა. ერთი წლის ლოდინის შემდეგ, რუსეთის მხარე, რახან საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან ვერც დადებითი, ვერც უარყოფითი პასუხი ვერ მიიღო, 2000 წლის 12 ივლისს უკვე საქართველოს სახელმწიფო მინისტრს გიორგი არსენიშვილს მიმართავს ოფიციალური წერილით. მასში, კერძოდ, ვკითხულობთ:

„1991-1992 წლებში თბილისის საავიაციო ქარხანამ დაამზადა 20 მოიერიშე თვითმფრინავი СУ-25-Т, ამ პარტიიდან 8 თვითმფრინავი 1991 წელს გადაეცა რუსეთის ფედერაციის სამხედრო-საჰაერო ძალებს. 12 თვითმფრინავი დარჩა საქართველოში, რომელიც იმყოფება თბილისის საავიაციო ქარხანაში.

აღნიშნული თვითმფრინავები დასრულების სხვადასხვა სტადიაშია, აკლია მაკომპლექტებელი აგრეგატები, რის გამოც მათი შემდგომი ექსპლუატაცია საქართველოს გაუჭირდება.

ამიტომ, კონცერნმა, თბილისის საავიაციო ქარხანასთან ერთად, მოამზადა წინადადება ამ 12 ცალი СУ-25-Т თვითმფრინავის სახელმწიფოთაშორისო ვალის ანგარიშში რუსეთის თავდაცვის სამინისტროსთვის გადასაცემად.

ამ წინადადებით კონცერნმა მიმართა რუსეთის ფედერაციის მთავრობას, თავის მხრივ, რუსეთის ფედერაციის სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარსარდალი გენერალი კორნუკოვი თანახმაა მიიღოს ეს თვითმფრინავები. ვითხოვთ თქვენს თანხმობას. პატივისცემით კონცერნ „მტურმოვიკი სუხოვის“ პრეზიდენტი, გენერალური კონსტრუქტორი ვ. პ. ბაბაკი“.

ეს წერილი სახელმწიფო მინისტრმა ფინანსთა სამინისტროს გადაუგზავნა და საკითხის მოგვარება დაავალა. თითქმის ერთი თვის ფიქრის შემდეგ (ეტყობა, ამ საქმისათვის ვერ მოიცალეს) ფინანსთა მინისტრის მაშინდელი პირველი მოადგილე კობა გვენეტაძე საკითხთან დაკავშირებით ინფორმაციას სთხოვს ქარხანას.

საავიაციო ქარხანამ ფინანსთა სამინისტროს, ზუსტად მეორე დღეს, ინფორმაციასთან ერთად რუსეთის ფედერაციის მთავრობისათვის გასაგზავნი წერილის პროექტიც აახლა. კიდევ გადის 18 დღე და ახლა უკვე ფინანსთა მინისტრის მეორე მოადგილე ვასილ გიგოლაშვილი მიმართავს ქარხანას, ამ საკითხთან დაკავშირებით დაწერილებითი ინფორმაცია მოგვაწოდეთო. ქარხანა კიდევ ერთხელ დაუყოვნებლივ უგზავნის სამინისტროს დაწერილებით ინფორმაციას.

ამ წერილების ციტირებით თავს აღარ შეგაწყენთ. მხოლოდ გეტყვით, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ამ ინფორმაციის დეტალურად გაცნობას ხუთ თვეზე მეტი მოუნდა და, როგორც იქნა, 2000 წლის 25 დეკემბერს რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეს, ფინანსთა მინისტრს ევგენი კუდრინს წერილობით აცნობა, რომ საქართველო თანახმაა განიხილოს ამ თვითმფრინავების რუსეთის ვალის დასაფარავად გადაცემის საკითხი.

მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, უკვე გვიან იყო. 2001 წლიდან ქვეყანას რუსეთის ვალის ძირითადი თანხის გადახდა უნდა დაეწყო. თვითმფრინავების საკითხი უკანა პლანზე გადადის. რუსეთს სხვა სტრატეგიული მიზანი უჩნდება.

საინტერესოა, მაინც რა მოხდებოდა ეს საკითხი დროზე რომ მოგვარებულიყო, და საქართველოს, თუ მთლიანად არა, ამ ვალის უმეტესი ნაწილი მაინც, თითქმის 100 მილიონი დოლარი, გასტუმრებული ჰქონოდა, მაინც წამოგვიყენებდა რუსეთი ულტიმატუმურ მოთხოვნას?

სხვაზე რა მოგახსენოთ, მაგრამ იმას კი დიდი ფინანსისტობა არ უნდა, რომ ქვეყანა ამ ვალის მომსახურების თუნდაც ოთხ პროცენტს დაზოგავდა (100 მილიონის ოთხი პროცენტი 4 მილიონი დოლარია). ეს მცირე თანხა არ გახლავთ და იგი 1999 წლიდან ბიუჯეტს ცოტა ამოსუნთქვის საშუალებას მაინც მისცემდა.

ჩვენისთანა ღარიბი ქვეყნის ფინანსთა სამინისტრო ყოველ თეთრს რომ უნდა ეჭიდებოდეს, მგონი საკამათო არ არის. საწარმო ნამდვილად არ უნდა ემუდარებოდეს ფინანსთა სამინისტროს, ა, ბატონო, აგერ ჩემი პროდუქცია, წაიღეთ, გამოიყენეთ, დროზე გაისტუმრეთ ვალი, რათა ქვეყანამ კიდევ უფრო არ იზარალოს და, როცა შეგეძლებათ, ჩემი პროდუქციის ღირებულების ნაწილი, ხარჯები რომ დავფარო, ეტაპობრივად გამისტუმრეთო. ფინანსთა სამინისტრო ასეთ ორგანიზაციებს თავად უნდა ეძებდეს. მუდმივად მხარში ედგას და ხელს უწყობდეს, რათა ქვეყანა გამოუვალ მდგომარეობაში არ ჩავარდეს. ამას ჰქვია გონივრული ეკონომიკური თუ ფინანსური ტაქტიკა. არა მგონია, დღეს ფინანსთა სამინისტროს ამაზე უფრო მნიშვნელოვანი საქმე ჰქონდეს.

თუმცა ფინანსთა სამინისტროში განმიმარტეს, რომ ეს მხოლოდ უწყებათაშორისი მიმოწერა გახლდათ, რომელიც რუსეთის ფედერაციის მთავრობის პოზიციას არ ემთხვეოდა, რადგან ფინანსთა სამინისტროდან გაგზავნილ წერილზე (მის მომზადებას, როგორც აღვნიშნე, ფინანსთა სამინისტრომ ხუთ თვეზე მეტი მოანდომა), რომლითაც საქართველოს მთავრობა გამოთქვამდა მზადყოფნას რუსეთისთვის ვალის სანაცვლოდ გადაეცა თვითმფრინავები, პასუხი არ მიუღიათ.

დოკუმენტები და რუსეთის ვიცეპრემიერის ილია კლებანოვის განცხადება კი სხვა რამეს ადასტურებს.

ვითარების დასაზუსტებლად სახელმწიფო მინისტრის ყოფილ მოადგილეს ლევან ძნელაძესა და ფინანსთა მინისტრის მეორე მოადგილეს ვასილ გიგოლაშვილსაც მივმართე. მაგრამ მეტის გარკვევა მაინც ვერ მოვახერხე.

რუსეთის ვალის გადახდა, რომელმაც მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო ქვეყანა, მართალია, ორი წლით გადავადებულია, მაგრამ მანამდე მისი მომსახურებისთვის საკმაოდ სოლიდური თანხები უნდა ვიხადოთ. თანაც ამ თვითმფრინავების საზღაურად ხომ რუსეთის საგარეო ვალის 60 პროცენტზე მეტი დაიფარებოდა?

შოთა მაჭარაშვილი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა

№ 91. ოთხშაბათი. 18 აპრილი, 2001 წელი.

სხვისი თვალით

შევარდნაძის გაწონასწორების პოლიტიკა

(პირველი გვერდიდან)

რევოლუცია და მისი შედეგები ეხება საქართველოს როგორც ხნიერ, ისე ახალგაზრდა მოქალაქეებს. როგორც სამოცდაათი წლის კაცი, რომლის ოდესღაც ელეგანტური ჭაღარა თმა ახლა რამდენიმე უწესრიგო კულულად იქცა, შევარდნაძე, შესაძლოა, უბრალოდ გრძნობს, რომ ყველაფერი ისე არ აეწყო, როგორც ეს ჩაფიქრებული იყო. დროის ნაკადში უბრალო თავის გატანა მოულოდნელად საკმარისი აღმოჩნდება ხოლმე იმ ადამიანებისთვისაც, რომლებმაც გარდაქმნეს სამყარო. სიფრთხილემ, რომელიც მე არ შემინიშნავს შევარდნაძისათვის მის საუკეთესო საბჭოურ პერიოდში, ან საქართველოს პრეზიდენტად ყოფნის პირველ წლებში, აშკარად შეინიშნებოდა მთელი ჩვენი 80-წუთიანი საუბრის დროს, რომელიც 5 აპრილს გაიმართა მის სასახლეში (ჩვენ თარჯიმნის გარეშე ვსაუბრობდით). თბილისში ჩავედი იმ იმედით, რომ გავიგებდი, თუ საქართველოს პრეზიდენტი როგორ ადანაშაულებს რუსეთს სამხარ აგრესიასა და ძირგამომთხრელ საქმიანობაში. ამ ბოლო თვეების განმავლობაში რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა გააძლიერა ეკონომიკური და პოლიტიკური ზემოქმედება საქართველოზე, უკრაინასა და სხვა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებზე.

მაგრამ ჩვენი საუბრის დროს შევარდნაძეს განზრახ არ დაუკისრებია პუტინისათვის პასუხისმგებლობა საქართველოს პრობლემების მკვეთრი გამწვავებისათვის. როგორც შევარდნაძემ განაცხადა, მან და პუტინმა დათქვეს, რომ განიხილავენ ახალ ყოვლისმომცველ შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებს მოსკოვისა და თბილისის ურთიერთობის სტაბილიზაციას.

„ჩვენ კარგი პირადი ურთიერთობა გვაქვს. შეგვიძლია გამოვნახოთ თანამშრომლობის გზები", – თქვა შევარდნაძემ პუტინზე. თუმცა, საქართველოს პრეზიდენტმა აღიარა, რომ „რუსეთში მავანთ სურთ საბჭოთა კავშირის აღორძინება. ეს ქმნის პრობლემებს".

შესაძლოა, შევარდნაძე პუტინში ხედავს იმას, რასაც ვერ ამჩნევენ სხვები, ან იქნებ, საქართველოს პრეზიდენტი უბრალოდ ცდილობს შეანელოს დაძაბულობა ორ ქვეყანას შორის, მაშინ, როცა ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია სხვა პრობლემებითაა დაკავებული.

როცა ვკითხე მის მიერ ამ რამდენიმე წლის წინათ გამოთქმულ არაორაზროვან დაპირებაზე – „ნატოს კარზე დავაკაკუნებთ", რათა ამ ორგანიზაციაში 2005 წელს გავწევრიანდეთ, შევარდნაძემ ამას „მტკივნეული საკითხი უწოდა, რომელიც რუსეთელთა გაღიზიანებას იწვევს. საქართველოს მნიშვნელოვანი მდგომარეობა აქვს რეგიონში. ჰოდა, რუსეთელებიც ამან აღაშფოთა".

შევარდნაძე დაჟინებით აცხადებდა, რომ საქართველოს უფლება აქვს თვითონ აირჩიოს მოკავშირეები. მაგრამ იქვე შეარბილა თავისი ასეთი განცხადების ტონი: „ჩვენ გვსურს მივუახლოვდეთ ნატოს სტანდარტებს. ჩვენ კვლავ აღვუთქვამთ რუსეთს, რომ ჩვენგან არავითარი საფრთხე არ მოდის. ნატოს წევრობა არ ნიშნავს იმას, რომ აქ ნატოს ჯარები უნდა განალაგონ.

ამჟამად შევარდნაძეს საქართველოს პოლიტიკის ძირითად მიზნად მიაჩნია გაწონასწორებული მიდგომა და არა კონფრონტაცია ან მკვეთრი მერყეობა. „მთავარი საკითხი ამჟამად არის ის, თუ როგორ განვითარდება ამერიკა-რუსეთის ურთიერთობა. მე ვერ ვხედავ პრეზიდენტ ბუშსა და პრეზიდენტ პუტინს შორის მოუგვარებელ პრობლემებს. შესაძლებელია თანამშრომლობა ისე, რომ არ აიღონ ხელი ფუძემდებლურ პრინციპებზე", – აღნიშნა მან.

საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ამ ცოტა ხნის წინათ მიიღო ბუშის წერილი, რომელმაც მას გამოუკეთა გუნება-განწყობილება. „ბუშის წერილი შეიცავს გარკვეულ გარანტიებს ჩვენთვის. მასში კვლავ ხაზგასმულია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. ამერიკა გვეხმარება არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც, მათ შორის გვიწევს ეკონომიკურ დახმარებას და დახმარებას უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში. პრეზიდენტი ბუში აშკარად აცხადებს, რომ განზრახული აქვს ერთობლივად, ერთად გადავჭრათ ეს პრობლემები".

„ერთობლივად" ამ წინადადების ძირითადი სიტყვაა. ქართველებს მიაჩნიათ, რომ კლინტონის ადმინისტრაცია მათ პრობლემებს განიხილავდა ძირითადად რუსეთის პრიზმით, ყურადღებას არ უთმობდა თბილისს. არც უორენ კრისტოფერი, არც მადლენ ოლბრაიტი არ ჩამოსულან საქართველოში სახელმწიფო მდივნის პოსტზე ყოფნის დროს. როგორც შევარდნაძემ თქვა, კოლინ პაუელის ვიზიტი არა მარტო სასურველი, არამედ აუცილებელიცაა.

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა გვიჩვენებს, რომ სამოქალაქო ომმა, რომელიც არ შეწყვეტილა მთელი ათი წლის განმავლობაში, ეკონომიკურმა დაქვეითებამ, ქვეყანაში ვითარების დესტაბილიზაციის მცდელობამ, რუსეთის ხელდასხმით რომ ხდება, და ლტოლვილების მასობრივმა მოდინებამ თბილისში გამოიწვია ის, რომ საზოგადოებრიობა ახლა პესიმიზმით ეკიდება თვით შევარდნაძეს, ამერიკის დახმარებასა და ქვეყნის მომავალს. განა საკვირველია, რომ 73 წლის კაცი, რომელიც ცოცხალი გადაურჩა მასზე განხორციელებულ სამ თავდასხმას, ფხიზელი და ყურადღებიანი შევარდნაძე თითქმის არასდროს არ განიცდის სინანულს ან იმედის გაცრუებას მისი კარიერის დასრულების გამო. მან იცის, რომ ვერაფერს ვერ გააწყობს თავის წარსულთან, რომელშიც იყო მისი დროის პოლიტიკოსებისათვის წარმოუდგენელი აღმაფრენაც და დაცემაც.

გთავაზობთ

თავად ჩვენმა მკითხველმა განსაჯოს

(პირველი გვერდიდან)

სამწუხაროა, რომ კოლეგა ბეიკერს არაფერი სმენია საქართველოში განხორციელებული რეფორმების შესახებ. – პრივატიზაცია და მიწის რეფორმა, განათლების თუ ჯანდაცვის რეფორმა, სამართლებრივი რეფორმა და ასე შემდეგ. მართალია, რეფორმები ჩვენში ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ მათი წყალობით საქართველოში ახალი რეალობა უკვე შეიქმნა, რომლის დაუნახაობაც შეუძლებელია.

რაც მთავარია, ჩვენი სახელმწიფო უკვე დგამს ნაბიჯებს, რომელთა შესახებ ახლო წარსულშიც კი არავინ ლაპარაკობდა. საუბარია კორუფციის წინააღმდეგ არა დეკლარირებულ, არამედ ნამდვილ ბრძოლაზე, რომელსაც წინ უძღოდა ანტიკორუფციული პროგრამის შემუშავება, რომელიც ფართო განხილვის საგნად იქცა. საბოლოო სახით კი ამ პროგრამას მალე დაამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი. ქვეყნის შსს მალე დაასრულებს პროგრამის შემუშავებას, რომელსაც კრიმინალურ სამყაროზე ფართომასშტაბიანი შეტევის განხორციელება მოჰყვება. ის, რომ საქართველოში წარმატებით აღიკვეთა „თოფიანი კაცების თარეში", უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს ბრძოლაც შედეგიანად დასრულდება. ზემოთ ხსენებულ მასალებს ჩვენი გაზეთი უცვლელად იმიტომ ბეჭდავს, რომ მკითხველმა თავად განსაჯოს მათი ობიექტურობის ხარისხი.

ელზა ჯმუხაძე.

რეპლიკა

თურმე „ჰაილ შევარდნაძე" ყოფილა და არ გვცოდნია!

(პირველი გვერდიდან)

სწორია, პარტიას, საპარლამენტო ფრაქციას თუ დისციპლინა, თავისი ლიდერის მორიდება და დაფასება არ ექნა, რა პოლიტიკურ კულტურაზეა ლაპარაკი?! ერთი და იგივე გუნდის წევრები ოცდაოთხი საათის განმავლობაში ყველა ტელეარხით, ყველა გაზეთით რომ ერთმანეთს ქოჩრით ათრევენ და ყოველგვარ სიბილწეს და ბოროტებას უკიჟინებენ, იმ ტელევიზორის მაყურებელს და იმ გაზეთის მკითხველს მთელ იმ გუნდზე რა წარმოდგენა შეიძლება შეექმნას?

მაგრამ სიტყვა, ცოტა არ იყოს, გამექცა. იმას მოგახსენებდით, გიორგი თარგამაძე საკმაოდ სერიოზულ პოლიტიკოსად და პოლემისტად ყალიბდება და ეს მისასალმებელია-მეთქი.

მაგრამ იმ დღეს პარლამენტარმა ერთი ისეთი შედარება გააკეთა, დიდი ილია რომ იტყოდა, „ეგ თქვენს ზრდილობას ვით ეკადრებაო".

ედუარდ შევარდნაძის მმართველობის ეს 10-წლიანი პერიოდი ჰიტლერის მმართველობის 10 წელს შეადარა. ჰიტლერი 1933 წელს ხალხს შეპირდა, ამირჩიეთ და 10 წლის შემდეგ აყვავებულ და ბედნიერ გერმანიას ჩაგაბარებთო, არადა, ქვეყანა ათი წლის შემდეგ ფერფლად და ნაცარტუტად დატოვაო. ასევე შევარდნაძე დაქცეულს და დანგრეულს ტოვებს საქართველოსო.

თურმე „ჰაილ შევარდნაძე" ყოფილა და არ გვცოდნია!

ჰიტლერი და შევარდნაძე რომ ერთმანეთს შეადარო, სამართლიანობის ნიშან-წყალი არ უნდა გაგაჩნდეს.

მოგეხსენებათ, ფაშიზმის იდეოლოგია ეფუძნება სამხედრო ექსპანსიას, რასობრივ უთანასწორობას, „ფიურერიზმს", ტოტალური სახელმწიფოს თეორიებს, სისხლიან ტერორს, მოწინააღმდეგეთა ფიზიკურ განადგურებას. ჰიტლერმა გააუქმა ყოველგვარი დემოკრატიული თავისუფლებანი, გააბატონა პოლიტიკური მკვლელობანი, უსასტიკესად ახშობდა ყოველგვარ ოპოზიციას.

როგორ, რა ასპექტში შეიძლება მასთან ედუარდ შევარდნაძის შედარება?

ნუთუ სიძულვილი იმდენად ძლიერია, რომ ყოველგვარი სამართლიანობის გრძნობა შეიძლება დაგვაკარგვინოს?

კაცმა ყველაფერი არც შენ უნდა იკადრო და არც სხვას აკადრო... თუ, რა თქმა უნდა, კაცი ხარ და ქუდი გხურავს.

ნიკო მართალაძე.

დასავლეთისთვის გმირს, შინ კი დამნაშავე შევარდნაძეს ქართველები გაჭირვებისკენ მიჰყავს

(პირველი გვერდიდან)

ეს, რა თქმა უნდა, გადაჭარბებითაა ნათქვამი, სინამდვილეში იგი ამას არ გულისხმობს, მაგრამ ამგვარ კონტექსტში უცხო არ არის შევარდნაძის ხსენება, რომელიც ცხრა წლის განმავლობაში, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურად ყოფნის პერიოდში, ორჯერ გადაურჩა ტერაქტს. ქარიზმატული საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრობის პერიოდიდან შევარდნაძე ვაშინგტონისთვის გმირი გახდა, მისი დახმარებით დაინგრა ბერლინის კედელი და დასრულდა ცივი ომი, სამშობლოში კი ბევრისთვის იგი დამნაშავედ იქცა.

მას საოცნებო პიროვნებად მიიჩნევდნენ, რომელიც მსოფლიო ისტორიაში თავისი როლის შესრულების შემდეგ უნდა დაბრუნებულიყო თავის სამშობლოში და დემოკრატიული საბაზრო რეფორმების მოდელის მიხედვით გარდაექმნა სტრატეგიული მდებარეობის მქონე ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა – პატარა ნაწილი დასავლეთისა, სწორედ აქ, კავკასიის მთებში რომ მდებარეობს.

ამის ნაცვლად, დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან ზუსტად ათი წლის თავზე საქართველო ასე გამოიყურება: ბედკრული ადგილი, სიღარიბეში ჩაფლული, სამოქალაქო ომის შედეგად დანაწევრებული, კორუფციისგან გამოფიტული – დასავლელ ანალიტიკოსთა თქმით, „წარუმატებელი ქვეყანა".

ეს ყველაფერი შევარდნაძისთვის საიდუმლო არაა. იგი მზადაა აღიაროს საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებული პესიმიზმი. „მე ვიცი, რომ ბევრი საქართველოში ჩემს მიმართ სიძულვილს გრძნობს", – აღნიშნა მან ინტერვიუში, რომელიც პრეზიდენტის რეზიდენციაში გაიმართა, – „მაგრამ როცა საქმე რწმენაზე, ნდობაზე მიდგება, მათ ჩემი სჯერათ. მათ სჯერათ შევარდნაძისა".

73 წლის შევარდნაძე უკვე მთლად ისეთი აღარ არის, როგორიც იყო – ჭაღარა, თავაზიანი დიპლომატი საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო დღეებში. მან წონაშიც მოიმატა და თმაც შეუთხელდა, მაგრამ კვლავ შეინარჩუნა მახვილი თვალი და გამჭოლი მზერა, იუმორის ხალასი ნიჭი და პირდაპირობა.

„რეფორმა რევოლუცია არ არის", – დაგვარიგა ბაბუის ტონით, – „ეს მოითხოვს მენტალიტეტის, აზროვნების ცვლილებას, მოითხოვს რწმენასაც – იმ რწმენას, რასაც აკეთებ, ბოლოს და ბოლოს რომ იმარჯვებს. სხვაგვარად უკვე რევოლუციაა".

იგი, ალბათ, ჩაფიქრდა, რადგან მისმა პიროვნებამ, მისმა წონამ ისეთი დიდი იმედები წარმოშვა, რომლებიც მან, შესაძლოა, ვერასოდეს ვერ აასრულოს. „სხვადასხვა ქვეყნების ისტორიაში არის პერიოდები, როდესაც ძალიან ბევრი რამ ერთ ადამიანს აწევება მხრებზე", – თქვა მან.

შევარდნაძემ საქართველოს თავისი ფართო მხრები შესთავაზა 1992 წელს, როდესაც იგი დაბრუნდა იქ, სადაც საბჭოთა პერიოდში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი იყო. ოღონდ ამჯერად იგი დაბრუნდა როგორც დემოკრატი და რეფორმატორი. მას მემკვიდრეობით ერგო არეულობა, განგსტერები განაგებდნენ საქართველოს დედაქალაქ თბილისს, სეპარატისტი მეამბოხეები კი – აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრორუსულ რეგიონებს.

წლების მანძილზე მან წარმატება მოიპოვა აულაგმავი ელემენტების მოთვინიერებაში და მშვიდობა ძალით დამყარდა, მაგრამ ქვეყანა გაიხლიჩა და 300 ათასმა ლტოლვილმა სახლ-კარი მიატოვა. თბილისის ძველი სასტუმროები და საცხოვრებელი ბინები კვლავ გაჭედილია იმ ადამიანებით, ვინც რვა წლის წინათ აფხაზეთში საკუთარი სახლ-კარი მიატოვა.

შევარდნაძის მიერ რეფორმების გატარების მცდელობებს დასავლეთი აღტაცებით შეხვდა. დასავლეთმა მას ფართო ფინანსური დახმარება გამოუყო. დასავლეთი დიდი ხნის მანძილზე განსაკუთრებული გრძნობით ეკიდებოდა ამ ხუთმილიონიან ქვეყანას და ცვალებადი პოლიტიკური კლიმატის მქონე რეგიონში მას საიმედო მეგობრად მიიჩნევდა – თვლიდა, რომ იგი არის საყრდენი რუსეთის წინააღმდეგ და ცენტრალური აზიის ნავთობის უსაფრთხო მილსადენისათვის.

თუმცა იმ კურსის წყალობით, რომელიც ცვლილებებისკენ იყო მიმართული, 1995 და 1998 წლებში შევარდნაძე ორი ტერაქტის სამიზნე შეიქნა. შეშფოთებულმა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, მთავარი მოკავშირის დაცვის მიზნით, ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს წარმომადგენლები გაგზავნა შევარდნაძის დაცვის გასაწვრთნელად. შევარდნაძეს ახლა უყვარს იმის ხაზგასმა, რომ იგი „ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესოდ დაცული პრეზიდენტია" მთელ მსოფლიოში.

მიუხედავად ამისა, დაუცველობა საქართველოს ბევრი მცხოვრების დღის წესრიგში დგას. პენსიების რაოდენობა საშუალოდ თვეში შვიდი დოლარია და ხშირად თვეობით არ გაიცემა. სამუშაოს პოვნა ჭირს. თბილისში ბევრი შენობა, რომელიც სამოქალაქო ომის პერიოდში დაინგრა, კვლავ დანგრეული და გაპარტახებულია. ელექტროენერგიის უკმარობა კრიზისულ ზღვარს აღწევს, განსაკუთრებით – ზამთარში, როდესაც გათბობის სისტემა არ ფუნქციონირებს.

დღესაც კი ქალაქის ყველაზე კარგ სასტუმროებში შუქი ქრება ხოლმე, მთავრობის წარმომადგენლები გზას იკვლევენ სამინისტროს შენობის კუპრივით ჩაბნელებულ დარბაზებში, მუქნიშნები ხშირად არ მუშაობს – ეს იწვევს სრულ ქაოსს ყველაზე გადატვირთულ გზაჯვარედინებზე, მაშინ როცა პოლიციელები უსაქმოდ ლაყბობენ.

„მისი მმართველობის დასაწყისში ყველაფერი კარგად მიდიოდა", – აცხადებს შევარდნაძეზე საუბრისას ტაქსის მძღოლი, 42 წლის ნოდარ ჯამასპიშვილი, – „ამჟამად მისი მუშაობის შედეგებს ვერ ვხედავთ – მხოლოდ დაპირებები და დაპირებები. ხელისუფლებაში მისი მოსვლის დროს ვიმედოვნებდით, რომ პენსიები და ხელფასები დროულად გაიცემოდა, სამუშაო იქნებოდა და რომ ყველაფერი კარგად აეწყობოდა. ამჟამად არაფერი არ მუშაობს".


OSCE

Organization for Security and Co-operation in Europe

Mission to Georgia

Press Release

In an article in the American newspaper *Washington Post*, 14 April 2001, the Head of the OSCE Mission to Georgia, Ambassador Jean-Michel Lacombe is being quoted conveying an impression that Georgia is in a state of decay.

Ambassador Lacombe strongly refutes such an impression. The quote is false and grossly misleading.

Tbilisi, 17 April 2001

43 წლის მარინა აბესაძე პროფესიით სამთო ინჟინერია, რომელიც თავის პატარა ქალაქში პროფესიით ველარ მუშაობს და ამიტომ თბილისში სამუშაოს საძებნელად ჩამოვიდა. დღეისათვის იგი სხვადასხვა წერილმანს – ფეხსაცმლის გამწმენდს, სადეზინფექციო საშუალებებს, პაერის გამწმენდს ყიდულობს და შემდეგ მათ გადაყიდვას ცდილობს.

„საქართველოში ვერ ნახავთ ადამიანს, რომელიც შევარდნაძეს კეთილი სიტყვებით მოიხსენიებდეს", – აცხადებს იგი, – „მე ვიცი, რომ დასავლეთში იგი გმირი ჰგონიათ, მაგრამ ჩვენთვის იგი არაფერს არ წარმოადგენს".

ანია ოგანეზოვა და ნათელა ბაძაღუა პურს რკინიგზის სადგურის გარეთ ჰყიდიან – 80 წლის ოგანეზოვა ამბობს, რომ მარტო პენსიაზე ცხოვრება შეუძლებელია. „ჩვენ ღარიბებივით ვართ", – ამბობს იგი, – „აქ ვსხედვართ და ვტირით".

სსრკ ყოფილი რესპუბლიკების უმეტესობა გეგმიური ეკონომიკის შეცვლის გამო მსგავს პრობლემებს განიცდის, მაგრამ საქართველო, რუსეთთან შედარებით, უფრო ცუდ მდგომარეობაშია: რუსების 40 პროცენტი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს, საქართველოში კი ეს მაჩვენებელი 60 პროცენტს უდრის; რუსეთში მთლიანი შიდა პროდუქციის წილი თითოეულ მოქალაქეზე დაახლოებით ორჯერ მაღალია, ვიდრე საქართველოში. საქართველოს ეკონომიკა, რომელიც 1990-იან წლებში აღმავლობას განიცდიდა, გასულ წელს 1,9 პროცენტის მაჩვენებელზე შეჩერდა.

„რუსებმა, პოლონელებმა, ჩეხებმა ადაპტირება მოახერხეს", – აცხადებს ეუთოს ელჩი ჟანმიშელ ლაკომბი, – „მაგრამ აქ 10 წლის განმავლობაში რაიმე ცვლილებებს, გარდა დაღმავლობისა, ვერ ვხედავ".

ნავთობზე დამყარებული იმედები ახლა ისე ოპტიმისტურად აღარ გამოიყურება. აშშ აზერბაიჯანიდან თურქეთში მიმავალ მილსადენის მარშრუტს, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე გადის, მხარს უჭერს, მაგრამ მის მშენებლობას წლები დასჭირდება. უფრო მეტიც, ანალიტიკოსთა განცხადებით, ყოველწლიური სატრანზიტო გადასახადებიდან მიღებული 70-100 მილიონი დოლარი საქართველოს ეკონომიკის გადასარჩენად საკმარისი არ იქნება.

სიტუაციას ართულებს ის მოვლენაც, რომელსაც შევარდნაძეც კი „ფართომასშტაბიან და გავრცელებულ კორუფციას" უწოდებს და რომელიც ქუჩებიდან ხელისუფლების დერეფნებში აღწევს. ისევე, როგორც მთლიანად ყოფილ სსრკ-ში, მძღოლები ლიცენზიის მისაღებად ქრთამს იძულებით იხდიან, სტუდენტები უნივერსიტეტებში მოსახვედრად იგივეს სჩადიან, პოლიციის ოფიცრები სამსახურის მისაღებად ქრთამს იხდიან, ხოლო შემდეგ, მათივე ვალების გასასტუმრებლად, მძღოლებიდან ქრთამს იღებენ.

უფრო მეტიც, ისევე, როგორც რუსეთში, ძლიერი ოლიგარქები საქართველოს ეკონომიკურ რესურსებს აკონტროლებენ და გაკოტრებულ სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზებით საკმაოდ დიდ სარგებელს ნახულობენ. კორუფციაში დადანაშაულებულთა შორის უმრავლესობას შევარდნაძის ნათესავები და მრჩევლები წარმოადგენენ. „საქართველოში, თუ თქვენ პრეზიდენტის ახლობელი არ ხართ, სერიოზული ბიზნესის წარმოება შეუძლებელია", – აცხადებს პარლამენტის ეკონომიკის კომიტეტის რეფორმატორი თავმჯდომარე ივანე მერაბიშვილი.

მართალია, შევარდნაძე კორუფციაში პირდაპირ არაა დადანაშაულებული, მაგრამ კრიტიკოსები მას ამ საკითხისადმი განსხვავებულ მიდგომაში ადანაშაულებენ. „იგი დაღლილია", – ამბობს მერაბიშვილი. – „მას ამჟამად სიტყვა „რეფორმის" გაგონებაც არ სურს. როდესაც იგი აცხადებს, რომ ებრძვის კორუფციას და რეფორმის მომხრეა, ამას მხოლოდ დასავლეთის მხარდაჭერის შენარჩუნების გამო ამბობს. მე, როგორც მისი პარტიის წევრი, ვგრძნობ, რომ მას არ გააჩნია პოლიტიკური ნება რაიმეს შესაცვლელად".

შევარდნაძე მტკიცედ უარყოფს, რომ რეფორმის განხორციელების საკითხში აღებული ვალდებულების შესასრულებლად მისი ენერგია შესუსტდა და რომ კორუფციამ მის შიდა წრეშიც შეაღწია. მან ნათესავების გაკონტროლების საკუთარი უნარობა სხვადასხვა სკანდალებს შეადარა, მათ შორის, – ბილისა და ჰილარი როდჰემ კლინტონის ძმების სკანდალსაც. მიუხედავად ამისა, მან დაიფიცა, რომ იგი მის მიერ გამოცხადებული ანტიკორუფციული კამპანიის დროს არავის დაიცავს.

„ყველა, ვისაც კი პასუხი მოეთხოვება, დასჯილი იქნება", – აცხადებს იგი, – „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, იქნებ, ყველაზე რთული იყოს, ვინაიდან მასში, შესაძლოა, ყველაზე ახლო მეგობრები და ნათესავები აღმოჩნდნენ ჩარეულნი, მაგრამ ჩვენ უკომპრომისონი უნდა ვიყოთ".

შევარდნაძემ ძალაუფლება მისი ხელახალი არჩევის საშუალებით შეინარჩუნა – არჩევნებს, რომელსაც ადგილობრივი თუ დასავლელი დამკვირვებელი „გაყალბებულს" უწოდებს. ეუთოს განცხადების თანახმად, 2000 წლის არჩევნები, რომელმაც მას კიდევ ხუთწლიანი მმართველობის გარანტია მოუტანა, ბიულეტენების ჩაყრითა და სხვა დარღვევებით აღინიშნა.

ამავე დროს, უმრავლესობის აზრით, ისინი შიშობენ, რომ შევარდნაძის წასვლით საქართველოს დასავლეთის მხრიდან დახმარება შეუმცირდება. როგორც პრეზიდენტის პარტიის საპარლამენტო ლიდერმა რევაზ ადამიამ განაცხადა: „შესაძლოა იგი ასაკშია კიდეც – ხალხი მისი ასაკის თაობაზე საუბრობს და, შესაძლოა, მისი წასვლის დროცაა, მაგრამ ვითარცა სტაბილურობის ფაქტორი, იგი დღესაც მნიშვნელოვანია, როგორც შიდა, ისე გარე სამყაროსათვის".

„ციტატა კატეგორიულად არ შეესაბამება"

ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის საქართველოში არსებულმა მისიამ გუშინ გაავრცელა პრესრელიზი, რომელშიც, კერძოდ, ხაზგასმულია:

„2001 წლის 14 აპრილის გაზეთ „ვაშინგტონ პოსტში" გამოქვეყნებულ სტატიაში საქართველოში არსებული ეუთოს მისიის ელჩის ჟან-მიშელ ლაკომბის ციტირება მოხდა, რომელშიც ნათქვამია, რომ „საქართველო დაღმავლობის მდგომარეობაშია".

ელჩი ლაკომბი მტკიცედ უარყოფს ასეთი სახის ინტერპრეტაციას, ციტატა კატეგორიულად არ შეესაბამება სინამდვილეს.

2001 წლის 17 აპრილი.

ბათუმში შეჩერდა სამხედრო ქონების ჩატვირთვა

ძლიერი გრიგალისებური ქარის გამო ბათუმში ვერ დაამთავრეს რუსეთის ფედერაციის ორ დიდ სადესანტო ხომალდზე იმ სამხედრო ქონების პირველი პარტიის ჩატვირთვა, რომელიც ვაზიანის სამხედრო ბაზიდან გააქვთ. ეს თქვეს 16 აპრილს ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის პრესცენტრში.

ამინდის პირობების გამო, 15 აპრილს, იძულებული იყვნენ შეეჩერებინათ სამხედრო ქონების ჩატვირთვა, რუსეთის ორი ხომალდი ნაპირს მოშორდა და რეიდზე დადგა ღია ზღვაში. გამოდარების შემდეგ განახლდება ქონების ჩატვირთვა ხომალდებში, რომლებიც მას ნოვოროსიისკში წაიღებენ.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, სტამბოლის 1999 წლის სამიტის გადაწყვეტილებებისა და რუსეთ-საქართველოს იმ მორიგებათა შესაბამისად, რომლებსაც მხარეებმა მიაღწიეს სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით მოლაპარაკების მეექვსე რაუნდზე მიმდინარე წლის მარტში, ვაზიანიდან რუსეთში გააქვთ საველე და სამედიცინო მოწყობილობა, სპეციალური საავტომობილო და საინჟინრო ტექნიკა. ქონების პირველი პარტია 12 აპრილს რკინიგზის ეშელონით ჩაიტანეს ვაზიანიდან ბათუმში. მეორე პარტიას ჩაიტანენ 24-25 აპრილს. იქიდან კი ნოვოროსიისკში გაიტანენ 28 აპრილს. რაც შეეხება უშუალოდ ვაზიანის ბაზაში არსებულ შეიარაღებასა და საბრძოლო ტექნიკას, იგი საქართველოდან რუსეთში გაიტანეს 2000 წელს.

ქართულ-ოსური მოლაპარაკება ვლადიკავკაზში გაიმართება

ეკონომიკური ურთიერთქმედების საკითხები ერთ-ერთი ძირითადი იქნება ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების მერეული საკონტროლო კომისიის მორიგ, მეთერთმეტე სხდომაზე, რომელიც 20-22 აპრილს ვლადიკავკაზში გაიმართება, აცნობა პრაიმ-ნიუსს სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პირველმა ვიცეპრემიერმა ლეონიდ თიბილოვმა.

მისი თქმით, აუცილებელია კონკრეტულად დამუშავდეს ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში სახალხო მეურნეობის აღდგენისა და დევნილთა დაბრუნების შესახებ თბილისში გასული წლის დეკემბერში ხელმოწერილი რუსეთ-საქართველოს სამთავრობათაშორისო შეთანხმების დებულებები.

ლეონიდ თიბილოვის თქმით, მერეული საკონტროლო კომისიის სხდომაზე ასევე მსჯელობა [illegible]

ფრაქცია „აფხაზეთის" ინიციატივა

[illegible]

ტუბერკულოზი – აფხაზეთში

[illegible]

ინფორმაციები მოამზადეს: [illegible]

კულუარები

დვება დრო დაჯგუფებებმა „ფსევდონიმები" ჩამოიცილონ

„ვაშინგტონ პოსტის" 14 აპრილის ნომერში გამოქვეყნებული სტატია, რომელიც საქართველოს დღევანდელ მდგომარეობას შეეხება, – ქართული პოლიტიკოსებისთვის მართლაც მეხის გავარდნას ჰგავდა. ამ სტატიამ კიდევ ერთხელ თვალნათელი გახადა ის ქვედინებები, რომელიც მმართველ პარტიაში, ანუ მოქალაქეთა კავშირში უკვე კარგა ხანია მიმდინარეობს.

დიახ, სახელისუფლებო პარტიაში რომ ყველაფერი რიგზე არ არის, ეს ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში უკვე შეუიარაღებელი თვალითაც ნათელი გახდა. თუნდაც ავიღოთ ფინანსთა მინისტრის ზურაბ ნოღაიდელისა და პრეზიდენტის თანაშემწის თემურ ბასილიას მიერ ერთ-ერთ შეხვედრაზე მოწყობილი „სპარინგი".

მთავრობის ამასწინანდელ სხდომაზე პრეზიდენტმა შევარდნაძემ განაცხადა, რომ იგი ჯერჯერობით არ ფიქრობს მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარის პოსტის დატოვებას. მაგრამ მმართველ პარტიაში, ბუნებრივია, ეს სიტყვა „ჯერჯერობით" ძალიან აფიქრებთ. რადგან ადგილობრივი არჩევნები ახლოვდება და თუ ამ დროისთვის პარტიას პრეზიდენტი ჩამოსცილდება, მაშინ მოქალაქეთა კავშირს ძალიან გაუჭირდება წარმატების მიღწევა. თანაც პრეზიდენტი დღეს მოქალაქეთა კავშირის ერთიანობის სიმბოლოსაც წარმოადგენს და მისი თავმჯდომარეობიდან წასვლა, პარტიის დაშლას აუცილებლად გამოიწვევს.

თუმცა, როგორც ჩანს, მმართველ პარტიაში უკვე ხედავენ მოახლოებულ საფრთხეს, ანუ პრეზიდენტის მიერ პარტიის დატოვების რეალურ შესაძლებლობას და ამიტომაც მისი ერთი ნაწილი აქედანვე, პრეზიდენტისგან დამოუკიდებლად, საკუთარი პოლიტიკური თამაშის აშკარად წამოწყებას ცდილობს. ამით კი მმართველი პარტიის შიგნით მოქმედ სხვა პოლიტიკურ დაჯგუფებებთან შედარებით, არჩევნების პერიოდისათვის (აქ მხოლოდ მოახლოებული ადგილობრივი არჩევნები არ იგულისხმება) მომგებიანი სასტარტო პოზიციის გამყარებისკენ მიისწრაფვის. რადგან, თუ პრეზიდენტი პარტიას დატოვებს და მოქალაქეთა კავშირი ულიდეროდ დარჩება, აქ მოქმედ მაქსიმალისტთა ჯგუფს სათქმელად მაინც ექნება: პრეზიდენტი სანამ ჩვენზე იტყოდა უარს, მანამდე ჩვენ თვითონ გავემიჯნეთ მასო.

აი, ეს დაჯგუფება აქამდე როგორღაც ახერხებდა შედარებით შეუმჩნეველი დარჩენილიყო, ანუ პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე საკუთარი თავი არ „გაემიფრა" და თავი შევარდნაძის ერთგულ თანამოაზრედ გაესაღებინა. ეს ჯგუფი დღესაც სარგებლობს ყველა სახელისუფლებო პრივილეგიით და თავის სამომავლო კარიერაში წარმატების მიღწევას პრეზიდენტის სახელისა თუ ძალაუფლების გამოყენებით აპირებს. მაგრამ ბოლო დროს მიმდინარე პროცესებმა მათ გათვლებს „პოსტშევარდნაძისეულ ეპოქაზე" ხელი შეიძლება სერიოზულად შეუშალოს.

ამის გაკეთება შეუძლია მეორე სერიოზულ პოლიტიკურ ჯგუფს, რომელიც საფიქრებელია, კანცელარიის სიახლოვეს ტრიალებს.

ამგვარად, დღეს ქართულ პოლიტიკაში რეალურად ორი ძლიერი პოლიტიკური ძალაა საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში, და ისინი ერთმანეთს პრეზიდენტის სავარძლისთვის ებრძვიან(?!)

თუმცა, სანამ სახელისუფლებო ეშელონებში მოქმედი დაჯგუფებები ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკური მემკვიდრეობისათვის (!) იბრძვიან, ჯერ შევარდნაძეს ამ პოსტზე ყოფნის კიდევ 4 წლის ვადა აქვს. 4 წელი სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ ის პოლიტიკოსები, რომლებიც მან თვითონ წამოსწია, მანვე დაივიწყოს.

რაც შეეხება „ვაშინგტონ პოსტში" გამოქვეყნებულ სტატიას, სადაც ჩვენი მმართველი პარტიის ლიდერების უარყოფითი გამონათქვამები არის მოყვანილი საქართველოს პრეზიდენტზე – იგი უბრალოდ საბაბი გახდა ახალი აჟიოტაჟის ასატეხად. და ეს, ბუნებრივია, კანცელარიის დაჯგუფების ინტერესებში შედის, რადგან ამ სტატიაში პარლამენტის ეკონომიკური პოლიტიკის თავმჯდომარე, მიშა სააკაშვილის მეგობარი ივანე მერაბიშვილი საქართველოს პრეზიდენტს ერთობ არასახარბიელოდ მოიხსენიებს, ისევე როგორც ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის" ლიდერი რევაზ ადამია.

სხვათა შორის, ამ უკანასკნელმა გუშინ სპეციალურად გამართულ პრესკონფერენციაზე უარყო „ვაშინგტონ პოსტში" გამოქვეყნებული მისი ნათქვამის სისწორე. როგორც ფრაქციის თავმჯდომარე ამბობს, მას ამერიკელ ჟურნალისტთან საათნახევრიანი საუბარი ჰქონდა და გაზეთში გამოქვეყნებული მისი სიტყვები კონტექსტიდან ამოვარდნილი დაიბეჭდა. სინამდვილეში კი რეზო ადამიას ჟურნალისტისთვის უთქვამს, ხალხში ზოგჯერ საუბრობენ, რომ პრეზიდენტი მოხუცდა და მის ნაცვლად სხვა უნდა მოვიდეს ხელისუფლებაშიო. მაგრამ ამის შემდეგ ადამიას, როგორც თავად ამბობს, ქართულ პოლიტიკაში შევარდნაძის დიდებით სიახლეზე უსაუბრია, თუმცა ამერიკელმა ჟურნალისტმა მისი ნათქვამი ტენდენციურად გაამუქა. ამიტომაც, როგორც რეზო ადამია მიიჩნევს, „ვაშინგტონ პოსტის" ჟურნალისტი პიტერ ბეიკერი, რომელიც ამ გაზეთის მოსკოვის ბიუროს ხელმძღვანელია, საქართველოს მიმართ უარყოფითად არის განწყობილი და იგი ჩვენს ქვეყანას მოსკოვის პრიზმიდან, რუსული მასმედიის თვალით აღიქვამს.

ივანე მერაბიშვილის მიერ ამავე გაზეთში ბეიკერის ინტერპრეტირებულ მოსაზრებებს კი, თანაპარტიელები მკაცრად აფასებენ. უმრავლესობის ზოგიერთი ლიდერი უკვე მერაბიშვილის თანამდებობრივ შეუთავსებლობაზე საუბრობს, რეზო ადამია კი მაინც უფრო თავშეკავებულია და როგორც ფრაქციის თავმჯდომარე, მასთან შეხვედრას აპირებს.

არსებული ინფორმაციით, ვანო მერაბიშვილმა თავისი პირადი შეხედულებები საქართველოს პრეზიდენტის შესახებ ამერიკელ ჟურნალისტს „შინაურ" ვითარებაში, უფრო ზუსტად კი რესტორანში, გაუზიარა. ჰოდა, ამერიკელმა ჟურნალისტმა პროფესიული ეთიკა გვერდზე გადადო და ქართულ პოლიტიკაში კარგა გვარიანი სკანდალიც გამოიწვია.

ახლა კი ქართველი ჟურნალისტები ამერიკელი კოლეგის მიერ ეთიკური კოდექსის დარღვევის მართლზომიერებას ვიხილავთ, ხოლო მოქალაქეთა კავშირის ხელმძღვანელობა – მერაბიშვილის მიერ პარტიული ეთიკის დარღვევის საკითხს და, როგორც მოსალოდნელია, ამაზე მსჯელობა სერიოზულ დონეზე გაგრძელდება. რადგან ზურაბ ჟვანიას ირანიდან დაბრუნების შემდეგ შესაძლოა კანცელარიაში პარტიის მთავარი საბჭოც კი შეიკრიბოს, სადაც მოქალაქეთა კავშირში ბოლო ხანებში განვითარებულ სახიფათო ტენდენციებზე იქნება საუბარი.

როგორც ჩანს, მომწიფდა დრო, როცა მმართველ პარტიაში რევოლუციური ხასიათის ცვლილებები შეიძლება დაიწყოს: – ყველა დაჯგუფება იძულებული გახდეს ჩამოიცილოს „ფსევდონიმები" და საკუთარი სახელი დაირქვას.

ბიძა ჟიდია.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 91. ოთხშაბათი, 18 აპრილი, 2001 წელი.

განსჯა

ჭარბია ეს თუ ცუდი, „მეთერთმეტე მუზად“ შერაცხულ ტელევიზიას თანამედროვე ადამიანის ცხოვრებაში გაცილებით დიდი ადგილი უჭირავს, ვიდრე ხელოვნების, მთლიანად კულტურის ნებისმიერ დარგს, თვით წიგნის ჩათვლით, რაც, თავისთავად, ფრიად დამაღონებელი, მეტიც, შემაშფოთებელი რეალობაა...

ფანტასტიკური აუდიტორია ჰყავს ტელემაუწყებლობას. ზემოქმედების ძალითაც ხომ მას ვერაფერი შეედრება. განვითარებად ქვეყნებშიც კი ტელევიზორი პირველი მოთხოვნილების საგანია და არა ფუფუნებისა. გამოკითხვების დროს პრევალირებს გამოთქმა: „როგორ ცხოვრობდნენ წინათ უტელევიზოროდ?“ ადამიანები ბევრ აუცილებელ ნივთს იკლებენ, მაგრამ ამ ჯადოსნური ყუთის გარეშე ვერ ძლებენ. მრავალმილიონიანი ტირაჟის მქონე უპოპულარულესი გაზეთი, ან საყოველთაოდ აღიარებული სოლიდური ჟურნალი კი არა, ყველა ერთად, მთელი პრესა ვერ დაიტრაბახებს, რომ ტელეაუდიტორიის, თუნდაც, ნახევარი ჰყავს. ასევე კინო და რადიოც კი!

თანამედროვე საზოგადოება ინფორმაციით ცხოვრობს. აქ ლაპარაკი არ არის მხოლოდ ქართულ, უკიდურესად პოლიტიზებულ საზოგადოებაზე, რომელიც მზადაა ყოველგვარი შიმშილისათვის თვინიერ საინფორმაციოსი. ტელევიზია ხომ ამ შიმშილის დაკმაყოფილების უებარი წამალია. იგი ადამიანებს „ართმევს“ დიდ ნაწილს თავისუფალი დროისას (ოღონდ, არა საქართველოში, სადაც თავისუფალი დრო თავზე საყრელადაა), ასწავლის, ართობს, აფიქრებს, აწვდის სულიერ საზრდოს, ათას ჭორ-მართალს (ცოტათი, ჩვენში დარჩეს და, რყვნის კიდეც); აცნობს თავისი ქვეყნისა და მსოფლიოს სიახლეებს, აერთიანებს, ამაღლებს, უღვივებს პატრიოტიზმის, ჰუმანიზმის გრძნობებს, უვითარებს სახელმწიფოებრივად აზროვნების უნარს.

ადგილზე ყოფნის განუმეორებელი ეფექტის, „აი, ამ წუთას“ პრინციპის გამოყენებით, ემოციური ზეგავლენით ტელევიზიას ძალუძს ძალზე მნიშვნელოვან იდეოლოგიურ, ზნეობრივ, აღმზრდელობით შედეგებს მიაღწიოს. აკი, იქცა კიდეც ადამიანებზე იდეური და ესთეტიკური ზემოქმედების უმძლავრეს საშუალებად იმათგან, კაცობრიობას რომ შეუქმნია მთელი თავისი არსებობის მანძილზე. და ეს — მეოცე საუკუნის მეორე ორმოცდაათწლეულში. მაღალგანვითარებულ ქვეყნებში უფრო ადრეც. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში, უკვე 1949 წელს, როცა საბჭოთა კავშირში ტელევიზია მხოლოდ ფეხს იდგამდა, საკაბელო მაუწყებლობაც ჰქონდათ!

რასაკვირველია, ტელევიზიის, როგორც ტექნიკისა და ხელოვნების ყველაზე ახალგაზრდა დარგის, ასევე, მასობრივი ინფორმაციისა და კავშირგაბმულობის უახლესი საშუალების (ინტერნეტის მასობრიობა მხოლოდ ახლა იწყება) მთელი შესაძლებლობები, დასავლეთშიც კი, ბოლომდე და სრულად არ არის შესწავლილი და, მაშასადამე, გამოყენებული. მეცნიერები დღემდე აკვირდებიან, იკვლევენ, განსაზღვრავენ ადამიანისა და ტელევიზიის ურთიერთდამოკიდებულების ასპექტებს, ცოდნისა და საქმიანობის სულ სხვადასხვა სფეროში მისი გამოყენების შესაძლებლობებს. დადგენილია, მაგალითად, რომ ბავშვში იგი აყალიბებს დამოუკიდებელი აზროვნების საკუთარ ყაიდას (თუმცა, ამავე დროს, ლაპარაკობენ ბავშვთა სატელევიზიო ნარკომანიაზეც). განუხრელად ვითარდება სატელევიზიო მრეწველობა, მუშავდება ახალი ტექნოლოგიები, კონსტრუქციები, პროექტები, აპარატების გამოსხივების ზღვრულად შემცირების ოპტიმალური გზები. ერთი სიტყვით, ყველაფერი კეთდება საუკუნის ამ ნამდვილი სასწაულის მიღწევათა ცხოვრებაში დასანერგად, ანუ ადამიანის სამსახურში ჩასაყენებლად.

ყოველივე ამას ჩვენ მზამზარეულს მივიღებთ. ოღონდ, უკვე ახლა, ძალისხმევა არ უნდა დავიშუროთ ტელევიზიის თავდაპირველი და მთავარი დანიშნულებით, თითოეული მაყურებლის, მაშასადამე, მთელი ხალხის სასარგებლოდ გამოყენებისათვის. შემდგომ კი, ჩვენი პოტენციის ხალხს არ გაუჭირდება გაცილებით რთული ამოცანები დაისახოს და წარმატებითაც გადაწყვიტოს.

ფიქრები ქართულ ტელემაუწყებლობაზე

ტელევიზია და ჩვენ

ასე რომ, არც ისე შორია იმ ამერიკამდე, აწ უკვე, ერთადერთ ზესახელმწიფომდე, სადაც მაუწყებლობის „უმაღლესი პილოტაჟის“ დემონსტრირებას ახდენენ „სამ ვეშაპად“ წოდებული უმსხვილესი კომერციული ტელეკომპანიები: „ეი-ბი-სი“, „ენ-ბი-სი“ და „სი-ბი-ესი“, ასევე, ტელესამყაროში უდიდეს მიღწევად მიჩნეული, გიგანტური კორპორაცია „სი-ენ-ენი“ და ასობით რეგიონული (შტატების) არხი თავიანთი უბადლო, ცოცხალ ლეგენდებად ქცეული წამყვანებით და რეპორტიორებით, შოუმენებით და მენეჯერებით. ისინი, 24 საათის განმავლობაში, განუწყვეტლივ გადასცემენ ციხცხალ ინფორმაციას, სპორტულ, მუსიკალურ, გასართობ (სამი ძირითადი არხი — „ბრავო“, „ეიჩ-ბი-ოუ“ და „სინემაქსი“), შემეცნებით და სამეცნიერო-პოპულარულ პროგრამებს, პუბლიცისტიკას, ე. წ. „სალაპარაკო შოუს“ და, რაღა თქმა უნდა, კინოფილმებს (დღეში — 350-ზე მეტს!) თუ „საპნის ოპერების“ სერიალებს.

გარდა ამისა ტელევიზიას, როგორც ინფორმაციისა და რეკლამის წყაროს, ფართოდ იყენებენ სუფთა პრაგმატული მიზნებით. „სი-ენ-ენის“ ერთი არხი, მაგალითად, მთელი დღე-ღამის მანძილზე ეთმობა... მეტეოპროგნოზს. დიახ, პერმანენტულად, მუსიკის ფონზე, გადაიცემა ცნობები — როგორი ამინდი იქნება ამერიკასა და „იმერიკაში“. სახლიდან გასვლის ან საზღვარგარეთ გამგზავრების წინ, თქვენ რთავთ ამ არხს, ეცნობით პროგნოზს და... თადარიგის დაჭერა არ გაგიჭირდებათ.

იმავე, „სი-ენ-ენის“ სპეციალური არხით მაყურებელი იღებს ამომწურავ ინფორმაციას — სად რა საქონელი იყიდება დაკვეთით. ამით მილიონობით ოჯახი თავისუფლდება საყიდლებზე გასვლისაგან — ტელეფონით უკვეთავს, რაც სურს და, დათქმულ დროს, შინ მიართმევენ. ამერიკელები ხომ დიდად აფასებენ თავიანთ უფლებას — ჰქონდეთ არჩევანი ყველაფერში!

მსგავს განცხრომამდე, ეტყობა, ჩვენ („ახალ ქართველებს“ და ე.წ. ელიტარებს ნუ ვიგულისხმებთ!), ერთ ხანს (!), კიდევ ვერ მივაღწევთ. მაგრამ ის კი შესამჩნევია, რომ გაცილებით რაციონალურნი და მობილურნი გავხდით (არა ოდენ ფიჭური ტელეფონების ხარჯზე!). ჰოდა, ხვალ-ზეგ სად გვექნება იმდენი დრო, საათობით ვუჯდეთ ტელევიზორებს. მერე და მერე, აღარც ის გაგვაკვირვებს, რა საჭიროაო სამოცი არხი. უბრალოდ, ყოველი მათგანის დანიშნულება გვეცოდინება და ავირჩევთ იმას, რომელიც უფრო დაგვაინტერესებს, აგვაღელვებს, გვასიამოვნებს. ამასობაში გემოვნებაც აგვიმაღლდება, მოთხოვნილებაც გაგვეზრდება და... ჩვენი ტელევიზია ხომ მზად იქნება ყოველგვარი გემოვნების, ყველაზე მკაცრი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად! ყველას თავისი საყვარელი პროგრამა, ციკლი, თუ რუბრიკა გვექნება და ჩვენი გამორჩეული ტელეწამყვანი გვეყოლება. თითოეული მათგანი, ცხადია, ჩინებულად იქნება დაუფლებული თავის საქმეს, მაგრამ შენი, მაინც შენია, ის, ვისაც უყოყმანოდ ენდობი და არც იგი გიმტყუნებს არასოდეს...

დღესდღეობით კი, რა ვქნათ, მხოლოდ საოცნებოდ გვაქვს საქმე. ძალიან ცოტანი გვყავან ტელეწამყვანები, რეპორტიორები, კომენტატორები, რომლებზეც დაუფიქრებლად, მთელი გულით იტყვი: აი, ეს კარგია! სამაგიეროდ, გვყავან ნახევრად და სრულიად უწიგნური „ახალ-უხლები“ თანამედროვე რასტინიაკები, რომელთაც ისიც არ უწყიან, ვისზეა ლაპარაკი.

და ეს უწიგნურობა და უკულტურობა, სულიერი სიღატაკე და ანტიესთეტიზმი, ეკრანიდან ნიაღვრებად შემოვარდა ჩვენს ოჯახებში, მყარად „ჩაჯდა“ და ჩაიბუდა ადამიანთა გონებასა და ლექსიკაში, გაბატონდა ხალხის ცნობიერებაში.

გასაგებია, არ არის იოლი — დაწერო ეს აბზაცები. მაგრამ რეალობა, სამწუხაროდ, სხვა, ოპტიმისტურ საფუძველს არ იძლევა.

ამ სტრიქონების ავტორს წამყვანების პრობლემა იმდაც ესახება უმთავრესად, განსაკუთრებით აქტუალურად, რომ გადაცემები, მათი სტრუქტურა და თემატიკა, შესაძლოა, ერთი ხელის დაკვრით, შეცვალო უკეთესობისაკენ, მაგრამ წამყვანების მოძიებას და მომზადებას წლები სჭირდება...

გასაღები თვით ტელევიზიის არსშია, მის მრავალთაგან ერთ თავისებურებაში — იგი ფლობს ყოვლისმძლე ძალას და, როგორც არაფერი სხვა, ულმობელია! თავისი გამჭოლი ხედვით ძირისძირამდე სწვდება ადამიანის მთელ შინაგან სამყაროს, ამიშლებს მას, ვითარცა ლაკმუსი, გნებავთ, რენტგენი, ამჟღავნებს და... „ხელისგულზე უდებს“ მაყურებელს. იმ პლანით და იმ რაკურსით, ისე „მზაკვრულად“, რომ მაყურებლისათვის არაფერი სირთულეს არ წარმოადგენს დაინახოს, ამოიცნოს „მსხვერპლის“ მთელი აგლადიდება — სიყალბე და მოჩვენებითობა, ამბიციურობა, უვიცობა...

ესეც ხომ დაუნდობლობა, ულმობლობაა ტელევიზიისა: ეკრანზე ერთადერთი გამოსვლით კაცმა შეიძლება უთვალავი ახალი მეგობარი და გულშემატკივარი შეიძინოს, ან, კიდევ, ათწლობით ნაგროვები ავტორიტეტი ერთბაშად დაკარგოს...

ანბანური ჭეშმარიტებაა: შეხედულებას ადამიანზე, რომელიც ეკრანიდან ესაუბრება, წამყვანია იგი, პოლიტიკური, თუ საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი, მსახიობი, სპორტსმენი, თუ სტუდენტი, ტელემაყურებელი იქმნის არა იმდენად მისი გამოსვლის შინაარსით, რამდენადაც თავდაჭერის უნარით, დამაჯერებლობით, უშუალობით და ძალდაუტანებლობით. მეტწილად, ასევე განისაზღვრება საზოგადოებრივი აზრი „ეკრანის კაცზე“.

ამიტომ, შენ რომ წამყვანი ხარ და მთელი იმ ხნის მანძილზე, რაც კადრში, გინდ კადრსმიღმა, ესაუბრები შენთვის უხილავ და უცნობ მაყურებელს, უნდა გქონდეს იმის უფლება, რომ დაეპატრონო მის დროს, ყურადღებას, გონებას, ემოციებს. მაყურებელს, ტელეეკრანზე რომ გიყურებს, უწინარეს, და არა ოდენ ქვეშეცნეულად, აინტერესებს შენი პიროვნება, შენი მეობა. რაობაც, ცხადია. ამ იდუმალი კონტაქტით უნდა განისაზღვროს თქვენი შემდგომი „ურთიერთდამოკიდებულება“, შენდამი მისი ინტერესი, სიმპათია-ანტიპათია, ნდობა. სწორედ წამყვანისადმი მაყურებლის ნდობაშია საწინდარი გადაცემის წარმატებისა. თუ მას რწმენით და სიმართლით, საქმის ცოდნით ვერ უძლევი, ილაპარაკე რამდენიც გინდა, თუნდაც, ჭკვიანური აზრებით აღსავსე და წიგნიერადაც დაწერილი ტექსტი, უკითხე მორალი... არ გიჯერებს ის კაცი, არ გენდობა. „გაგშიფრა“ და იმიტომ!

იმედი ვიქონიოთ, არცთუ შორეულ მომავალში გარდუვალია შემობრუნება ხარისხობრივად ახალი ტელემაუწყებლობისაკენ. ჯერჯერობით ეს არ ხერხდება ახლებური არაორდინარული აზროვნების გარეშე. გასაგებია, უწინა[illegible]ეს ვის მოეთხოვება ეს ახლებუ[illegible]ი აზროვნება (საერთოდ, ალბათ, არც სხვებს გვაწყენდა!).

მანამდე კი, სხვა რაღა დაგვრჩენია, ვუჭერიტოთ ხუმტურს, რაც არცთუ მცირე პროცენტია იმისა, ქართულ სატელევიზიო ეთერში რომ გადის. რას იზამ, „ჭეშმარიტი დემოკრატია უხუმტუროდ არ გამოდის“. ეს ბოლო ფრაზა მე არ მეკუთვნის. ეს მოსაზრება მარკ ზახაროვმა „თავისი“ ტელევიზიის მისამართით გამოთქვა, ჯერ კიდევ მაშინ, საბჭოთა რომ ერქვა და „პერესტროიკა-გლასნოსტის“ მიერ ნაბოძები აზატობით ლაღობდა. ცოტა არ იყოს, მკაცრად მეჩვენა რუსული ტელევიზიის ასეთი შეფასება. ასეა თუ ისე, ვევედროთ უფალს, მალე გამოიყვანოს ქვეყანა და ერი ჩვენი სულიერი კრიზისიდან. ბარემ — მატერიალურიდანაც.

ჩვენი ეკრანის შემყურეს, ამ საქმის ხელმძღვანელობისა და შემოქმედებითი პერსონალის უმეტესი ნაწილის დამოკიდებულების, მათი მუშაობის სტილისა და მეთოდების მცნობს, ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, რომ ტელევიზიის ფენომენი ჩვენში ჯერაც გაუცნობიერებელია. დაკვირვებული პროფესიონალების ხელში ხომ იგი არა ოდენ ინფორმაციის ყველაზე პოპულარული წყარო და გონიერული გართობის შესანიშნავი საშუალება იქნებოდა, არამედ — საიმედო ინსტრუმენტი, მთელი მექანიზმი, ხალხში კულტურისა და განათლების შესატანად, რისი დეფიციტიც, ამ სიდუხჭირეში, სრულიად აშკარად გამოჩნდა.

მაგრამ, როცა ამ მძლავრ ფენომენს გაუბრალოებულ-გაიოლებულ საქმედ აქცევ, ჩვეულებრივ, ადვილად სამართავ უწყებად წარმოიდგენ და გაუშინაურდები, მაშინ ისე დააკნინებ, იმ დონეზე დაიყვან, როგორც ჩვენთანაა. მეტიც, წიგნიერების, სულიერების სანაცვლოდ ერზაცს, სტერეოტიპებს სთავაზობ, საგნებისა და მოვლენების შენეულ სახელებს, საკუთარ მცდარ ხედვას ახვევ თავს მილიონობით ადამიანს, რომელთა დიდი ნაწილი, საუბედუროდ, ბრმად გიჯერებს.

ასე მკვიდრდება მდარე გემოვნება, სიყალბე, რაც ისედაც საკმარისად „ჩათესლა“ „საბჭოთა მშრომელი მასების“ ცნობიერებაში წარსულმა რეჟიმმა. მისი აღმოფხვრა, ვითარების წალმა შემობრუნება, რაც დრო გადის, მით უფრო ძნელი ხდება. ხოლო, როცა იმაზე, რაც ახლა გვაქვს, ავტორიტეტულად აცხადებ, კარგიაო, ეს ნიშნავს, რომ ხვალ უარესი გვექნება, ზეგ — კიდევ უფრო და ა. შ. ასე, მთელი მაუწყებლობა ნომინალურ ღირებულებად, მსუბუქი გართობის საშუალებად გვექცევა (თუ უკვე არ გვექცა!). არადა, შემობრუნების პროცესისათვის ხელის შეწყობა, ყველაზე მეტად, ხელეწიფება სწორედ ტელევიზიას, თავისი განუსაზღვრელი შესაძლებლობებით, ამასთან, არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ ფონზეც კი.

ამის მკაფიო მაგალითია საქართველოს რადიოს პირველი არხი. შთამბეჭდავია რუსეთის სატელევიზიო არხების საქმიანობა უკანასკნელ ათწლეულში. ვინ იტყვის, რომ ამ კოლოსალურმა სახელმწიფომ არ განიცადა ეკონომიკის დაცემა, საერთო რეგრესი, რაც მუდამ ახლავს ხოლმე გარდამავალ პერიოდს? მაგრამ ამას ტელევიზიის ხარისხზე არათუ არ უმოქმედია, პირიქით, ჯერ კიდევ შვიდი-რვა წლის წინათ, ყოვლისმომცველი კრიზისის პიკზე, ახალ რელსებზე გადაიყვანეს და, არსებითად, მძლავრი, თანამედროვე ტელეინდუსტრია შექმნეს. სხვათა შორის, ისიც ნიშანდობლივია, რომ უკვე მაშინ ექსტრაკლასის ტელეწამყვანებს იქ რვა-ათი ათას დოლარს უხდიდნენ!

მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარია ქართული ტელეარხების დღევანდელი მდგომარეობა, რაიც, უცილობლად, გამოკეთებას საჭიროებს.

ანზორ ზამბახიძე,
ბათუმი.

(გაგრძელება იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 88-90.

სანთელი

დღეს იგი 75 წლის გახდებოდა

ამ ქვეყნიდან მისი წასვლით გამოწვეული ტკივილი არა მხოლოდ მის ოჯახს, არამედ მთელ ქართველ საზოგადოებას, პირველ რიგში კი, — მის მოსწავლეებს ჯერ ვიდევ არ განელებიათ. „ახლა რომ ბატონი სერგო ცოცხალი იყოს“, — ეს სიტყვები მის ახალგაზრდა კოლეგებს არაერთხელ წამოსცდენიათ, როცა ბრძენი ადამიანის რჩევა და ჭკუის დარიგება პაერივით დასჭირვებიათ.

ბატონი სერგო ჯორბენაძე იმ გამორჩეულ ადამიანთა რიცხვს განეკუთვნება, რომელთაც ქვეყნისადმი უანგარო სიყვარულითა და ხაზგასმული თავმდაბლობით ჩვენი ხალხის შეგნებული ნაწილის მარადი პატივისცემა და აღიარება დაიმსახურეს. იგი იმ ბედნიერ ადამიანთა რიცხვს განეკუთვნება, რომელთა საქმენი სამკაულად გამოადგება ქვეყანასა და ხალხს. ვიდრე ქართული სახელმწიფო და სამართალი იარსებებს, მუდამ იმოქმედებს ბატონი სერგოს უსამანო ნიჭის ქმნილება — საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, კოდექსი, რომელზეც არა მხოლოდ მრავალი თაობის იურისტები აღიზრდებიან, არამედ რომლის თარგზეც საქართველოს ასეულ ათასობით მოქალაქე მოაწყობს თავის ცხოვრებას.

სამწუხაროდ, ბატონ სერგოს იმ დროს მოუწია სამეცნიერო მოღვაწეობა, როცა სამართალი ავტორიტარული წყობილების ოდენ იდეოლოგიურ დანამატს წარმოადგენდა. სამართლის, განსაკუთრებით, სამოქალაქო სამართლის ამგვარი დაკნინებისადმი პროტესტად უნდა შეფასდეს ის, რომ სერგო ჯორბენაძემ თავისი დიდი ნიჭი ისტორიული კვლევისაკენ მიმართა. ისტორიულ მეცნიერებასაც დიდძალი მემკვიდრეობა დაუტოვა ბატონმა სერგომ, რომელსაც სიამოვნებით ეუფლებიან ახალი თაობის ისტორიკოსები.

გულსატკენია, რომ ბატონ სერგოს აღარ დასცალდა ყოფილიყო მუხლმოუდრეკელი თანამონაწილე იმ დიდი საქმისა, რომელსაც ჰქვია ახალი სამართლის დანერგვა ცხოვრებაში. საბედნიეროდ, ნებისმიერი ერის ისტორიაში ეს გრანდიოზული პროცესი — ახალი სამართლის დამკვიდრება — წარმატებით ვითარდება ჩვენში და საფუძველი ეყრება სამოქალაქო საზოგადოებას.

უპირველესი მეცნიერი უპირველესი მოძღვარიც იყო. იურისტთა მრავალ თაობას მოუსმენია მისი ლექციები, როგორც უფლებისათვის ბრძოლის შესანიშნავი პოეზია. მეცნიერ ცივილისტთა ბრწყინვალე კორპუსი, რომელიც დღეს წარმატებით აგრძელებს ბატონი სერგოს მიერ გაკვალულ გზას, სწორედ რომ მის მიერაა დამოძღვრილი. ხშირად იტყვიან ხოლმე: მოძღვარი სწორედ ისეთი უნდა იყოს, როგორიც იყო ბატონი სერგო. იგი ყოველთვის პატივისცემით ეპყრობოდა თავისი მოწაფეების აზრს და მათ თავისუფალ მოაზროვნეებად ზრდიდა.

ბატონი სერგო იყო მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა ემსახურო საკუთარ ხალხსა და ქვეყანას. მან პატიოსანი, უანგარო და დაუღალავი შრომით შეალია თავისი სიცოცხლე საქართველოს კეთილდღეობას. მას არასოდეს სამაგიერო არ მოუთხოვია. უდიდეს სირცხვილად მიიჩნევდა მცირე პრეტენზიებსაც კი. იგი ხშირად იტყოდა ხოლმე: ბედნიერები ვართ, რომ გვეღირსა გვქონდეს ჩვენი სამართალი და იმაზე დიდი პატივი რაა, იყო ამ სამართლის ერთ-ერთი შემოქმედი. სწორედ ამიტომ იყო ბატონი სერგო თავისი ქვეყნის უდიდესი პატრიოტი.

ბატონმა სერგომ ბევრი იღვაწა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთოდ მეცნიერების განვითარებისათვის. ძეგლი დაუდგა დიდი ივანე ჯავახიშვილის ხსოვნას ამ ღირსეულ მამულიშვილზე პირველხარისხოვანი მონოგრაფიის შექმნით, რაც სახელმწიფო პრემიითაც აღინიშნა.

შეიძლება დიდხანს ვილაპარაკოთ ბატონ სერგო ჯორბენაძის დამსახურებაზე ქართული იურისპრუდენციის წინაშე. ჩვენი უსაყვარლესი მასწავლებლის ამ მცირე მოგონებით ვკმაყოფილდებით ამჯერად. მომავალშიც ბევრი ითქმება და დაიწერება მის შესახებ. ვიდრე იარსებებს ახალი ქართული სამართალი, ბატონი სერგოს სახელიც უკვდავი იქნება.

რაც მეტი დრო გავა, კიდევ უფრო ცხადი გახდება, მისი დამსახურება ქართული სამართლებრივი კულტურის წინაშე.

პროფესორი
ლადო ჭანტურია,
პროფესორი
ბესარიონ ზოიძე.

აფხაზები ქართველი პარტიზანების მიმართ მკაცრი ზომების მიღებას მოითხოვენ

ოჩამჩირეში, გუდაუთასა და ტყვარჩელში, შეიარაღებულ პირთა მონაწილეობით, აფხაზთა მიტინგები გაიმართა და პროტესტი გამოითქვა აფხაზ სამხედროთა გატაცებისა და ქართველ პარტიზანთა გააქტიურების გამო, — აცნობა „იფრინდას“ სარწმუნო წყარომ. აქციის მონაწილეები სოხუმის ხელისუფლებისაგან პარტიზანების წინააღმდეგ უფრო ქმედითი ნაბიჯების გადადგმას მოითხოვენ.

უბედური შემთხვევა სასაზღვრო საგუშაგოზე

დედოფლისწყაროს რაიონში, სასაზღვრო საგუშაგო „ჭაჭუნას“ ტერიტორიაზე უბედური შემთხვევა მოხდა და 2 მესაზღვრე დაიღუპა, იუწყება „იფრინდა“.

იარაღის წმენდისას რიგით ბიჭაშვილს გაუვარდა ტყვია, რომელიც რიგით ვარდანაშვილს მოხვდა. სამწუხაროდ, ჭრილობა სასიკვდილო აღმოჩნდა. აღნიშნულის შემდეგ კი, ბიჭაშვილმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. დღეს შემთხვევის ადგილზე გაფრინდა სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე, გენერალ-ლეიტენანტი ვალერი ჩხეიძე. მომხდართან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო.

ჭუბურხინჯში ხელი მოაწერეს შეხვედრის ოქმს

16 აპრილს გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯში გაიმართა ქართული და აფხაზური მხარეების წარმომადგენელთა შეხვედრა საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის დიტერ ბოდენის ხელმძღვანელობითა და ქართველ-აფხაზთა კონფლიქტის ზონაში მშვიდობის მხარდამჭერი კოლექტიური ძალების წარმომადგენლის გენერალ ალექსანდრე ბუგაევისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქართველოში მეთვალყურეობის მისიის მთავარი სამხედრო მეთვალყურის, გენერალ ანის ბაჯვას მონაწილეობით. შეხვედრაზე განიხილეს „კონფლიქტის ზონაში გამწვავებული სიტუაცია“. შეხვედრის მონაწილეებმა ხელი მოაწერეს ოქმს. მასში აღნიშნულია, რომ მხარეებმა „სერიოზული შეშფოთება გამოთქვეს შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით“.

დოკუმენტში ნათქვამია: „სიტუაციის რაც შეიძლება მალე მოწესრიგებისათვის მხარეები დათანხმდნენ განახორციელონ შემდეგი ღონისძიებანი:

1. განსაზღვრონ ყველა დაკავებული პირის ფიზიკური მდგომარეობა, შეძლებისდაგვარად, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

2. არ დაიშურონ ძალ-ღონე, რათა ყველა დაკავებული გადაიყვანონ შესაბამის სამართალდამცავ სტრუქტურათა იურისდიქციაში.

3. გადასცენ 7 აპრილს უსაფრთხოების ზონაში მოკლული შეიარაღებული ჯგუფის ორი წევრის გვამი“.

მხარეები დათანხმდნენ, მუდმივი კონტაქტები დაამყარონ ერთმანეთთან ამ სიტუაციის სრული მოწესრიგებისათვის შემდგომი კონკრეტული ღონისძიებების განხორციელების მიზნით.

მკვლელობა „დიდუბე პლუსში“

დიდუბე-ჩუღურეთის შინაგან საქმეთა სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს მესტიის რაიონში მცხოვრები გია გურჩიანი და ამბროლაურელი სამსონ ლომთაძე, რომლებიც მესტიაში მცხოვრებ რომან კვანჭიანთან და დათო ქურდიანთან ერთად თავს დაესხნენ თბილისში, წინამძღვრიშვილის ქუჩაზე მდებარე შპს „დიდუბე პლუსის“ სასურსათო საწყობს და საწყობის თანამშრომლებს მუქარით წაართვეს 2050 ამერიკული დოლარი და 1500 ლარი. თავდამსხმელებმა ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელი ყაზბეგ ირემაძე. დიდუბე-ჩუღურეთის დაცვის პოლიციის განყოფილების მუშაკმა გელა კაჭკაჭიშვილმა, საპასუხო გასროლით დაჭრა ერთ-ერთი თავდამსხმელი — გია გურჩიანი, რომელიც საავადმყოფოში მოათავსეს.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, იფრინდამ.

განცხადება

(პირველი გვერდიდან)

საქართველოში სამართლებრივი სახელმწიფოს აღმშენებლობა და სახელმწიფოებრიობის განმტკიცების პროცესი რეალურად დაიწყო მას შემდეგ, რაც დღის წესრიგში რადიკალურად დაისვა სასამართლო ხელისუფლების რეფორმის საკითხი. ამ იდეამ უმალვე ჰპოვა ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრის ფართო მხარდაჭერა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან. ქვეყანაში არსებული რთული სოციალური ვითარებისა თუ რეტროგრადული ძალების მიერ გაწეული წინააღმდეგობის მიუხედავად, სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ინსტანციებს, საბედნიეროდ, აღმოაჩნდა საკმარისი და მტკიცე პოლიტიკური ნება, რაც აუცილებელი იყო, როგორც სასამართლო სისტემის, ისე მართლმსაჯულების რეფორმის რეალურად განხორციელებისათვის. არ გამართლდა იმათი პესიმისტური პროგნოზები, ვინც ახალ სასამართლოებსა და მართლმსაჯულებას, ამოქმედების შემდეგაც კი, გარდუვალ კრახს უწინასწარმეტყველებდნენ.

თითქმის ორი წელია წარმატებით ფუნქციონირებს ახალი სასამართლო სისტემა, ხორციელდება მართლმსაჯულება, რომელმაც უკვე მოიტანა მრავალი კეთილი ნაყოფი. ეს შესაძლებელი გახდა მოსამართლეებისა და სასამართლო აპარატის მუშაკთა ყოველდღიური მძიმე და კეთილსინდისიერი შრომის წყალობით, რომელთაც საქმიანობა უხდებათ ურთულეს პირობებში — ძალზე მწირია სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, უაღრესად არახელსაყრელია სამუშაო პირობები, იყო დაგვიანებებით ხელფასების გაცემის შემთხვევები. უფრო მეტიც, 2000 წლის ივნისისა და დეკემბრის თვეების ხელფასები საერთოდ არ გაცემულა, ხოლო მათთან ერთად მოსამართლეებმა შეღავათების თანხებიც კი დაკარგეს. მთლიანად გაუქმდა მოსამართლეთა საშეღავათო დახმარებები, აგრეთვე, სასამართლო აპარატის მუშაკთა შრომის ანაზღაურების საპრემიო სისტემა, რომელთა ხელფასები ისედაც ძალზე დაბალია და აშკარად არ შეესაბამება მათ შრომით დატვირთვას. მოსამართლეებისა და სასამართლო აპარატის მუშაკთა ხელფასების დროულად გაცემის, აგრეთვე, უკვე არსებული სახელფასო დავალიანების დაფარვის პრობლემა აუცილებელია სასწრაფოდ გადაიჭრას, ვინაიდან იგი სასამართლოებში კორუფციის წარმოშობა-განვითარების სერიოზულ საფრთხეს შეიცავს და მთლიანად ქარს გაატანს ბოლო წლების ყველაზე დიდ მონაპოვარს, რაც დანაშაულის ტოლფასია. საჭიროა ხელისუფლების მიერ არსებული ფინანსური რესურსების ხარჯვის პრიორიტეტების მართებულად განსაზღვრა.

ყოველივე ამას ემატება მრავალი ორგანიზაციული პრობლემა, რომელთა დამოუკიდებლად გადაჭრა სასამართლოების ადმინისტრაციის შესაძლებლობებს აღემატება. მათგან ორიოდე მაგალითის დასახელებაც კი ნათელ წარმოდგენას შეგვიქმნის არსებულ მდგომარეობაზე: ძალზე დიდია ცალკეული სასამართლოს საქმეებით გადატვირთვა (თბილისის საოლქო სასამართლო, ქ. თბილისის რაიონული სასამართლოები და სხვა), რის გამოც ვერ ხერხდება საქმეთა განხილვის კანონით დადგენილი ვადების დაცვა, რითაც ირღვევა მხარეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები. ამ ფონზე ყოვლად გაუგებარია ინერტულობა ისეთი სერიოზული პრობლემის გადაჭრის თვალსაზრისით, როგორიცაა პატიმრობაში მყოფი განსასჯელებისა და მსჯავრდებულების სასამართლოებში გადაყვანა-ბადრაგირება, რის გამოც უკვე რამდენიმე კვირაა ფაქტობრივად შეჩერებულია მსჯავრდებულების აღსრულება სისხლის სამართლის საქმეებზე, ყოველდღიურად მატულობს განუხილველი საქმეების რაოდენობა, რაც უახლეს მომავალში სასამართლოებს უმძიმეს მდგომარეობაში ჩააყენებს. თუკი დროულად არ იქნება მიღებული რადიკალური ზომები პრობლემის გადასაჭრელად, შემდგომში სიტუაციის გამოსწორება სათუო გახდება.

წამოჭრით რა აღნიშნულ პრობლემებს, იმავდროულად მთელი სისრულით გვაქვს გაცნობიერებული და შეგნებული ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა. გულწრფელი თანაგრძნობით ვიზიარებთ მოსახლეობის ფართო ფენების, ასევე სამართალდამცავი ორგანოების გაჭირვებას, რომელთაც რამდენიმე თვეა საერთოდ არ მიუღიათ კუთვნილი ხელფასები და პენსიები, მაგრამ გაოცებას იწვევს ის გარემოება, რომ ასეთ პირობებშიც კი ხერხდება ცალკეულ, მაღალ სახელისუფლებო სტრუქტურაში სახელფასო დავალიანების მთლიანად — უკანასკნელ თეთრამდე გასტუმრება, ხოლო სასამართლოები, რომლებიც ყოველდღიურად ასეულობით ადამიანისა თუ ასეულ ათასებად და ათეულობით მილიონებად შეფასებული ქონების, მათ შორის სახელმწიფო ქონების, ბედს წყვეტენ, უყურადღებოდ მიტოვებული რჩებიან. განსაკუთრებით ეს ითქმის ქვეყნის ცენტრებს მოწყვეტილ მთიან რეგიონებში არსებულ სასამართლოებზე, რომელთაც იშვიათად თუ მოიკითხავს ვინმე.

საზოგადოებისა და ხელისუფლების ყურადღებას მივაპყრობთ, აგრეთვე, მოსამართლის დამოუკიდებლობისა და ღირსების დაცვის საკითხზე, რომელიც მთლიანად სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის საფუძველია. ამ გარდამავალ ეტაპზე, როცა მიმდინარეობს ადამიანთა ცნობიერებისა და მართლშეგნებაში ათეულობით წლების განმავლობაში დალექილი სტერეოტიპების მსხვრევა და ახალი სამართლებრივი აზროვნების დამკვიდრება, სასამართლოებს უხდებათ მრავალი

სასამართლოს ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად

გახმაურებული საქმის თაობაზე ერთობ არაპოპულარული გადაწყვეტილების მიღება, გამომდინარე საქართველოს კონსტიტუციიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან. ასეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც არ ემთხვევა ცალკეული პოლიტიკური, საზოგადოებრივი, რელიგიური და ფინანსური დაჯგუფების კონიუნქტურულ მოსაზრებებსა და განწყობას, იწვევს მათ განაწყენებასა და გაღიზიანებას, რასაც არც ზნეობრიჭი და არც სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია. მიუხედავად ამისა, სასამართლოები ყოველნაირად ცდილობენ შეინარჩუნონ დამოუკიდებლობა და ობიექტურობა, დაიცვან მართლმსაჯულება წარმავალი კონიუნქტურული გავლენებისგან.

ამასთან ერთად, მორსა ვართ იმ მოსაზრებისგან, რომ ყველა სასამართლო გადაწყვეტილება კონსტიტუციის შესაბამისი, კანონიერი და სამართლიანია, ახალ სასამართლო სისტემაში ყველა მოსამართლე უანგარო, კეთილსინდისიერი და მიუკერძოებელია, მართლმსაჯულებაც ყოველთვის უნაკლოდ ხორციელდება. ყოველი ასეთი ფაქტი ჩვენი საერთო ტკივილია და მძიმე განცდებს იწვევს, მაგრამ ყოვლად დაუშვებელია მათი ისეთი ჰიპერბოლიზება და განზოგადება, რომ ამით შეურაცხვყოთ მთლიანად სასამართლო ხელისუფლებაც და მრავალი კეთილსინდისიერი მოსამართლეც, რომლებიც ურთულესი და მძიმე პირობების მიუხედავად, გამოირჩევიან უდიდესი მოთმინების უნარით, ინარჩუნებენ პროფესიულ და ადამიანურ ღირსებებს, მთელ თავის პირად ცხოვრებას უძღვნიან მართლმსაჯულებას. დაუვიწყარია და უდიდესი მადლიერების გრძნობას იწვევს ის თანადგომა და მორალური მხარდაჭერა, რომელიც ყველაზე კრიტიკულ ვითარებაში გაუწია სასამართლო რეფორმის იდეასა და მის მიმდევრებს ჩვენი საზოგადოების ჯანსაღმა ნაწილმა და განსაკუთრებით ქართულმა მასმედიამ. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ამ ფაქტორმა მნიშვნელოვნად განაპირობა რეფორმის გამარჯვება, მაგრამ შეუძლებელია ვდუმდეთ იმ თავშეუკავებელ ლანძღვასა და უცენზურო ეპითეტებზე, ცალკეული მოღვაწის მიერ „შემოქმედებითი“ ნაწარმოების სახით გამოქვეყნებულ პასკვილზე, რომლებითაც მასობრივი ინფორმაციის ცალკეული ორგანოს ფურცლებზე და სატელევიზიო გადაცემებში ამკობენ იმ სასამართლოებსა და მოსამართლეებს, ობიექტური და კანონიერი, მაგრამ მავანთა კონიუნქტურულ ინტერესებთან აშკარად შეუსაბამო სასამართლო გადაწყვეტილებები რომ მიიღეს. ყოველთვის მხარს ვუჭერდით და ახლაც მივესალმებით ჯანსაღ, საფუძვლიან, მიუკერძოებელ და დასაბუთებულ კრიტიკას, რომელიც ნაკარნახევი იქნება დაშვებული შეცდომების გამოსწორებისა და მართლმსაჯულების გაუმჯობესების, მოქალაქის დარღვეული უფლების აღდგენის სურვილით, მაგრამ, საუბედუროდ, ასეთი რამ უკვე ფუფუნებად იქცა და ისეთივე იშვიათობას წარმოადგენს როგორც უდაბნოში მოსული მაცოცხლებელი წვიმა. ხდება საზოგადოებრივი აზრის აშკარა დეზინფორმირება და მისი უსაფუძვლოდ დაპირისპირება სასამართლო ხელისუფლების, სასამართლოებისა და მოსამართლეების მიმართ, რაც ყოვლად დაუშვებელია.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ძალზე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია. სასიცოცხლო მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს იმას, რომ ახალი სასამართლო სისტემა გაიწმინდოს ისეთი ადამიანებისაგან, რომლებიც კორუფციის რეციდივის მატარებელნი არიან, ანგარებით ირჯებიან და მართლმსაჯულებას ამახინჯებენ, რასაც შეუძლებელია სხვა ალტერნატივა გააჩნდეს, მაგრამ, ამასთან ერთად, აუცილებელია დაიხვეწოს მოსამართლეთა დისციპლინური დევნის ინსტიტუტი. განსაკუთრებით ეს ითქმის მოსამართლის მიერ კანონის დარღვევის მოტივით შემოსული განცხადების, შეტყობინებისა თუ სხვა ინფორმაციის გადამოწმების მექანიზმის თაობაზე, რადგან, სამწუხაროდ, არსებობს ამა თუ იმ მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის არასათანადო საფუძველზე აღძვრის შემთხვევები. არ ხდება იმის გათვალისწინება, რომ ზოგჯერ მოსამართლის მიერ დაშვებული დარღვევა ძალზე უმნიშვნელოა, რაც გამოწვეულია განსახილველი საქმეების სიმრავლით, ანდა მოსამართლის შეცდომა კანონში არსებული აშკარა ხარვეზის შედეგია. დისციპლინური დევნის ზერელედ აღძვრა, შემდეგ იგი თუნდაც შეწყდეს, ფსიქოლოგიურად თრგუნავს ყველა იმ მოსამართლეს, რომელიც კეთილსინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობას და რომლის საქმიანობას ისედაც მძიმე დაღს ასვამს მრავალი ყოფითი თუ ორგანიზაციული პრობლემა. განსაკუთრებით დაუშვებელია მოსამართლის მიმართ აღძრული დისციპლინური დევნის კონფიდენციალურობის დარღვევა, რასაც სამართლიანად კრძალავს კანონი, მით უმეტეს, ასეთი ფაქტის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით საზოგადოების მსჯელობის საგნად გადაქცევა.

განხილული პრობლემები არსებითად უშლის ხელს სასამართლოების ნორმალურ ფუნქციონირებასა და მართლმსაჯულების განხორციელებას. საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია იმედს გამოთქვამს, რომ საზოგადოება და ხელისუფლება გაგებით მოეკიდება აღნიშნულ პრობლემებს, ხელს შეუწყობს მათ დროულად გადაჭრას, რაც ახალი ქართული მართლმსაჯულების შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს, ხოლო, თავის მხრივ, მზადაა ითანამშრომლოს საქართველოში სამართლებრივი სახელმწიფოსა და მყარი სამოქალაქო საზოგადოების დამკვიდრებით დაინტერესებულ ყველა ძალასთან. ამ განცხადების მიზანიც სწორედ ეს არის.

საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

უახლესი წარსული

ტელეფონმა დარეკა, სწორედ იმან, წინ გამოწეულმა, დისკოზე რუსეთის სახელმწიფოს გერბი რომ ამშვენებდა. დირექტორმა სწრაფად აიღო ყურმილი.

— გისმენთ, — თქვა თავაზიანად, — გამარჯობათ.

ჩანდა, მოლაპარაკე ძალზე უკმაყოფილო იყო, რადგან მისი ბანი ქერნაკოვსაც კი ესმოდა.

— მესმის, — დამნაშავესავით თქვა დირექტორმა, — მე ყველაფერი მესმის.

ბანი აგრძელებდა მის დატუქსვას.

— არა, მაგრამ ჩვენ ინფორმაცია გვქონდა, — სცადა დირექტორმა თავის მართლება, მაგრამ მას შეაწყვეტინა ქერნაკოვისათვის უცნობმა მოსაუბრემ.

— მესმის, — ისევ გაიმეორა დირექტორმა, — რასაკვირველია, უწინარეს ყოვლისა, ჩვენი ინტერესები. ნახვამდის.

მან ფრთხილად დადო ყურმილი.

— პრემიერ-მინისტრი რეკავდა, — თქვა მან, თან ტელეფონს ცერად გადახედა, თითქოს პრემიერი მის ნათქვამს მოისმენდაო, — თქვა, რომ ჩვენ არ ვიცავთ ქვეყნის სტრატეგიულ ინტერესებს. ამის ნაცვლად თურქეთისათვის ვმუშაობთ, როგორ ფიქრობ, მე მსიამოვნებს ამის მოსმენა?

— გერმანიიდან ინფორმაცია მოვიდა. მატიუხინმა რამდენიმე თვის წინ გრუოდისს სამი ახალგაზრდა გაუგზავნა. ყველა ყოფილი მედესანტეა, — წყნარად მოახსენა ქერნაკოვმა, — ჩვენ ეჭვი გვაქვს, რომ მათი ჯგუფი იქ მაინც დაარტყამს.

დირექტორმა ხელი ჩაიქნია,

— ახლა ეს ვიღას აინტერესებს. პრემიერმა დარეკა, რათა ამ ხელშეკრულებაზე ეთქვა. დღეს ბაქოში ხელი მოაწერეს აზერბაიჯანსა და საქართველოს შეთანხმებას. ახლა ნავთობი თურქეთზე გაივლის. ამის თაობაზე უკვე განაცხადეს მსოფლიოს ყველა საინფორმაციო საშუალებებმა. პრემიერი ყვიროდა, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ჩვენი ქვეყნის ინტერესების დაცვა.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 59-63, 65-69, 71-81, 83-85, 87-90.

— მაგრამ ამ რესპუბლიკებში თუ სამოქალაქო ომი დაიწყება? — ჰკითხა ქერნაკოვმა, — ეს უპასუხებს ჩვენი ქვეყნის ინტერესებს?

— ეგ ცარიელი სიტყვებია. ამ ხელშეკრულებით კი ჩვენ მილიარდობით დოლარებს ვკარგავთ. საერთოდ კი ასეა, ქერნაკოვ, ხვალ დილითვე გამოიწვიე მთელი ჯგუფი. ჯანდაბას მაგათი თავი. ისე რომ, აღარავინ გაბედოს მაგ საქმეზე ხელის მოკიდება. ისედაც ბევრი ფული და ძალები დავხარჯეთ. ჩვენ ალალ-მართლები ვართ, ყველაფერი გავაკეთეთ, თავდასხმა ხომ მაინც არ შედგა. შეიძლება, ის არც კი დაუგეგმავთ. მენთანაც თვითდაზღვევა უყვართ, ეჩვენებათ, რომ ყველგან ტერორისტები არიან. ის დრონგოც როგორმე გამოიძახე. საერთოდ მოიმორე, რამ გეჭირდება ასეთი საეჭვო პირი? ერთი ეგაც მარტოხელა გმირია რაღა. ეს წიგნებშია კარგი წასაკითხი, რეალურ ცხოვრებაში კი ასეთი სიკეთე ვის სჭირდება.

— გავიგე, — უპასუხა ქერნაკოვმა, — მაგრამ გრუოდისი...

— მორჩა, — მოკლედ მოუჭრა დირექტორმა. — მისი სახელის გაგონებაც აღარ მინდა.

ამ მომენტში ისევ გაისმა ზარი. დირექტორმა შეხედა მის პირდაპირ მჯდარ ახალგაზრდა გენერალს.

— ეს თუ ისევ შენი საველიევის ჯგუფზე იქნება, ყურმილს შენ გადმოგცემ. შენვე გითხრან ყველაფერი, რასაც შენზე ფიქრობენ. მე უკვე მომწყინდა გათათხვა.

— გისმენთ, — უპასუხა დირექტორმა, ყურმილი რომ აიღო, თან ქერნაკოვს თავი დაუქნია, — ჩანს, ისევ შენს გამოა, — ჩურჩულით თქვა მან, — პრიმაკოვი რეკავს, რაა? რომელი ელჩი? ჩვენი ელჩი? დიახ. მესმის, მე, რასაკვირველია, ყველაფერი მესმის. ეს ძალზე სერიოზულია.

ქერნაკოვი მოღუშული იჯდა. ნუთუ ესეც იმავე საკითხზე რეკავს? დირექტორმა ყურმილი დადო, ამოიხვნეშა, მოღუშულმა შეხედა გენერალს.

— ეს-ეს არის საგარეო საქმეთა სამინისტროში დაურეკავს ჩვენს ელჩს ბაქოდან. აეროპორტში უცნობების ჯგუფმა ხელში ჩაიგდო ავიაკომპანია „ლიუფტგანზის“ თვითმფრინავი.

— საველიევი სად არის?

— ისინი ყველა ისევ ბანკეტზე არიან. ელჩთან ერთად, მან თავისი ტელეფონით პირდაპირ დარბაზიდან დარეკა. ამტკიცებს, რომ ძალზე სერიოზული ვითარებაა. საველიევს მიაჩნია, რომ უახლოეს რამდენიმე საათში შეიძლება რაღაც მოხდეს, — ცოტა რომ ჩაფიქრდა, დირექტორმა თავი გააქნია, — წადი, ქერნაკოვ, შინ. ყოველი ჩვენგანისათვის აჯობებს, დღეს საღამოს შინ ვიყოთ. დილით კი ვნახოთ, ყოველივე ეს რით დამთავრდება.

თავი 35

დარბაზში შესული დრონგო გრუოდისის საპირისპირო კუთხეში დაჯდა და ყურადღებით აკვირდებოდა ყველაფერს, რაც ხდებოდა. გამოდიოდა ჯგუფი „გაია“, ის სიმღერებს ასრულებდა აზერბაიჯანულ, ქართულ და რუსულ ენებზე. გრუოდისის მაგიდასთან ელდარ კასუმოვი მივიდა. ის რაღაცას ეუბნებოდა გრუოდისის გვერდით მჯდომ კაცს, რომელიც გამტერებული უქნევდა თავს. შემდეგ წამოდგა და ელდართან ერთად გავიდა. დრონგომ დაინახა, როგორ გააყოლა გაოცებული მზერა გრუოდისმა. მაგრამ კასუმოვი უნაკლოდ თამაშობდა. ის არც ერთხელ არ შემობრუნებულა. გრუოდისმა თავი მიაბრუნა. ტელეკამერა მის მზერას მიჰყვებოდა. დრონგომაც იმ მხარეს გაიხედა, საითაც გრუოდისი იყურებოდა. ისაა! ეჭვიც არ ეპარებოდა. ეს ის ქალი იყო. ქალი უცხოელ ჟურნალისტებში იჯდა და მხიარულად იცინოდა, ჩანდა, მანაც შეამჩნია გრუოდისის გამოხედვა და თითქმის შეუმჩნევლად დაუკრა თავი. ახლა მთავარი იყო, გონზე მოსვლის საშუალება არ მიეცათ. ქულების მოპოვება დაჩქარებული ტემპის ანგარიშზე შეიძლებოდა. დრონგო ადგა და სწრაფად მივიდა გრუოდისის მაგიდასთან.

— ფული უკვე წაიღეს აეროპორტში, — აცნობა გრუოდისს.

— კარგია, — უპასუხა მან, — მე აქედან ათი წუთის შემდეგ გავალ.

— მაგრამ თქვენ ამბობდით, რომ ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს დრო, — შეახსენა დრონგომ, — კიდევ ორმოცდაორი წუთი.

— კი, — დაეთანხმა გრუოდისი, — თქვენ გაქვთ ორმოცდაორი წუთი, ნუ გეშინიათ, აფეთქება არ იქნება, ვიდრე მე არ ვუბრძანებ.

— თქვენ, იქნებ, ვერც მოასწროთ, — უცებ თქვა დრონგომ.

გრუოდისი შეიჭმუხნა.

— რა მოიფიქრეთ, დრონგო? თქვენი აქტიურობა უკვე მაშფოთებს.

— არაფერი. უბრალოდ რამდენიმე წუთის წინ ერთი ავტომანქანა მეორეს შეეჯახა. ავტოინსპექციის თანამშრომლებმა კი გაოცებით შეიტყვეს, რომ დაჭრილ მძღოლს არ ჰქონდა მანქანის მართვის მოწმობა. ის უმაღლესი საბჭოს მანქანა იყო. აქედან რით წახვალთ, გრუოდის?

— მძღოლს რა მოუვიდა? — ნერვიულად იკითხა გრუოდისმა.

— ის ცოცხალია, — იცრუა დრონგომ, — მაგრამ მძიმედაა დაჭრილი.

— ერთი საათის შემდეგ ის თვითმფრინავთან უნდა იყოს, — მოითხოვა გრუოდისმა.

— დიახ, რა თქმა უნდა, — დაეთანხმა დრონგო, — მაგრამ ის მძიმედაა დაჭრილი.

— თქვენ ის თვითმფრინავის ბორტთან უნდა მოიყვანოთ ნებისმიერ მდგომარეობაში, — უბრძანა გრუოდისმა.

— კარგი, — მოღუშვით უპასუხა დრონგომ, — თუმცა თქვენს თანამგზავრ ქალს მოთმინება აღარ ყოფნის.

გრუოდისმა ამჯერადაც თავი შეიკავა. მან მხოლოდ თვალებში შეხედა მის წინ მჯდომ კაცს და სიძულვილით ჩაიჩურჩულა:

— მე აქ დავბრუნდები და მოგკლავ.

— თუ დღეს მე არ მოგკლავ, — ჩაიცინა დრონგომ.

გრუოდისი წამოდგა და უკვე რომ აღარ დაუფარავს, ქალს მოუხმო.

— ნახვამდის, — თქვა მან, — იმედი მაქვს, გახსოვს, რომ ბომბი ყოველ მომენტში შეიძლება აფეთქდეს. ნუ ეცდები მის გაუვნებლობას და, საერთოდ, არაფერი იღონოთ. მე თავად მივცემ სიგნალს, აფეთქების ბრძანებას რომ გააუქმებს.

ქალმა დრონგოს თავისი მშვენიერი თვალებით შეხედა, მაგრამ ისინი ცივად და მტრულად გამოიყურებოდნენ.

— თქვენ ნანობთ, მაშინ, ბადჰომბურგში რომ არ მომკალით? — ჰკითხა დრონგომ.

— არა, — უპასუხა ქალმა, — უფრო ადრე, როცა ფრანკფურტში ჩამოვფრინდით.

— გილოცავთ, — უთხრა დრონგომ, — მე არ შემიმჩნევია, თუ როგორ მითვალთვალებდნენ. ეს დიდებულია.

— სისულელეს ნუ ჩაიდენთ, — ურჩია გრუოდისმა დარბაზიდან გასვლისას. მას ქალისათვის ხელი წაევლო. დრონგო უკან მიჰყვა. გრუოდისი კიბეზე ჩავიდა, ისევ შემობრუნდა და დრონგომ შეხედა. მაგრამ არაფერი არ უთქვამს, ისე გავიდა ქუჩაში. დრონგო დირექტორის კაბინეტისაკენ წავიდა.

— თქვენ მათ წასვლის ნებას აძლევთ? — საგონებელში იყო ჩავარდნილი პარლამენტის სპიკერი, — თქვენ ხომ თავად ამბობდით, რომ შეიძლება მათი აყვანა.

— ახლა არ შეიძლება, — შეეპასუხა დრონგო, — ჩვენ კიდევ ორმოცი წუთი დაგვრჩა. ახლა ისინი მანქანას იშოვნიან და აეროპორტში წავლენ. თქვენ უბრძანებთ, რომ აეროპორტისათვის „სასწრაფო დახმარების“ მანქანა, ორი პისტოლეტი მოამზადონ, უკეთესია, ბელგიური „ბრაუნინგი“ ან „მაკაროვი“ თუ იქნება. საჭიროა, აგრეთვე, უამრავი ბინტ-სახვევები.

— კიდევ რა მოიფიქრეთ?

— ძალიან გთხოვთ, დამიჯეროთ და ზედმეტ კითხვებს ნუ მომცემთ, — ითხოვა დრონგომ, — ცოტა დრო გვაქვს, რაც მთავარია: ნუ დაგავიწყდებათ, რომ, რაც შეიძლება, ბევრი ბინტი იყოს და კიდევ ერთი თხოვნა: საჭიროა ვერტმფრენი.

იგი კაბინეტიდან გავიდა. იქ მას უკვე ელდარ კასუმოვი ელოდა.

— ამ ნაძირალა მეტრდოტელმა ჩვენ მთავარი არ გვითხრა, — ჩაიბუზღუნა დრონგომ, — აქ შენობის სახურავზე დაყენებული უნდა იყოს იმპულსური სიგნალის ანტენა. პულტი მას ჯიბეში ჰქონდა. ამაში დარწმუნებული ვარ, დალუპულ კორშუნოვსაც თავისი ჰქონდა. მაშასადამე, ანტენა დიდი ხნის დაყენებულია. შენ როდესმე კლდეზე მცოცავი ან ალპინისტი ყოფილხარ?

— არა, — აიჩეჩა მხრები კასუმოვმა.

თარგმნა **ვალიკო სიმონიშვილმა.**

(გაგრძელება იქნება).

ცნობა საქართველოს სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის სახელმწიფო ინსპექციის 2000 წლის ხარჯთაღრიცხვის (სახელმწიფო ბიუჯეტის) შესრულების შესახებ

№№	ხარჯების ეკ. კლას. კოდები	ხარჯების დასახელება	დამტკიც. ხარჯთაღრ. (ბიუჯეტით)	დაზუსტებული ხარჯთაღრ. (ბიუჯეტით)	დაშვებული ლიმიტი	გამოყოფილი დაფინანსება	საკასო ხარჯი	ფაქტიური ხარჯი
1	010100	მუშა-მოს.შრ.ანაზღ.	32200	18630	18630	18630	17929	21658
2	010101	ხელფასი	22500	16466	16671	16671	15970	19502
3	010102	პრემია	7400	1377	1377	1377	1377	1377
4	010103	დანამატი, წანამატი	400	283	78	78	78	108
5	010104	დახმარება	1900	504	504	504	504	671
6	010200	დამქირავებლიდან ანარიცხ.	10000	5770	5770	5770	5628	6715
7	010201	სოცუზრ.და სამედ.დაზღვ.	8700	5011	5453	5453	5215	5847
8	010202	დასაქმების ფონდი	300	194	82	82	115	219
9	010203	ჯანდაცვის ფონდი	1000	565	235	235	298	649
10	010300	მივლინებები:	3100	200	200	200	–	–
11	010301	ქვეყნის შიგნით	3100	200	200	200	–	–
12	010400	სხვა საქ.მომსახ.	8800	5900	5900	5900	275	1493
13	010401	ოფისის ხარჯი	3400	2000	2000	2000	100	217
14	010402	კომუნ.მომსახურება	3400	2000	2000	2000	175	195
15	010406	ტრანსპ. შენახვა	2000	1900	1900	1900	–	1081
16	010408	სხვა ხარჯები	–	–	–	–	–	–
		სულ	54100	30500	30500	30500	23832	29866

დაიხურა გაზეთი „სეგოდნია“ და ჟურნალი „იტოგი“



როგორც მოსკოვის რადიოსადგური იუწყება, მიღებულია გადაწყვეტილება, დაიხუროს „მედია-მოსტ“ ჰოლდინგში შემავალი ყოველდღიური გაზეთი „სეგოდნია“.

აქამდე „სემ დნეი“ საგამომცემლო სახლის ხელმძღვანელმა დიმიტრი ბირიუკოვმა მიიღო გადაწყვეტილება, გავიდეს ჰოლდინგიდან, ხოლო გაზეთ „მოსტში“ დარჩეს.

როგორც ბი-ბი-სის აცნობა გაზეთის მთავარმა რედაქტორმა მიხეილ ბერგერმა, დიმიტრი ბირიუკოვმა „სეგოდნიას“ დახურვის გადაწყვეტილება მას მორიგი ნომრის ხელის მოწერამდე ერთი საათით ადრე აცნობა.

თვით ბერგერს უკვე გადაეცა ბრძანება შტატების შემცირების გამო სამუშაოდან დათხოვნის შესახებ, მაგრამ ჟურნალისტთა კოლექტივის ხელმძღვანელი გულხელდაკრეფას არ აპირებს. მას განზრახული აქვს, უახლოეს ხანს „სეგოდნიას“ წამყვან ჟურნალისტებთან ერთად დაიწყოს ახალი ყოველდღიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემის გამოშვება. იგი „მედია-მოსტ“ ჰოლდინგის ფარგლებს გარეთ მოეწყობა.

„ჩვენ მაინც გვინდოდა, გამოგვეშვა ახალი გაზეთი მაისში, — თქვა ბერგერმა, — ახლა შევეცდებით, ისეთი გაზეთი გამოვუშვათ, რომ მკითხველი ცნობდეს მას“.

„სეგოდნიას“ დახურვაზე კარგა ხანია ლაპარაკობენ. ამის მიზეზად ასახელებენ გამოცემის ზარალიანობას. მაგრამ მიხეილ ბერგერი ამტკიცებს, რომ შავ-თეთრი ყოველდღიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი რუსეთში ვერც იქნებოდა მომგებიანი. მისი თქმით, „სეგოდნია“ არსებობდა ტაბლოიდური გამოცემების პუბლიკაციით მიღებული მოგების ხარჯზე. ასეთი სქემა ჰქონდა თავდაპირველად ჩაფიქრებული „მედია-მოსტ“ ჰოლდინგის მფლობელს, ვლადიმერ გუსინსკისაც. უკანასკნელ საათს მიღებული ინფორმაციით დაიხურა ჟურნალი „იტოგი“.

„თალიბანის“ დამაარსებელი კიბომ იმსხვერპლა

პაკისტანში ღვიძლის კიბოთი გარდაიცვალა „თალიბან“ მოძრაობის ხელმძღვანელის მოადგილე მოლა მოჰამად რაბანი. ავღანეთის საბჭოთა ოკუპაციის დროს მეამბოხეთა რაზმების ყოფილი მეთაური რაბანი იყო რადიკალური ისლამური მოძრაობის ფუძემდებელი, მისი ერთ-ერთი „უხუცესი“ წევრი — იგი 45 წლისა აღესრულა, როდესაც თალიბების უმრავლესობას ჯერ ორმოცისათვის არ მიუღწევიათ. 1994 წელს რაბანიმ 30 სხვა ისლამისტ ღვთისმეტყველთან ერთად დააარსა თალიბების მოძრაობა. მისი მიზანი, რაბანის თქმით, იყო ისლამური მთავრობის დამყარება, გამუდმებული ომებისა და სისასტიკის აღკვეთა.

რაბანი თალიბების ლიდერის მოადგილე იყო.

პირველ რიგში ახალმა ორგანიზაციამ დაიქვემდებარა ქალაქი ყანდაჰარი. ცოტა ხნის შემდეგ დაამყარა სავაჭრო ურთიერთობა პაკისტანთან, შემდეგ თალიბები თავიანთ კონტროლს უწესებენ სულ ახალ-ახალ პროვინციებს, თანაც, ეს ხდება მათი მოქიშპეების მხრივ წინააღმდეგობის გაუწევლად. ეს იყო თავისებური რევოლუცია და მოლა რაბანი ერთ-ერთი უზენაესი მეთაური, ერთობ პოპულარული გახდა.

1996 წელს თალიბებმა ქაბული აიღეს და ჩამოაყალიბეს ქვეყნის ახალი მთავრობა. ვარაუდობენ, რომ სწორედ რაბანიმ გასცა ბრძანება ყოფილი პრეზიდენტის ნაჯიბულას სიკვდილით დასჯის შესახებ. შემდეგ რაბანის მიეკუთვნა პრემიერ-მინისტრის და მოძრაობის უზენაესი ლიდერის მოლა ომარის მოადგილის თანამდებობის სადარი წოდება. თალიბებს შორის იგი სწორედ „მოადგილედ“ იყო ცნობილი. და დღესაც, ცენტრალურ ხელისუფლებას ინარჩუნებენ ყანდაჰარის წარმომადგენლები, თალიბთა მოძრაობის დამფუძნებლები. მაგრამ ქაბულის აღების შემდეგ თალიბების ტრიუმფული მსვლელობა ავღანეთში შეწყდა. ბრძოლები ჩრდილოეთის რაიონებისათვის ძალზე გააფთრებული იყო, და დღემდე გრძელდება პოზიციური ომი ჩრდილოელებსა და „თალიბან“ მოძრაობის ჯარებს შორის. უკანასკნელი მონაცემებით, ქვეყნის ჩრდილოეთში დაბრუნდა თალიბების ერთ-ერთი მთავარი მოწინააღმდეგე — გენერალი დუსტუმი. ქაბულის აღება რაბანის კარიერის ზენიტი იყო. აქედან ცოტა ხნის შემდეგ იგი ავად გახდა, შემდეგ ხმა დაირხა, რომ რაბანის და მოლა ომარს შორის უთანხმოებებია, „მოადგილეს“ უკანა პლანზე სწევენო. მან აშკარად მოუკლო აქტიურობას, მაგრამ რით იყო ეს გამოწვეული — ავადმყოფობით თუ პოლიტიკური ინტრიგებით — ახლა ამას უკვე ველარავინ გაიგებს. ერთი რამ აშკარაა: ისლამური მოძრაობის დამაარსებელი ვერ მოესწრო სამოქალაქო ომის დამთავრებას.

ამ ბოლო წლებში იგი რამდენჯერმე იყო პაკისტანში, სადაც კიბოს მკურნალობდა. გაერომ გამონაკლისი დაუშვა ავღანეთის საწინააღმდეგო სანქციებში და ნება დართო, რაბანის ნეშტი ავღანეთიდან თვითმფრინავით გადაესვენებინათ. რაბანის ყანდაჰარში დაკრძალავენ.

საინფორმაციო მოზაიკა
BBC, CNN, საქინფორმი.

ღაზა: სროლა გრძელდება

ისრაელის ჯარებმა მასირებული იერიში მიიტანეს ღაზის სექტორზე ჰაერიდან, ხმელეთიდან და ზღვიდან. რაკეტების ნაწილი მოხვდა პალესტინელთა უშიშროების სამსახურის ელიტური ქვეგანაყოფის „Force 17“-ის შტაბბინას. მშვიდობიან მოსახლეობაში არის მსხვერპლი. ეს დარტყმები განხორციელდა სამხრეთ ისრაელის ქალაქ სედეროტზე ნაღმსატყორცნების ცეცხლის დაშენის პასუხად.

* * *

არაბული სამყარო გულისწყრომას გამოთქვამს ისრაელის რეიდის გამო. ეგვიპტის პრეზიდენტმა მუბარაქმა მოუწოდა უდიდეს სახელმწიფოებს „წინაღუდგნენ ისრაელის აგრესიას“. თავის მხრივ, „ჰესბოლა“ იმუქრება, რომ შურს იძიებს და ისრაელს „ოცნებას რეგიონში უსაფრთხოების დამყარების შესახებ კოშმარულ სიზმრად გადაუქცევს“.

აყვანილია მძევლები

კოლუმბიელმა მეამბოხეებმა მძევლად აიყვანეს ამერიკის ნავთობის კორპორაციის „ოქსიდენტალ პეტროლეუმის“ ასამდე თანამშრომელი. რამდენიმე ავტობუსი, რომლებსაც არაუკას ნავთობსარეწებიდან მიჰყავდათ კომპანიის მუშაკები, გააჩერეს თავით ფეხამდე შეიარაღებულმა მოთარეშეებმა — კოლუმბიის განთავისუფლების ეროვნული არმიის წევრებმა. ბი-ბი-სის კორესპონდენტის თქმით, „განთავისუფლების“ არმია არცთუ იშვიათად იტაცებს ადამიანებს გამოსასყიდის მიღების მიზნით.

კასტრო ზეიმობს

კუბის ლიდერმა ფიდელ კასტრომ მიულოცა ათიათასობით მომხრეს კუნძულზე სოციალისტური მმართველობის 40 წლისთავი. კასტრომ შეკრებილთა ტაშის გრიალში რამდენჯერმე წაიკითხა ფრაგმენტები თავისივე სიტყვიდან, რომელიც 1961 წელს წარმოთქვა ამავე ადგილას ჰავანაში.

მსოფლიო აღდგომას დღესასწაულობს

მთელ დედამიწის ზურგზე სხვადასხვა კონფესიის ქრისტიანები აღდგომას დღესასწაულობენ.

ჩვეულებრივ, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიებში ეს დღესასწაული არ ემთხვევა დროის მიხედვით, ვინაიდან პროტესტანტები და კათოლიკეები იყენებენ XVI საუკუნეში მიღებულ გრიგორიულ კალენდარს, ხოლო მართლმადიდებლები — იულიუსისეულ კალენდარს, რომელიც ოდითგან იყო ხმარებაში.

წელს, 1990 წლიდან პირველად, თარიღები დაემთხვა.

იერუსალიმში მლოცველები სურათს იღებენ უფლის საფლავის ტაძარში წირვის დაწყების წინ.

რუსები ახლობლების საფლავებზე ზადიან და მათს შესანდობარს სვამენ.



წმინდა პეტრეს მოედანზე ათიათასობით ადამიანი შეიკრიბა.

მოსკოვის მაცხოვრის ტაძარში პატრიარქმა ალექსი II სააღდგომო წირვა გადაიხადა.

შეიარაღებული პოლიციელები სანთლებით ხელში მაკედონიის ქალაქ ტეტოვოს მართლმადიდებლურ ტაძართან.

ბერლინელები პროტესტანტულ ტაძარში.

კიევის სამხედრო ბაზაზე მართლმადიდებელი მღვდელი სააღდგომო კვერცხს აკურთხებს.

რომის პაპი იოანე პავლე მეორე გამოდის ყოველწლიური ეპისტოლეთი Urbi et Orbi.

ოთხი წლის ბიჭუნა ჯვარცმას ეამბორება ერთ-ერთ ინდურ სოფელში.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით გვერდს უძღვება
არჩილ მანჯგალაძე.

საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) გადაწყვეტილება

2001 წლის 12 აპრილი — ქ. თბილისი

ქ. თბილისში ელექტროენერგიის უწყვეტი მიწოდების აღდგენისა და თელასის 75 პროცენტის აქციათა პრივატიზებამდე მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადაუხდელობით წარმოშობილი ვალების დაფარვის შესახებ

2001 წლის თებერვლის ბოლოდან სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს, სემეკის, ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის, „ეი-ი-ეს თელასისა“ და „ეი-ი-ეს მტკვარის“ მიერ გატარებული რიგი ღონისძიებების შედეგად შესაძლებელი გახდა ქ. თბილისის ელექტროენერგიით უწყვეტი (24-საათიანი) მომარაგება. იგი მარტის ბოლო რიცხვებიდან შეიშალა, რამაც გამოიწვია ქ. თბილისის მოსახლეობის სამართლიანი უკმაყოფილება. აღნიშნული საკითხი განხილულ იქნა სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროში, პარლამენტის დარგობრივ კომიტეტში, ქ. თბილისის საკრებულოში. ამასთან ერთად სემეკში შემოვიდა მოსახლეობის არაერთი საჩივარი 24-საათიანი ელექტროენერგიით მომარაგების აღდგენის მოთხოვნით.

ამასთან ერთად, „ეი-ი-ეს თელასმა“ დაიწყო თელასის აქციათა 75 პროცენტის პრივატიზებამდე მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ამოღების გადაუხდელობით წარმოშობილი ვალების ელექტროენერგიის მომხმარებლიდან ამოღება.

აქედან გამომდინარე, მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნით, აგრეთვე, თელასის აქციათა 75 პროცენტის პრივატიზების ხელშეკრულების 9.1 მუხლის, „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტისა და 36-ე მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე სემეკი ადგენს:

1. „ეი-ი-ეს თელასმა“ დაუყოვნებლივ აღადგინოს ქ. თბილისის ელექტროენერგიით უწყვეტი (24-საათიანი) მომარაგება;

2. საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარმა, „ელექტროდისპეტჩერიზაცია-2000“-მა უზრუნველყონ ქ. თბილისის უწყვეტი ელექტრომომარაგების მიზნით „ეი-ი-ეს თელასისათვის“ საჭირო ოდენობის ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მიწოდება;

3. მომხმარებლებთან ელექტროენერგიის მიწოდებაზე ხელშეკრულების გაფორმებამდე „ეი-ი-ეს თელასმა“ შეწყვიტოს თელასის აქციათა 75 პროცენტის პრივატიზებამდე მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადაუხდელობით წარმოშობილი ვალების ამოღება.

4. „ეი-ი-ეს თელასმა“ ერთი თვის ვადაში წარუდგინოს სემეკს ამ გადაწყვეტილების მე-3 მუხლში აღნიშნული დავალიანების ამოღების სამართლიანობის დამადასტურებელი იურიდიული საფუძვლები და ვალების ამოღების მექანიზმი;

5. ეთხოვოს ქ. თბილისის მოსახლეობას და ელექტროენერგიის სხვა მომხმარებლებს ხელი შეუწყონ „ეი-ი-ეს თელასს“ გამანაწილებელი ელექტრული ქსელის სარეაბილიტაციო, მ. შ. მრიცხველის გამოტანის სამუშაოების შესრულებისას;

6. რეკომენდაცია მიეცეს „ეი-ი-ეს თელასს“ გააუმჯობესოს მოსახლეობასთან საინფორმაციო მუშაობა;

7. ეს გადაწყვეტილება ძალაშია მიღების დღიდან.

თავმჯდომარე **ელ. ერისთავი;**
კომისიის წევრი **დ. ჩომახიძე;**
კომისიის წევრი **პ. ცინცაძე.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 91. ოთხშაბათი. 18 აპრილი, 2001 წელი.

2000 წლის 1 იანვრიდან — 2001 წლის 1 იანვრამდე

საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 15 მარტის № 95 ბრძანებულების მე-10 მუხლის თანახმად, „ზოგიერთი პირველი რიგის ანტიკორუფციული ღონისძიებების შესახებ" საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი აქვეყნებს დეტალურ ინფორმაციას 2000 წელს გაწეულ ხარჯებზე

N	ეკონომიკური კლასიფიკაციის კოდები	ხარჯების დასახელება	დამტკიც. ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტით)	დაზუსტებ. ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტით)	დამტკიცებული ლიმიტი	გამოყოფილი დაფინანსება	საკასო ხარჯი	სხვაობა საკასო ხარჯისა გამოყოფილ დაფინანსებასთან შედარებით +/-	ფაქტიური ხარჯი	სხვაობა ფაქტიური ხარჯისა დაზუსტებულ ხარჯთაღრიცხვასთან შედარებით +/-	სხვაობა ფაქტიური ხარჯისა დამტკიცებულ ლიმიტთან შედარებით +/-	სხვაობა ფაქტიურ და საკასო ხარჯებს შორის	შენიშვნა
1.	2.	3.	4.	5.	6.	7.	8.	9.	10.	11.	12.	13.	14.
1	010100	მუშა-მოსამ. შრ. ანაზღ.	445.8	390.7	390.7	390.7	390.7	–	413.9	23.2	23.2	23.2	
2	010101	ხელფასი	269.4	283.3	328.1	288.7	288.7	–	311.9	28.6	-16.2	23.2	
3	010102	პრემია	75.4	18.8	18.8	40.2	40.2	–	40.2	21.4	21.4	–	
4	010103	დანამატი და წანამატი	82.2	87.8	43.0	51.4	51.4	–	51.4	-36.4	8.4	–	
5	010104	დახმარება	18.8	0.8	0.8	10.4	10.4	–	10.4	9.6	9.6	–	
6	010200	დამქ. ანარიცხები	138.3	121.1	121.1	121.1	121.1	–	128.3	7.2	7.2	7.2	
7	010201	სოციალ. და სამ. ფონდი	120.4	105.5	112.4	112.4	112.4	–	111.7	6.2	-0.7	-0.7	
8	010202	ჯანმრთ. ფონდი	13.4	11.7	6.5	6.5	6.5	–	12.4	0.7	5.9	5.9	
9	010203	დასაქმების ერთ. ფონდი	4.5	3.9	2.2	2.2	2.2	–	4.1	0.2	1.9	1.9	
10	010300	მივლინებები	1241.0	1173.0	1173.0	1173.0	1173.0	–	1135.3	-37.7	-37.7	-37.7	
11	010301	ქვეყნის შიგნით											
12	010302	ქვეყნის გარეთ	1241.0	1173.0	1173.0	1173.0	1173.0		1135.3	-37.7	-37.7	-37.7	
13	010400	სხვა საქონ. და მომს.	793.8	819.4	597.1	597.1	597.1	–	570.5	-248.9	-26.6	-26.6	
14	010401	ოფისის ხარჯები	450.0	244.7	244.7	244.7	244.7	–	218.3	-26.4	-26.4	-26.4	
15	010402	კომუნალური მომსახურ.	80.6	70.0	70.0	70.0	70.0	–	70.0	–	–	–	
16	010406	ტრანსპორტის შენახვა	103.2	50.0	50.0	50.0	50.0	–	49.8	-0.2	-0.2	-0.2	
17	010407	სპეც. პროგრამით მომსახ.	60.0	60.0	60.0	60.0	60.0	–	60.0	–	–	–	
18	010408	სხვა ხარჯები	100.0	394.7	172.4	172.4	172.4	–	172.4	-222.3	–	–	
19	040100	მანქანა დანადგ. შეძენა	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	
20	040300	შენ. ნაგ. კაპ. შეკეთება	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	
		სულ:	2618.9	2504.2	2281.9	2281.9	2281.9	–	2248.0	-256.0	-33.9	-33.9	

შენიშვნა: მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურებაზე და შესაბამისად დამქირავებლებზე ანარიცხების მეტობა დაზუსტებულ ხარჯთაღრიცხვაზე, გამოწვეულია ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტროს გაერთიანებით და წინა წლების გაუცემელი ხელფასების გადმოცემით ბალანსიდან — ბალანსზე.

2000 წლის 1 იანვრიდან — 2001 წლის 1 იანვრამდე

საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 15 მარტის № 95 ბრძანებულების მე-10 მუხლის თანახმად, „ზოგიერთი პირველი რიგის ანტიკორუფციული ღონისძიებების შესახებ" საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი აქვეყნებს დეტალურ ინფორმაციას 2000 წელს გაწეულ სპეცსახსრების ხარჯვის შესახებ

N	ეკონომიკური კლასიფიკაციის კოდები	ხარჯების დასახელება	გეგმით	საკასო ხარჯი	ფაქტიური ხარჯი
1		ნაშთი წლის დასაწყისისათვის		221.6	
2		მიმდინარე წლის შემოსავალი		3953.5	
3		სულ შემოსავალი		4175.1	
4	010100	მუშა-მოსამ. შრ. ანაზღ.	27.0	25.0	25.0
5	010101	ხელფასი	2.0	–	–
6	010102	პრემია	25.0	25.0	25.0
7	010200	დამქ. ანარიცხები	8.4	7.8	7.8
8	010201	სოციალ. და სამ. ფონდი	7.3	6.8	6.8
9	010202	ჯანმრთ. ფონდი	0.8	0.7	0.7
10	010203	დასაქმების ერთ. ფონდი	0.3	0.3	0.3
11	010400	სხვა საქონ. და მომს.	2697.7	1854.3	1664.7
12	010401	ოფისის ხარჯები	1093.7	948.8	1133.8
13	010402	კომუნალური მომსახურ.	104.0	91.3	91.3
14	010406	ტრანსპორტის შენახვა	400.0	354.6	439.6
15	010408	სხვა ხარჯები	1100.0	459.6	–
16.	040100	მანქანა დანადგ. შეძენა	136.7	29.8	29.9
17.	040300	შენ. ნაგ. კაპ. შეკეთება	200.0	126.5	126.5
		სულ:	3069.8	2043.4	1853.9
		ჩათვლილია ბიუჯეტში		2059.1	
		ფულის ნაშთი წლის ბოლოს		72.6	

შენიშვნა: სხვა ხარჯებში გაწეული საკასო ხარჯი 459,6 ათასი ლარი გადაერიცხათ საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებს ფინანსური დახმარების მიზნით და შესაბამისად ცენტრალური აპარატის ფაქტიურ ხარჯში არ არის ასახული.

ინფორმაცია

საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური დაწესებულებების 2000 წლის დაფინანსებისა და ფაქტიური ხარჯების შესახებ ბიუჯეტის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის კოდით 010408 მიხედვით

N რიგზე	დიპლომატიური დაწესებულებების დასახელება	დამტკიცებული გეგმა ხარჯთაღრიცხვით (ბიუჯეტით)	ცვლილება გეგმაში (+/-)	დაზუსტებული გეგმა ხარჯთაღრიცხვით (ბიუჯეტით)	გამოყოფილი ლიმიტი	გამოყოფილი დაფინანსება	საკასო ხარჯი	სხვაობა საკასო ხარჯისა გამოყოფილ დაფინანსებასთან შედარებით (+/-)	ფაქტიური ხარჯი	სხვაობა ფაქტიური ხარჯისა დაზუსტებულ გეგმასთან შედარებით (+/-)	სხვაობა ფაქტიური ხარჯისა დამტკიცებულ ლიმიტთან შედარებით (+/-)	სხვაობა ფაქტიურ და საკასო ხარჯებს შორის	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
1	საელჩო ავსტრიაში	907400	123000	1030400	1030400	1028900	1028900	0	916508	-113892	-113892	-112392	
2	საელჩო აზერბაიჯანში	551600	136200	687800	687800	685800	685800	0	574292	-113508	-113508	-111508	
3	საელჩო აშშ-ში	1672400	160500	1832900	1832900	1830900	1830900	0	1830900	-2000	-2000	0	
4	საელჩო ბენილუქსში	970109	100100	1070209	1070209	1070209	1070209	0	890794	-179415	-179415	-179415	
5	საელჩო ბრიტანეთში	838900	128700	967600	967600	966100	966100	0	816106	-151494	-151494	-149994	
6	საელჩო გერმანიაში	844000	110800	954800	954800	953300	953300	0	817420	-137380	-137380	-135880	
7	საელჩო ეგვიპტეში	516000	119500	635500	635500	634000	634000	0	521136	-114364	-114364	-112864	
8	საელჩო თურქეთში	604900	62900	667800	667800	665800	665800	0	623484	-44316	-44316	-42316	
9	საელჩო ისრაელში	594000	23800	617800	617800	616300	616300	0	600038	-17762	-17762	-16262	
10	საელჩო იტალიაში	644400	278400	922800	922800	921300	921300	0	725000	-197800	-197800	-196300	
11	საელჩო ირანში	234900	0	234900	234900	232900	232900	0	232900	-2000	-2000	0	
12	საელჩო რუსეთში	1514700	229400	1744100	1744100	1742094	1742094	0	1682572	-61528	-61528	-59522	
13	საელჩო საფრანგეთში	798900	200700	999600	999600	998100	998100	0	736740	-262860	-262860	-261360	
14	საელჩო სომხეთში	429600	39200	468800	468800	467300	467300	0	458600	-10200	-10200	-8700	
15	საელჩო საბერძნეთში	585000	6000	591000	591000	589500	589500	0	555646	-35354	-35354	-33854	
16	საელჩო უკრაინაში	483300	109800	593100	593100	591600	591600	0	491460	-101640	-101640	-100140	
17	საელჩო უზბეკეთში	214800	137100	351900	351900	350400	350400	0	221582	-130318	-130318	-128818	
18	საელჩო ყაზახეთში	220000	91200	311200	311200	309700	309700	0	281674	-29526	-29526	-28026	
19	საელჩო შვეიცარიაში	800600	225900	1026500	1026500	1025000	1025000	0	822554	-203946	-203946	-202446	
20	მუდმ.წარმ. გაეროში	1049100	181900	1231000	1231000	1229500	1229500	0	1062128	-168872	-168872	-167372	
21	მუდმ.წარმ. ევროკავშირში	387092	126000	513092	513092	513092	513092	0	513092	0	0	0	
22	მუდმ.წარმ. ევროსაბჭოში	462600	104700	567300	567300	565800	565800	0	560080	-7220	-7220	-5720	
23	გენ.საკ. ლიტვაში	195700	28500	224200	224200	224200	224200	0	188302	-35898	-35898	-35898	
24	გენ.საკ. ოდესაში	186800	79000	265800	265800	264300	264300	0	176466	-89334	-89334	-87834	
25	გენ.საკ. საბერძნეთში	249100	0	249100	249100	247600	247600	0	247600	-1500	-1500	0	
26	გენ.საკ. სტამბულში	373600	0	373600	373600	371600	371600	0	371600	-2000	-2000	0	
27	გენ.საკ. ტრაპიზონში	249100	20800	269900	269900	267900	267900	0	248074	-21826	-21826	-19826	
	ჯამი:	16578600	2824100	19402700	19402700	19363194	19363194	0	17166748	-2235953	-2235953	-2196447	

შენიშვნა: 1999 წელს გეგმიური ხარჯების დაუფინანსებლობით წარმოშობილი ფაქტიური ხარჯების დავალიანებების დაფარვის მიზნით, დიპლომატიურ დაწესებულებებს „2000 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად დაუზუსტდათ 2000 წლის გეგმა. აღნიშნული 1999 წლის ფაქტიური ხარჯების დაფარვა მოხდა 2000 წელს. ამდენად ცხრილში (სვ. 11, 12, 13) 2000 წლის ფაქტიური ხარჯები ნაკლებია 2000 წელს დაზუსტებულ გეგმასა, გამოყოფილ ლიმიტსა და საკასო ხარჯებზე.

კონტაქტები

ახალი თეატრალური ზეიმი „მეტროპოლიტენ ოპერაში"... ქართველთა მონაწილეობით

ამერიკის შეერთებული შტატებიდან ახლახან დაბრუნდა ქართველი რეჟისორი თემურ ჩხეიძე. მან ნიუ-იორკის ცნობილ „მეტროპოლიტენ ოპერაში", ხუთი კვირის მანძილზე იმუშავა სერგეი პროკოფიევის ოპერის „მოთამაშის" დადგმაზე. დამდგმელ ჯგუფში შედიოდა, აგრეთვე, ქართველი მხატვარი გოგი ალექსი-მესხიშვილი, რომელმაც შექმნა კოსტიუმები ამ წარმოდგენისათვის, სცენოგრაფია კი ეკუთვნის გიორგი ციპინს. სპექტაკლის დირიჟორი და ამ იდეის სულისჩამდგმელი გახლდათ „მეტროპოლიტენ ოპერაში" ხუთწლიანი კონტრაქტით მიწვეული მთავარი დირიჟორი ვალერი გერგიევი.

თემურ ჩხეიძესა და ვალერი გერგიევს ბოლო წლებში აქტიური შემოქმედებითი ურთიერთობა აკავშირებთ. მათ ერთობლივად რამდენიმე საოპერო დადგმა განახორციელეს, მაგალითად, სანკტ-პეტერბურგის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში დადგეს ვერდის „დონ-კარლოსი", ვაგნერის „მფრინავი ჰოლანდიელი", პროკოფიევის „მოთამაშე". ეს უკანასკნელი მათ ოთხიოდე წლის წინათ იტალიაში, „ლა-სკალაშიც" აჟღერეს,

დრომ გაამძაფრა ინტერესი პროკოფიევის ოპერა „მოთამაშის" მიმართ, თორემ ადრე მისდამი ინტერესი რუსულ საზოგადოებრიობაში ნაკლებად შეინიშნებოდა. 1916 წელს სრულიად ახალგაზრდა კომპოზიტორის მიერ დაწერილი ეს ნაწარმოები მხოლოდ ამ სამი ათეული წლის წინათ აჟღერებულა დიდ თეატრში ბორის პოკროვსკის დადგმით. წინათ იგი დადგმულა ბრიუსელში, ბელგრადსა და პრაღაში. ასე რომ, თანამედროვე მაყურებელი „მოთამაშეს" თემურ ჩხეიძის ინტერპრეტაციით გაეცნო. ოპერა თ. დოსტოევსკის ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით თვით კომპოზიტორის ლიბრეტოზეა შექმნილი და მას რთული ფსიქოლოგიური დატვირთვა აქვს. ს. პროკოფიევი ძლიერი ემოციით გადმოსცემს გმირთა ხასიათებსა და გრძნობებს და, როგორც ყოველთვის, აქაც საოცრად ძლიერია კომპოზიტორის ინტონაციური სტიქია.

„მეტროპოლიტენ ოპერაში" დადგმულ სპექტაკლში მთავარ პარტიებში მიწვეული იყვნენ ცნობილი რუსი შემსრულებლები მეცო-სოპრანო ელენე ობრაზცოვა, ტენორი ვლადიმერ გალუზინი, და ბარიტონი სერგეი არექსამკინი.

როგორც თემურ ჩხეიძემ ბრძანა, წესისამებრ სულ რვა სპექტაკლი გათამაშდა. დადგმას, ცხადია გამოეხმაურა პრესა, რომლის ერთმა ნაწილმა („ნიუ-იორკ ტაიმსი", „ნიუსდეი") ჩვენამდეც მოაღწია. ამერიკელები ამ ნაწარმოებს პროკოფიევის მეორე მაშოკირებელ ოპერას უწოდებენ და აღნიშნავენ, რომ „ეს არის არაჩვეულებრივი წარმოდგენა. თემურ ჩხეიძემ ჩინებულად შეძლო ეჩვენებინა პროკოფიევის უნარი და შესაძლებლობა, — გამოეძერწა ადამიანთა გულგრილობა მუსიკაში, დრამაში და მოახერხა ადამიანური სიხარბის გროტესკირება"... „გოგი ალექსი-მესხიშვილმა კი საოცრად კარგად მოარგო კოსტიუმები მოქმედ გმირებს და იგი ზედმიწევნით შესატყვისება მოქმედებასა და იმ ეპოქას".

როგორც ჩვენმა მკითხველმა უკვე იცის, ამ დღეებში თბილისში იმყოფებოდა გამოჩენილი რუსი მომღერალი ელენე ობრაზცოვა, რომელსაც ვთხოვეთ თავისი აზრი გაეზიარებინა ამ დადგმის შესახებ. აი, რა გვითხრა მან:

„ეს იყო ტრიუმფული სპექტაკლი. ეს სევდიანი პიესა, ულმობელიც კი, თემურ ჩხეიძემ საოცრად ნათლად და თანადროულობის შესატყვისი აზარტულობით გააცოცხლა, მიუხედავად დრამატურგიის სირთულისა და ენობრივი ბარიერისა, ხალხი დიდი ხალისით მოდიოდა სპექტაკლებზე, რაც მეტწილად თემურ ჩხეიძის დამსახურება იყო. იგი არა მარტო მესანიშნავი ხელოვანია, არამედ კარგი პიროვნებაც არის, მე მასთან დიდი სიამოვნებით ვიმუშავე და მინდა მომავალშიც ვითანამშრომლო, თუკი თვითონ ინება თანახმა".

კოსტიუმები და დეკორაციები სიცოცხლეს მატებდნენ ამ გასაოცარ „სპექტაკლს". ასე შედგა „მეტროპოლიტენ ოპერაში"ახალი თეატრალური ზეიმი.

რუსუდან მუხიგულაშვილი.

მცირე ბიზნესი

სასადილო გზის პირას

გზა, მეტადრე საავტომობილო, სავსე რომაა მოულოდნელობებით, ცინცხალი ამბებითა და შეხვედრა-განშორების ტკბილ-მწარე მოგონებებით, ყველამ ვიცით.

გზის პირას დაბა-სოფლებია გაშენებული. თუმცა, დაბა-სოფლები რა მოსატანია ილფისა და პეტროვის იუმორით შეზავებულ იმ აღმოჩენასთან, რომლის თანახმადაც თურმე ამერიკა დიდი საავტომობილო გზის გაყოლებაზე მდებარეობს. ცნობილი ოსტაპ ბენდერის აზრით, დიდი ადამიანები, როგორც წესი, გზისპირა დასახლებულ პუნქტებში იბადებიან. მოდი და ნუ დაიჯერებ: არანაკლებ ცნობილი კვაჭი კვაჭანტირაძე, განა სამტრედია ხონის გზის პირას მდებარე სახლში არ მოევლინა ქვეყანას?!

ასეთი მხიარული პარალელები მგზავრობის დროს თუ აგედევნება კაცს. აი, ახლაც, სარედაქციო დავალებით ავტობუსით ბორჯომში მივდივარ და თან გზას გავყურებ. სალონში საერთო მხიარულებაა.

— მერე, მერე? — ეკითხებიან მძღოლს.

ისიც აუჩქარებლად უკიდებს სიგარეტს სანთებელას, ტრასას გახედავს და განაგრძობს:

— მერე ის იყო, თავი რომ ვერაფერს მოვაბი, მეუღლე კი საავადმყოფოში მეწვა, გადავწყვიტე, ჩემი სტუმრებიანად რომელიმე რესტორანს მივადგები მეთქი. გაგიხარიათ, დღეს რესტორნები ყოველი ფეხის ნაბიჯზეა წამოჭიმული, მაგრამ რად გინდა?! თუ პარლამენტის წევრი არ ხარ, ან საგადასახადო სამსახურის უფროსი, პურის საჭმელად სტუმრებიანად კი არა, მარტოც ვერ შეხვალ. სხვა გზა არ მქონდა: ჩვენი სოფლის, რველის ბოლოში, ნუკრი გოგოლაძის ოჯახური სასადილოა. იქ შევედით. ოთხმა სულმა ლაზათიანად ვისადილეთ — წვნიანიო, ხაჭაპური, სოკო, შემწვარი კარტოფილი, მრავალფეროვანი საუზმეული (ღვინო ჩვენი იყო) და რა გგონიათ? — ოცდაათი ლარი მივეცი, ორი ლარი ხურდა დამიბრუნა, სტუმრებიც კმაყოფილი დამრჩნენ და მასპინძლებსაც მადლობა მოვახსენე. აი, კიდევაც გამოჩნდა ნუკრის სასადილო, — დაიძახა მძღოლმა და მანქანის სიგნალმაც არ დაახანა.

ავტობუსმა აღმართი აიარა და მძღოლს ვთხოვე, აქ გააჩერე მეთქი. მგზავრობის ფული გადავიხადე და ჩამოვედი. დრო მქონდა და ცნობისმოყვარეობამ წამძლია — გადავწყვიტე, მძღოლის ნაამბობი შემემოწმებინა. დიდ, ფეშენებულ რესტორნებს ყაბული არ გასვლია, მაგრამ დასავლეთში ახლა ძალზე პოპულარულია მცირე, ოჯახური ტიპის სასადილოები და კაფეები. იქ შესულ კლიენტს ღიმილიანი მასპინძელი კარებშივე ეგებება, თითქოს ახლობელი ადამიანების გარემოცვაში აღმოჩნდიო, ისე განეწყობი დამხვდურთა მიმართ. ისიც ცდილობს შენს ირგვლივ უშუალობისა და გულითადობის ისეთი ველი შექმნას, რომ იქ მეორედაც, მესამედაც მიხვიდე, ამასთან, მარტო კი არა, მეგობრებთან, ოჯახის წევრებთან ერთად. ეს ის ხალხია, რომელიც ქვეყნის საშუალო ფენას წარმოადგენს, კმაყოფილდება მცირე, მაგრამ მუდმივად მყარი და საიმედო მატერიალური წარმატებით. იცის, რომ ხარბი და სულსწრაფი ადამიანების უმალ გამდიდრების სურვილს ხშირად მძიმე, გამოუსწორებელი ფინანსური შედეგები მოსდევს.

ამ ფიქრებში გზის მეორე მხარეს გადავედი და დავინახე, რომ ჩემკენ უკვე მოდიოდა შუახნის მიტანებული ქალბატონი. მომიახლოვდა, გამიღიმა და მკითხა, ჩვენი სტუმარი ხომ არ ხართო.

თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე და დიასახლისიც კოხტა ხის კოტეჯში შემიძღვა. ფატი ტაბაგაძე აღმოჩნდა, პროფესიით ექთანი, ახლა სასადილოში მზარეულად და მიმტანად მუშაობს.

მარტო რომ დავრჩი, მივათვალიერ-მოვათვალიერე იქაურობა. ირგვლივ პეწი, სისუფთავე და წესრიგი სუფევდა. დიასახლისი მალე მობრუნდა, მოიტანა ხაში (დილა იყო!) მთელი თავისი ტრადიციული ატრიბუტიკით.

ცოტა ხნის შემდეგ კარი ახალგაზრდა კაცმა შემოაღო — ნუკრი გოგოლაძე ვარ, ამ სასადილოს პატრონი, ხომ არაფერი გნებავთო. მასპინძელი გვერდით მოვისვი და საუბარიც გაიბა.

ქვეყანა რომ აირია, ეს ცხოვრებადალაგებული, სამსახურიანი და ცოლშვილიანი კაცი უსამსახუროდ და უსახსროდ დარჩა. ხან რას მოკიდა ხელი, ხან — რას. ბოლოს რიყე-ადგილი შეიძინა, ნაცნობ-ნათესავებში ფული ისესხა და სასადილოს მშენებლობას შეუდგა. მთავარი დარბაზი ჯერაც დასამთავრებელია და წელს თუ რამეს გავხდი, კარგი ბიჭობა იქნებაო, ამბობს. სამზარეულო, ხის ორი კოტეჯი და საზაფხულო „ქოლგები", აი, ჯერჯერობით ნუკრი გოგოლაძის მთელი ავლა-დიდება. მომსვლელები კი, თუმცა, ბორჯომის ხეობაში საკურორტო სეზონი ჯერ არ დაწყებულა, აქაურობას მაინც არ აკლია. იაფი კერძები და ჩინებული მომსახურება, აი, ნუკრი გოგოლაძის ოჯახური კაფე-სასადილოს მთავარი კოზირი.

— იაფი პროდუქცია რომ აწარმოო, — ამბობს ნუკრი, — ეკონომიკურად ძლიერი საკარმიდამო მეურნეობა უნდა გქონდეს. საკუთარი მეღორეობის ფერმა მაქვს, მეწველ ძროხებსა და მოზარდეულს მთელი ზამთარი მალაღყუათიანი საკვები არ მოჰკლებია, ერთ ჰექტარ საკარმიდამო ფართობზე მომყავს კარტოფილი, სიმინდი, ლობიო, კიტრი, პამიდორი, კომბოსტო, ხილი. გახვალ ტყეში და სოკოს მიაქვს იქაურობა, კალმახი გინდა? — აგერ, ჩვენ წინ რომ აუზია, ჩემია, ათობით კალმახი დგაფუნობს შიგ, ხუთ წუთში უკვე შემიძლია სტუმარს მაგიდაზე მივართვა. იშვიათად, რომ ბაზარზე გავიდე და, ყოველივე ამის შემდეგ, რატომ არ უნდა მქონდეს იაფი პროდუქცია?!

ამ ოჯახურ სასადილოში სულ ოთხი კაცი მუშაობს. მზარეული, მიმტანი, ყარაული და თავად ნუკრი გოგოლაძე. რა თქმა უნდა, საკურორტო სეზონის დროს, პიკის საათებში, ნუკრის მეუღლე და მათი სამი შვილიც აქ ტრიალებს.

ჩემი მასპინძლის აზრით, მომსახურების სფეროში დაუშვებელია სიხარბე და ერთბაშად გამდიდრების მანიაკური ჟინი.

— ლარით როცა ლარს იგებ, უნდა გახსოვდეს, საქმესაც მალე დალუპავ და საკუთარ თავსაც. პირადად მე ერთ ლარზე 35-40 თეთრი მოგება მრჩება: ოჯახსაც ვინახავ, ბიუჯეტშიც შემაქვს, თანამშრომლებსაც ხელფასს ვუხდი, წარმოების გაფართოებასაც ვახერხებ.

კიდევ დიდხანს ვისაუბრეთ. დამშვიდობებისას ვკითხე:

— მაინც, როგორმა კაცმა არ უნდა მოკიდოს ხელი ასეთ საქმეს?

— ხარბმა და სულწასულმა. და კიდევ: ამას წინათ თქვენს გაზეთში წავიკითხე ერთი ჩინური სიბრძნე: თავპირჩამომტირალმა კაცმა არ უნდა გახსნას სავაჭრო ფარდული.

გურამ ვაშაკიძე,
„სრ" საკ. კორესპონდენტი.

გვწერენ

ქართველი ბავშვები — ირლანდიაში

თბილისის ბავშვთა ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში ონკო-ჰემატოლოგიის ცენტრი არსებობს. აქ ყოველწლიურად ლეიკემიითა და სხვადასხვა ავთვისებიანი ლიმფომებით დაავადებული 70 პირველადი ავადმყოფი ბავშვი მკურნალობს.

აუცილებელი ქიმიოთერაპიის კურსი საშუალოდ 180 დღეს მოიცავს. ის საკმაოდ მძიმედ მიმდინარეობს, რის გამოც პატარა პაციენტებს ემოციური რეაბილიტაცია უსათუოდ ესაჭიროებათ.

ამისათვის ირლანდიაში ზღაპრული სამყარო ბარეთსთაუნის ბანაკი ფუნქციონირებს, რომელიც 1993 წელს პოლ ნიუმანმა დააარსა. ამერიკაში მანამდე უკვე კარგად იყო ცნობილი „ვოლ განგ ბანაკის" მოდელი. ეს ისეთი სამყაროა, სადაც ყველა ოცნება სრულდება; აქ მოხვედრილი ყველა ბავშვი რწმუნდება თავის შესაძლებლობებში და განვლილი მძიმე პერიოდის კვალიც აღარ რჩება.

აქ თავს იყრიან ბავშვები ევროპის ყველა ქვეყნიდან. დასვენებისათვის საუკეთესო პირობებს ქმნის ზომიერი ჰავა, ირლანდიის მთავრობის გულუხვობა, ბანაკის ტერიტორიული სიახლოვე დუბლინის აეროპორტთან და მთავარ საავადმყოფოებთან.

ქართველი ბავშვები 1996 წლიდან სტუმრობენ ბარეთსთაუნს. ეს კი საქართველოში ევროკომისიის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის დენის კორბოის მეუღლის ქალბატონ ჯეინის შუამდგომლობით სრულდება და — მაია ქავთარაძისა და ნანა კაშიას გულმოდგინების წყალობით დღემდე 41-მა ქართველმა ბავშვმა მოინახულა ეს ბანაკი.

ბავშვების დასვენების ხარჯებს ბარეთსთაუნში მთლიანად ბანაკი აფინანსებს, მგზავრობის ფულს კი ქართველი და საქართველოში მოღვაწე უცხოელი ქველმოქმედები იხდიან.

1999-2000 წლებში ბარეთსთაუნში ბავშვების გამგზავრების დაფინანსებაში დიდი წვლილი მიუძღვის ქალბატონ ნანული შევარდნაძეს და ქალბატონებს მაგული გოგიტიძეს, ლელა სირაძეს, ბატონებს ზვიად ცეცხლაძეს, თემურ ჟორჟოლიანს, ვახტანგ ჭკუასელს, რომლებსაც ულრმეს მადლობას მოვახსენებთ ბარეთსთაუნში გაგზავნილი ბავშვების მშობლები. მათთან ერთად დიდი მადლიერების გრძნობით მივმართავთ ბრიტანეთის ავია ხაზების კოლექტივსა და მის მენეჯერს რობერტ დაელასს, რომელსაც აგერ უკვე 5 წელიწადია მაღალი კლასის მომსახურებით, სამგზავრო ბილეთებზე მნიშვნელოვანი ფასდაკლებებითა და შეღავათებით გადაჰყავს ქართველი ბავშვები და მათი გამყოლები დუბლინში.

ბარეთსთაუნში ნამყოფი ბავშვების მშობლების სახელით

მაია ჩიხრაძე.
თბილისი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღირსეული

პირველობას მიჩვეული კაცი

ენდრიუ ათენსი – საზღვარგარეთელი ბერძნების მსოფლიო საბჭოს თავმჯდომარე საქართველოში რამდენიმე წლის წინათ გაიცნეს, ამ ქველმოქმედი კაცის კეთილი საქმეები მარტო ბერძნული დიასპორისათვის როდია განკუთვნილი. მისი სახელი მჭიდროდ უკავშირდება თბილისში, ნინოშვილის ქუჩაზე დაფუძნებულ სამედიცინო ცენტრს. ეს მისამართი კარგად არის ცნობილი არა მხოლოდ აქაური ბერძნებისათვის, არამედ დედაქალაქის ბევრი შეჭირვებული მოქალაქისთვისაც. ამიტომაც შემთხვევითი როდი იყო, რომ საზეიმო გახსნაზე ამ ცენტრს მისი მთავარი ფუძემდებლის ენდრიუ ათენსის სახელი უწოდეს.

არც ის იყო შემთხვევითი, რომ ერთხელ, როცა მან შეიტყო ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის არცთუ დალხინებულ ცხოვრებაზე, ბატონმა ათენსმა ბრძანა: „ჩემთვის ყოველივე ეს უცხო არ არის, ერთ დროს მეც დიდ გაჭირვებაში ვცხოვრობდი“.

აშშ-ში გადასახლებული ბერძენი გლეხის შვილი, უკეთეს ცხოვრებას რომ ეძებდა, იზიარებდა ათეული ათასობით თანამედროვე ახალგაზრდის აზრს, ბედნიერება ოკეანისგაღმა რომ ეგულებოდათ. ოჯახში ხუთი ბავშვი იზრდებოდა და ყველაზე დიდი სიმდიდრე ოჯახის ყველა წევრისათვის იყო ძმობის, მეგობრობის უჩვეულო ატმოსფერო, რაც მომავალში დიდად ეხმარებოდა უკვე წამოზრდილთ. ყმაწვილებისათვის რომ გეკითხათ, თუ მემკვიდრეობით რა მიიღეს, ვთქვათ, მამისაგან, პასუხი მოკლე და დამაჯერებელი იქნებოდა: ძმობა, და არა მარტო სისხლით, არამედ სულიერადაც, მხარში ამოდგომის, დახმარების, გაჭირვების ერთად დაძლევის სულისკვეთება. რასაკვირველია, ჩიკაგოში ახალბედა ამერიკულ ოჯახს ძალზე ბევრი პრობლემა ჰქონდა. მაგრამ ოჯახის თითოეულ წევრს ერთი რამ ღრმად სწამდა: სიღარიბისაგან შრომა გადაგვარჩენსო. თორმეტი წლის ენდრიუ ფეხსაცმლის მწმენდავი გახდა, შემდეგ ოფიციანტი იყო. მამა ნატრობდა – განათლებული შვილი ჰყოლოდა, რაც ენდრიუს დიდი სურვილიც იყო. უნდა ითქვას, რომ სასწავლებელში მიღებული ცოდნა ნაყოფიერ ნიადაგში ხვდებოდა, რასაც ახლა უკვე ოთხმოც წელს გადაცილებული ბატონი ათენსის მთელი ცხოვრება ასაბუთებს.

მეორე მსოფლიო ომი მიმდინარეობდა. მეორე ფრონტის გახსნისას კაპიტანი ენდრიუ, რომელიც ავტოკოლონას მეთაურობდა, ჯარების იმ ჯგუფში მოხვდა, ბელგია რომ გაათავისუფლა. ისე მოხდა, რომ ერთ-ერთ ქალაქთან მისმა ქვედანაყოფმა გზა დაკარგა და, რათა მიმართულება დაედგინა, ახალგაზრდა კაპიტანმა პირველივე სახლის კარზე დააკაკუნა. ღამდებოდა, მაგრამ კარი მაინც გაუღეს, და მამაცმა მეომარმა ლამაზი ქალიშვილი დაინახა. კაპიტანი გაირინდა – ბედია! გჯერათ, ერთი ნახვით შეყვარება? ეს იყო ამის კლასიკური ნიმუში და აი, უკვე 55 წელია, ბატონი ენდრიუ და ქალბატონი ლუიზა ალმერთებენ ბედს, ისინი რომ შეახვედრა.

რა მოჰყვა ბედნიერ ქორწინებას? ახალგაზრდა კაცი იქვე, ბელგიაში ჩაერთო, როგორც დღეს უწოდებენ, მცირე ბიზნესში. ხოლო როცა საქმე ააწყო, თავისთან ორი უფროსი ძმაც ჩაიყვანა და ერთობლივად თვალსაჩინო წარმატებასაც მიაღწიეს. შემდეგ ისევ ამერიკაში დაბრუნდნენ. როცა ეკონომიკურად კარგად მომაგრდნენ, სხვათა – გაჭირვებულთა დახმარების სურვილიც გაუჩნდათ, თუმც ეს გრძნობა ენდრიუს მუდამ ჰქონდა.

დადგა 1974 წელი, კვიპროსის შავი წელიწადი, როცა თურქეთმა დაიპყრო კუნძულის ნაწილი. ამ ტრაგედიის ყველაზე საშინელი შედეგი ლტოლვილები იყვნენ. როგორ შეიძლებოდა ათასობით უდანაშაულო ადამიანის ბედიღბლისაგან განზე გადგომა? ამან შეძრა ენდრიუ ათენსი. ის ეკლესიასთან ერთად მოქმედებდა. მალე გახდა, როგორც ამბობენ ხოლმე, საბერძნეთის არქიეპისკოპოსის იაკობის თანამოაზრე, მისი მარჯვენა ხელი და სათავეში ჩაუდგა საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაციას.

პირველ წელსვე თითქმის მთელი მსოფლიო შემოიარა. შთაბეჭდილება დამაიმედებელი იყო. ბერძნები, ძირითადად, კარგად ცხოვრობდნენ. როცა მან ამის შესახებ კვიპროსის ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრს ბატონ იაკობს უთხრა, მან შესთავაზა, მასთან ერთად საქართველოში ემოგზაურა. „მინდა გაჩვენო სხვა ბერძნებიც“. სწორედ მაშინ ნახა ბატონმა ენდრიუ ათენსმა, თუ როგორ უჭირს საქართველოს მოსახლეობას.

ასე წარმოიშვა საქართველოს ბერძნული დიასპორისათვის და, საერთოდ, მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების პროგრამა.

მას შემდეგ რამდენიმე წელი გავიდა. საზღვარგარეთის ბერძენთა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტი ჩვენს ქვეყანაში უკვე რამდენიმეჯერ ჩამოვიდა, თან მუდამ ახალი პროექტებით. თბილისის სამედიცინო ცენტრი ენდრიუ ათენსის პირმშოა. საქართველოში ერთ-ერთი ბოლო ვიზიტის დროს მან საფუძველი ჩაუყარა კიდევ ორ ასეთ ცენტრს – წალკასა და ციხისძვარში გაიხსნა პოლიკლინიკები, რომლებიც მარტო ბერძნებს კი არა, მთელ ადგილობრივ მოსახლეობას ემსახურება.

ბატონმა ათენსმა არ იცის დასვენება. ის პირველი აწვდის იდეას, პირველივე მიისწრაფის, ნახოს გახარებული ხალხი, ვისთვისაც სიკეთეს აკეთებს. ჩქარობს, რათა ყველაფერი მოასწროს, დრო არ დაკარგოს, ამიტომაც ყველგან პირველია.

ნელი გვინდაძე.

გამოიცა

ჩვენი ისტორიის უცნობი ფურცლები

პროფესორ გურამ შარაძის ყოველი ახალი წიგნი საზოგადოებრიობის ცხოველ ინტერესს იწვევს.

ამჯერად მკითხველმა მიიღო **„ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორიის“** I ტომი.

იგი ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის როგორც რევოლუციამდელი (1917 წ.), ისე გასაბჭოების შემდეგდროინდელი პერიოდის (1921 წლიდან დღემდე) შექმნის პირველი ცდაა.

წიგნი შესავლისა და ორი თავისაგან შედგება.

შესავალში ქართული ეროვნული ჟურნალისტიკის ჩასახვისა და განვითარების გზებს ვეცნობით, ვრწმუნდებით, რომ დღევანდელ ქართულ მასმედიას განათლებით, ნიჭიერებითა და სამშობლოს სიყვარულით გამორჩეული წინამორბედები ჰყავდა.

ავტორი მიიჩნევს, რომ ქართული გაზეთის დაარსების აუცილებლობის იდეა XVIII საუკუნის მიწურულს გამოიკვეთა, რომ რუსეთის იმპერიაში შემავალ ხალხებს შორის პირველად თბილისში განხორციელდა ქართული ოფიციალური პერიოდული ორგანოს „საქართველოს გაზეთის“ (შემდეგში „ქართული გაზეთის“) გამოცემა 1819-1821 წლებში. მას ბუნებრივად მოჰყვა გაზეთი „ტფილისის უწყებანი“ (1828-1832 წ.წ.), რომელსაც 1832 წელს „სალიტერატურონი ნაწილნიც“ დაერთო, ხოლო 1845 წელს მათ მესამე ოფიციალური ქართულენოვანი გაზეთი „კავკასიის მხარეთა უწყებანიც“ დაემატა.

ქართული ჟურნალისტიკის ეს პირველი ნაბიჯები დაგვირგვინდა 1852 წელს გიორგი ერისთავის და შემდეგ (1857 წლიდან) ივანე კერესელიძის ჟურნალ „ცისკრის“ გამოცემით, რომელმაც, ფაქტობრივად, საფუძველი ჩაუყარა ილიამდელ ეროვნულ ჟურნალისტიკას და რომელმაც გზა გაუკაფა ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, მის სათავეში დიდ სამოციანელთა მოსვლას და მტკიცე ეროვნულ საფუძველზე დამყარებული სრულიად ახალი ტიპისა და სიმაღლის ქართული ჟურნალისტიკის შექმნას („საქართველოს მოამბე“, „კრებული“, „დროება“, „მნათობი“, „ივერია“...).

XX საუკუნის რევოლუციამდელი და გასაბჭოებამდელი ქართული ჟურნალისტიკა საოცარი სიჭრელითა და მრავალფეროვანი პოლიტიკური მიმართულებების მქონე ათეულობით ჟურნალ-გაზეთით გამოირჩეოდა. თავი იჩინა იმ მრავალპარტიულმა შინაურმა ორთაბრძოლებმა, რომლებიც წარმართავდა XX საუკუნის პირველი ოცწლეულის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას.

1927 წლიდან დღემდე ქართულმა პოლიტიკურმა ემიგრაციამ შექმნა თავისუფალი დემოკრატიული პრესის პრინციპებზე დაფუძნებული უმდიდრესი ჟურნალისტიკა, რომელიც 70-წლიან საბჭოთა ეპოქაში სრულიად უცნობი იყო ქართველი საზოგადოებისათვის.

წიგნის პირველი თავი რევოლუციამდელ ემიგრანტულ ჟურნალისტიკას (1873-1918 წ. წ.) მიმოიხილავს. ეს პერიოდი მოიცავს 4 გამოცემას: **„დროშა“** 1873 წ. პარიზი, პირველი ქართული არალეგალური სოციალისტური მიმართულების ყოველდღიური ჰექტოგრაფიული გაზეთი, რედაქტორი ნიკო ნიკოლაძე; თავისუფალი გაზეთი **„საქართველო“**, 1903-1905 წ. წ. პარიზი. საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ორგანო. რედაქტორები არჩილ ჯორჯაძე, გიორგი ლასხიშვილი, თედო სახოკია; ჟურნალი **„თავისუფალი საქართველო“**, 1913-1914 წ. წ. ჟენევა, ქართველ „სეპარატისტთა ჟენევის ჯგუფის“ ყოველთვიური ორგანო, რედაქტორები: პეტრე სურგულაძე, ლეო და გიორგი კერესელიძეები; ორკვირეული **„ქართული გაზეთი“**, 1916-1918 წ. წ. ბერლინი. თავისუფალი საქართველოს დამოუკიდებლობის პარტიის ევროპის კომიტეტის ეროვნულ-სეპარატისტული მიმართულების ორგანო. რედაქტორები ლეო კერესელიძე, გიორგი კერესელიძე.



მეორე თავი გასაბჭოების შემდეგდროინდელი (1921-1939 წლების) ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორიაა. ავტორი მიმოიხილავს 7 პერიოდულ ორგანოს. ესენია: სოციალ-დემოკრატიული მიმართულების ყოველდღიური ჟურნალი **„თავისუფალი საქართველო“**. 1921-1922 წ. წ. სტამბოლი-პარიზი, სარედაქციო კოლეგია; ქართველი ემიგრანტების საქართველოში დაბრუნებისა და საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის იდეის დამცველი ორკვირეული გაზეთი **„ახალი საქართველო“**, 1924-1926 წ. წ. პარიზი-ბერლინი, რედაქტორი გრიგოლ ვეშაპელი; ჟურნალი **„სამშობლოსათვის“**. 1925 წ. პარიზი. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ორკვირეული ორგანო, რედაქტორი სპირიდონ კედია; ჟურნალი **„ბრძოლა“**. 1925-1928 წ. წ. პარიზი, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საზღვარგარეთული ბიუროს ყოველთვიური ორგანო. რედაქტორი დავით შარაშიძე; ჟურნალი **„სახალხო საქმე“**. 1926-1935 წ. წ. პარიზი. უცხოეთში მყოფ სოციალისტ-ფედერალისტების კომიტეტის გამოცემა; გაზეთი **„თეთრი გიორგი“**, 1926-1939 წ. წ. პარიზი-ბერლინი. საქართველოს პატრიოტული ახალგაზრდობა „თეთრი გიორგის“ ორგანიზაციის გაზეთი (შემდეგ გადაკეთდა ეროვნული ერთობის დარაზმულობის „თეთრი გიორგის“ ორგანოდ). რედაქტორები: ლეო კერესელიძე, მიხაკო წერეთელი, ვიქტორ ნოზაძე, ლეო კერესელიძე; ჟურნალი **„საქართველოს მოამბე“**, 1923 წ. ბერლინი. ყოველთვიური უპარტიო ორგანო ეროვნული კულტურისა. რედაქტორი რაფიელ ინგილო-ივანიცკი...

ეს ჟურნალ-გაზეთები, რომელთა უმეტესი ნომრებიც ბატონ გურამ შარაძეს, რომ იტყვიან, მარცვალ-მარცვალ აქვს მოძიებული მთელს ევროპაში, საფუძვლიანად, მრავალმხრივად არის მიმოხილული. წარმოდგენილია თითოეული მათგანის გამოცემის ისტორია, მიზნები და ამოცანები, პოლიტიკური კურსის თავისებურებანი, ავტორთა წრე, მოცემულია ყველაზე მნიშვნელოვანი პუბლიკაციები.

ავტორს „ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია“ რამდენიმე ტომად აქვს ჩაფიქრებული. I ტომი 656 გვერდს მოიცავს. ეს მიგვანიშნებს, თუ რა მძიმე შრომას შესდგომია ბატონი გურამ შარაძე – მეცნიერი, პარლამენტარი, საზოგადო მოღვაწე.

ამ მაღალპოლიგრაფიულად გამოცემულ, უხვად დასურათებულ ტომს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას წინათქმა უძღვის.

ავტორმა წიგნი ტრაგიკულად დაღუპულ ლაშა შარაძის ნათელ ხსოვნას უძღვნა.

ალექსანდრე ალექსიძე.

განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის (სსიფ) მიერ წარმოებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამის შესაბამისად აცხადებს ტენდერს:

ვანი ქ. ვანის კულტურის სახლის რემონტის მიკროპროექტის კომიტეტი;

ცაგერი ქ. ცაგერის კულტურის სახლის რემონტის მიკროპროექტის კომიტეტი;

ამბროლაური ქ. ამბროლაურის წყალსადენის სისტემის რეკონსტრუქციის მიკროპროექტის კომიტეტი;

ონი ქ. ონის კულტურის სახლის რემონტის მიკროპროექტის კომიტეტი;

ტენდერში მონაწილეობა შეუძლიათ შესაბამისი ლიცენზიის მქონე კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს.

საკონკურსო დოკუმენტაციის გაცემა მოხდება შესაბამისად:

- **ქ. ვანის კულტურის სახლი – 20 აპრილიდან 21 მაისის 15 სთ-მდე – ქ. ვანი, სოლომონ II ქ. №4 (კონსულტაცია პროექტზე ჩატარდება – 4 მაისს 15 სთ-ზე, საკონკურსო წინადადებები გაიხსნება – 21 მაისს 15-ზე, იმავე მისამართზე);**
- **ქ. ცაგერის კულტურის სახლი – 20 აპრილიდან 21 მაისის 18 სთ-მდე – ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №20 (კონსულტაცია პროექტზე ჩატარდება – 4 მაისს 18 სთ-ზე, საკონკურსო წინადადებები გაიხსნება 21 მაისს 18 სთ-ზე, იმავე მისამართზე);**
- **ქ. ამბროლაურის წყალსადენის სისტემა – 21 აპრილიდან 22 მაისის 14 სთ-მდე – ქ. ამბროლაურის გამგეობა (კონსულტაცია პროექტზე ჩატარდება – 5 მაისს 14 სთ-ზე, საკონკურსო წინადადებები გაიხსნება 22 მაისს 14 სთ-ზე, იმავე მისამართზე);**
- **ქ. ონის კულტურის სახლი – 21 აპრილიდან 22 მაისის 16 სთ-მდე – ქ. ონი, ალმაშენებლის მოედანი №1 (კონსულტაცია პროექტზე ჩატარდება – 5 მაისს 16 სთ-ზე, საკონკურსო წინადადებები გაიხსნება 22 მაისს 16 სთ-ზე, იმავე მისამართზე).**

კონსულტაციებზე დასწრება სავალდებულოა.
საკონკურსო დოკუმენტების ღირებულებაა 20 ლარი.
კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს საკონკურსო გარანტია 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.

„ზოგიერთი პირველი რიგის ანტიკორუფციული ღონისძიებების შესახებ“

საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 15 მარტის №95 ბრძანებულების შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო აქვეყნებს ინფორმაციას 2000 წელს გაწეული ხარჯების შესახებ

საქართველოს 2000 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს 2000 წლის 10 მარტის კანონით საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ხარჯები გათვალისწინებულია ცალკე მუხლით.

(ორგანიზაციის კოდი 3101; 3102; 3103;)

2000 წელს საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს დამტკიცებული ჰქონდა ბიუჯეტი 10820000 ლარის ოდენობით (დაცული მუხლები 6970500 ლარი ანუ 64,4 პროცენტი), რაც გეგმიურად ვერ დაფინანსდა, სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრების შემცირების (სეკვესტრის) შედეგად. უშიშროების სამინისტროს 2000 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი განისაზღვრა 6469600 ლარით, ხოლო ფაქტობრივად მიღებულმა დაფინანსებამ (ხაზინის საკასო ხარჯი) შეადგინა 6439203 ლარი ანუ დაზუსტებულ გეგმაზე 30397 ლარით ნაკლები.

ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით უშიშროების სამინისტროს მიერ გაწეული ხარჯები როგორც საბიუჯეტო, ასევე არასაბიუჯეტო შემოსავლების მიხედვით დეტალურადაა წარმოდგენილი თანდართულ ცხრილში.

საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო (სპეციალური) შემოსავლებიდან 2000 წელს გაწეული ხარჯები

თანხა ლარებში

№	ხარჯების დასახელება	ხარჯები		ჯამი
		ხარჯები საბიუჯეტო	სპეც-სახსრები	
1.	მუშა მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	2450173,0	28351,0	2478524,0
2.	დამქირავებლიდან ანარიცხები	67482,0	–	67482,0
3.	მივლინებები	69542,0	–	69542,0
4.	ოფისის ხარჯი	147645,0	–	147645,0
5.	კომუნალური მომსახურება	341628,0	–	341628,0
6.	კვების ხარჯები	205990,0	6000,0	211990,0
7.	მედიკამენტების შეძენა	4161,0	–	4161,0
8.	რბილი ინვენტარი და უნიფორმა	7478,0	13000,0	20478,0
9.	ტრანსპორტისა და ტექნიკის შენახვა	554695,0	8700,0	563395,0
10.	სხვა ხარჯები	505738,0	3000,0	508738,0
11.	მიმდინარე ტრანსფერტები	1829504,0	–	1829504,0
12.	მანქანა-დანადგარების შეძენა	41261,0	18480,0	59741,0
13.	მანქანა-დანადგარებისა და შენობა-ნაგებობების კაპრემონტი	154160,0	20000,0	174160,0
	სულ	6379457,0	97531,0	647988,0

ფეხბურთი

„გრიში – შელია“

ფეხბურთელთა XII ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ექვსეულის IV ტურის ცენტრალურ შეხვედრას „ლოკომოტივი“ – „დინამო“ ერთ დროს ეროვნული ნაკრების წევრების სოსო გრიშიკაშვილისა და მურთაზ შელიას სახით ორი ანტიგმირი ჰყავდა. დინამოელთა მეკარეშ პირველ ტაიმში „ისახელა“ თავი და საუბარსაც მასზე დავიწყებთ.

მე-13 წუთი. გოგიჩაიშვილი მარცხენა ფრთიდან დრიბლინგით გასცდა მეურვეს, ცენტრისკენ გადაინაცვლა და 25 მეტრიდან არცთუ ძლიერი დარტყმით ანგარიში გახსნა. წესით და რიგით, პროფესიონალ გოლკიპერს ეს ბურთი არ უნდა გაეშვა. დავძენთ, რომ ამ ეპიზოდამდე ცოტა ხნით ადრე „გოგიჩას“ ფლანგური ჩაწოდების შემდეგ საქმეში ძლიერი ქარი ჩაერია, სოსო დააბნია და თუ ყველაფერი „მშრალად“ დასრულდა, ძელის დამსახურებაა.

22-ე წუთი. გრიშიკაშვილი დაუფიქრებლად ტოვებს საკუთარი საჯარიმოს ფარგლებს, დათვაძესთან მეტაკებაში ფეხის ტრავმას იღებს და... კოჭლობით განაგრძობს თამაშს. ლოგიკური შედეგიც სახეზეა – 45-ე წუთზე იგი აგვიანებს მაღალ ჩაწოდებაზე გამოსვლას და შენგელია კიდევ უფრო აწინაურებს რკინიგზელებს – 2:0. ახლა მურთაზის „ნაკაიკაცარზეც“ ვთქვათ ორიოდე სიტყვა.

50-ე წუთი. იგი უხერხულად იგერიებს ბურთს თავით და ზირაქიშვილი გარლევაზე გაჰყავს. ყველაფერი წესების დარღვევით, მაზიაშვილის საჯარიმოთი და პირველი საპასუხო გოლით მეორე ცდიდან მთავრდება (პირველი „ცოცხალ კედელს“ მოხვდა) – 1:2.

68-ე წუთი. მაზიაშვილი გრძელი გადაცემით მეტევაში ზირაქიშვილს აგზავნის, მაგრამ აშკარაა, რომ მას ლომაიამ უნდა დაასწროს. მოულოდნელად საქმეში შელია ერევა და „მაკრატელათი“ ბურთს საკუთარ კარში ათავსებს – 2:2.

თბილისური დერბის კიდევ რამდენიმე მთავარი კომპონენტი: ქუთაისელი მსაჯის ავთანდილ შალამბერიძის, რბილად რომ ვთქვათ, ლაფსუსები; მინდვრიდან ონიანისა („ლოკომოტივი“) და სახვაძის („დინამო“) გაძევება; რკინიგზელთა მთავარი მწვრთნელის გივი ნოდიას განხორციელებული, ძნელად ასახსნელი ცვლილებები და, რაც მთავარია, ახალგაზრდა დინამოელთა დაუოკებელი სპორტული ჟინი. სხვათა შორის, მიკუჩაძეს, ბურდულსა და მიქაძეს გამარჯვების გოლის გატანაც შეეძლოთ, მაგრამ...

გუშინ ქუთაისის „ტორპედომ“ ფოთში უმნიშვნელოვანესი მატჩი მოუგო „კოლხეთს“ – 1:0 (ბობოხიძე), „ვიტ-ჯორჯიამ“ კი მცხეთაში ასეთივე ანგარიშით სძლია „მერანს“ (ნოზაძე).

„ლოკომოტივი“ – 30, „ტორპედო“ – 28, „დინამო“ – 27, „ვიტ-ჯორჯია“ – 25, „კოლხეთი“ – 22, „მერანი“ – 18 ქულა.

21 აპრილს I წრის ფინიშზე ითამაშებენ „ტორპედო“ – „ლოკომოტივი“, „დინამო“ – „ვიტ-ჯორჯია“ და „მერანი“ – „კოლხეთი“.

აქვე გაუწყებთ უმაღლეს ლიგაში დასარჩენად მებრძოლთა ტურნირის შედეგებსაც: „იბერია“ – „ბათუმი“ 0:3, „დილა“ – „გორდა“ 2:1. დღეს მცხეთაში 16 საათზე იასპარეზებენ თსუ – „სიონი“.

გია პლატონიშვილი.

სურათზე: „ლოკომოტივისა“ და „დინამოს“ გუშინდელი მატჩის ერთ-ერთი ეპიზოდი: გოგიჩაიშვილი შამიაშვილისა და მანწკავას წინააღმდეგ.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

კრივი

ასპარეზობა ვარიანში

საქართველოს კრივის ფედერაციის კალენდრის მიხედვით 2001 წლის ჩვენი ქვეყნის პირად-გუნდური ჩემპიონატისათვის ბათუმს უნდა ემასპინძლა, მაგრამ ბოლოს გადაწყდა მისი გამართვა გორის რაიონის სოფელ ვარიანის ჩინებულ სპორტულ დარბაზში, სადაც 10 ქალაქისა და რეგიონის 70 მოკრივე გამოვიდა. მათ შორის – საკუთარი სახსრებით იქ ჩასული თბილისელთა გუნდიც.

წონითი კატეგორიების მიხედვით საქართველოს 2001 წლის ჩემპიონები გახდნენ: 48 კგ – შალვა ჯომარდაშვილი (ვარიანი), 51 კგ – ზურაბ ოჩიგავა (ფოთი), 54 კგ – რამაზ ბებნაძე (ვარიანი), 57 კგ – ავთანდილ კაშია (ქუთაისი), 60 კგ – ვანო გოგიშვილი, 63,5 კგ – პაატა ვარდუაშვილი, 67 კგ – მალხაზ ბერკაცაშვილი (ყველა – ვარიანი), 71 კგ – ანატოლი ქავთარაძე (ჭიათურა), 75 კგ – დავით წიკლაური (თბილისი), 81 კგ – ზურაბ უჩანეიშვილი (აჭარა), 91 კგ – ილია გლაშაძე (ვარიანი), სუპერმძიმე წონა – ვლადიმერ ჭანტურია (ფოთი).

ყველაზე ტექნიკური მოკრივისათვის განკუთვნილი პრიზი გადაეცა თბილისელ კონსტანტინე კუპატაძეს, რომელიც 54 კგ წონაში გამოდიოდა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავა ვარიანის ძლიერმა ნაკრებმა, მეორეზეა ფოთის, ხოლო მესამეზე – თბილისის გუნდები.

შემოდგომაზე ბელფასტში (ჩრდილოეთ ირლანდია) გაიმართება მსოფლიოს პირად-გუნდური ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს ნაკრების მონაწილეობაც არის დაგეგმილი.

შალვა ჩიხლაძე.

ევროპის სტადიონებზე

იტალია. XXVI ტური. „რომა“ – „პერუჯა“ 2:2, „იუვენტუსი“ – „ინტერი“ 3:1, „რეჯინა“ – „ლაციო“ 0:2, „ატალანტა“ – „პარმა“ 0:1, „მილანი“ – „უდინეზე“ 3:0, (ანგარიში **კახი კალაძემ** გახსნა).

„რომა“ – 59, „იუვენტუსი“ – 55, „ლაციო“ – 49, „პარმა“ – 43, „ატალანტა“, „მილანი“ – 40-40 ქულა.

ესპანეთი. XXX ტური. „რეალი“ – „ვილიარეალი“ 4:0, „დეპორტივო“ – „ოსასუნა“ 2:1, „ვალენსია“ – „ალავესი“ 1:2, „მალიორკა“ – „ლას პალმასი“ 2:1, „ბარსელონა“ – „სარაგოსა“ 4:4.

„რეალი“ – 65, „დეპორტივო“ – 57, „ვალენსია“, „მალიორკა“ – 52-52, „ბარსელონა“ – 51 ქულა.

გერმანია. XXIX ტური. „ბაიერნი“ – „შალკე“ 1:3, „ლევერკუზენი“ – „ფრაიბურგი“ 1:3 (ორი საგოლე გადაცემა **ალექსანდრე იაშვილმა** შეასრულა), „ჰერტა“ – „ბორუსია“ 1:0, „კაიზერსლაუტერნი“ – „აინტრახტი“ 4:2.

„შალკე“ – 52, „ბაიერნი“ – 50, „ლევერკუზენი“, „ბორუსია“, „ჰერტა“, „კაიზერსლაუტერნი“ – 49-49 ქულა.

ინგლისი. XXXIII ტური. „მანჩესტერი“ – „ქოვენთრი“ 4:2, „არსენალი“ – მიდლსბრო“ 0:3, „იფსვიჩი“ – „ნიუკასლი“ 1:0, „ლივერპული“ – „ლიდსი“ – 1:2, „ჩელსი“ – „საუთჰემპტონი“ 1:0.

„მანჩესტერი“ – 76 (ეს გუნდი ვადამდე გახდა ქვეყნის ჩემპიონი), „არსენალი“ – 60, „იფსვიჩი“, „ლიდსი“ 56-56, „ჩელსი“ – 51 ქულა.

საფრანგეთი. XXXI ტური. „ნანტი“ – „ბასტია“ 1:0, „ოსერი“ – „ლილი“ 1:1, „ლიონი“ – „პარი სენ-ჟერმენი“ 2:0, „ბორდო“ – „სტრასბური“ 2:1, „მარსელი“ – „სედანი“ 2:1.

„ნანტი“ – 59, „ლიონი“, „ლილი“ – 55-55, „ბორდო“ – 53, „სედანი“ – 48 ქულა.

რუსეთი. V ტური. „კრილია“ – „ანჟი“ 0:0, „ფაკელი“ – „ზენიტი“ 1:2, „სატურნი“ – „სოკოლი“ 1:2, „როსტსელმაში“ – „სპარტაკი“ 0:1, „დინამო“ – „ლოკომოტივი“ 1:2 (გადამწყვეტი გოლი **ზაზა ჯანაშიამ** გაიტანა).

„კრილია“, „ზენიტი“, „სოკოლი“, „სპარტაკი“ – 13-13, „ლოკომოტივი“ – 11 ქულა.

ცინცხალი ამბები

ინგლისის ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი ალან შირერი ტრავმის გამო წლევანდელ სეზონში

ველარ ითამაშებს. მას მუხლის ოპერაცია უნდა გაუკეთონ. გასული წლის დეკემბრიდან, მისმა მცდელობამ, მინდორზე გამოსულიყო უშედეგოდ ჩაიარა.

კალათბურთი

მოძღვარს მიუძღვნეს

თბილისის „მაქაბი ბრინკფორდის“ პრეზიდენტი და მთავარი მწვრთნელი **ჯამლეტ ხუხაშვილი** დაბადების დღეზე უკეთეს საჩუქარს, ალბათ, ვერც ინატრებდა თავისი კლუბისაგან: ბიჭებმა დიდი შემართებით იბრძოლეს ერთ-ერთი ფავორიტის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდის წინააღმდეგ და ტრავმირებული ლეგიონერის ტოუჯანის არყოფნის მიუხედავად (იგი მხოლოდ 1 წუთით გამოჩნდა მოედანზე) გაიმარჯვეს ანგარიშით 103:96. აღსანიშნავია, რომ ერთ მომენტში მაქაბელები მეტოქეს 18 ქულით უგებდნენ. ამ წარმატებით „ბრინკფორდმა“ საბოლოოდ დაიჯავშნა ადგილი „პლეი-ოფში“. მეტიც, უკვე მესამე ადგილზე გადანაცვლებაც აღარ ჩანს უტოპიურად.

X ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ექვსეულის III წრის სტარტზე გუშინ კიდევ ორი მატჩი გაიმართა: „ბასკო“ – „შევარდენი“ 92:65 (ამ შეხვედრის ბედი პირველივე პერიოდში გადაწყვიტეს ვახტანგ ნაცვლიშვილმა და სერგეი დროჟანოვმა), „აზოტი“ – თსუ 95:71 (რუსთაველთაგან განსაკუთრებით მამუკა ტურაშვილი და ირაკლი ჯაფარიძე გამოირჩეოდნენ).

„ბასკო“ – 26, „აზოტი“ – 22, სტუ – 17, „მაქაბი“ – 14, თსუ – 10, „შევარდენი“ – 7 მოგება.

დღეს ვერის ბაღში ითამაშებენ „აზოტი – „შევარდენი“ (12 საათზე), სტუ – თსუ (13 საათსა და 45 წუთზე) და „მაქაბი“ – „ბასკო“ (15 საათსა და 30 წუთზე).

გია პლატონიშვილი.



სურათზე: „აზოტისა“ და თსუ-ს მატჩის მომენტი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

რაგბი

უმაღლესში – უდანაკარგოდ

თაივანთში უფროსი კოლეგების კვალდაკვალ, წარმატებით იასპარეზეს 19 წლამდე მორაგბეთა მსოფლიო პირველობაზე ქართველმა ჭაბუკებმა. როგორც უკვე გაუწყეთ, მათ ჩილეში ნახევარფინალურ მატჩში დაამარცხეს ესპანელები (31:8), რითაც გაინაღდეს გაისად „ა“ ჯგუფში გამოსვლის უფლება.

საქართველოს მორაგბეებმა ასევე დიდი მონდომებით და მაღალოსტატურად ითამაშეს დასკვნით შეხვედრაშიც რუსეთის ნაკრებთან, დაამარცხეს მეტოქე (37:8) და უდანაკარგოდ დაიკავეს პირველი ადგილი და მოიპოვეს მცირე თასი.

დღეს გამარჯვებული გუნდი სამშობლოში დაბრუნდება.

ამირან ბაძრაძე.

ყოველი მხრიდან

პირველი ტყორცნის უფლება

დიახ, ეს ის არის, ყოფილი საბჭოთა კავშირის პირველი და ერთადერთი პრეზიდენტი მიხეილ გორბაჩოვი, რომელიც ახალ სარბიელზე ცდის თავს – იგი ნამდვილ სპორტულ ასპარეზზე გამოვიდა. ამერიკული ტრადიციის მიხედვით ბეისბოლის მატჩში პირველი ტყორცნის უფლება მუდამ საპატიო სტუმარს ეთმობა. ასე იყო ახლაც ტეხასის სკოლების ორი გუნდის – „ეი ენდ ემისა“ და „საი ფეირის“ – ორთაბრძოლით იწყებოდა ადგილობრივი ჩემპიონატი. ყმაწვილებმა უფრო გაიხარეს, ვიდრე პროფესიულმა ბეისბოლის გუნდებმა. მოსწავლეთა შეხვედრა გახსნა ორმა ყოფილმა პრეზიდენტმა, ბურთს სატყორცნად მიხეილ გორბაჩოვს ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტი და ახლანდელი პრეზიდენტის მამა ჯორჯ ბუში უფროსი აწვდიდა.

მეორე დღეს კი აშშ ახლანდელმა პრეზიდენტმა სსრ კავშირის ექსპრეზიდენტს გადასცა ე. წ. „ბუშის ჯილდო“, რომლითაც აღინიშნება პოლიტიკაში თვალსაჩინო წარმატებანი, – წერს „ნოვიერ იზვესტია“.

ლიდერობს „ტრიუმვირატი“

საფრანგეთის ენიენ-ლე-ბანში მიმდინარეობს XVII კატეგორიის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი 10 დიდოსტატის მონაწილეობით. ოთხი ტურის შემდეგ 3-3 ქულით ლიდერობს „შესანიშნავი სამეული“ – რუსეთელი ევგენი ბარეევი, ფრანგი ეტიენ ბაკრო და ჰოლანდიელი ლიუკ ვან ველი. შემდეგ მოდიან ვლადიმერ აკოფიანი (სომხეთი) – 2,5, ჟოელ ლოტიე და ვლადისლავ ტკაჩევი (ორივე – საფრანგეთი) – 2-2, ალექსანდრე გრიშჩუკი (რუსეთი) და კრისტიან ბაუერი (საფრანგეთი) – 1,5-1,5, ლორან ფრესინე (საფრანგეთი) – 1 და ვიორელ ბოლოგანი (მოლდავეთი) – 0,5 ქულა.

დემენტიევამ კურნიკოვას გაუსწრო

გამოქვეყნდა მსოფლიო ჩოგბურთის რეიტინგი 17 აპრილისათვის. მამაკაცთა შორის ქულათა ახლებური ათვლით კვლავ ანდრე აგასი ლიდერობს – 425 ქულა. 52-კვირიანი ქულათა მონაპოვრით კი – მარატ საფინი (4270).

მართალია, არც ქალ ჩოგბურთელთა რეიტინგში მომხდარა არსებითი ცვლილება, მაგრამ ერთი რამ კი შესამჩნევი გახდა – რუსეთელმა ჩოგბურთელმა ელენა დემენტიევამ პირველად უკან ჩამოიტოვა თავისი თანამემამულე ანა კურნიკოვა. მსოფლიო კლასიფიკაციის ლიდერთა შორის დემენტიევა XI ადგილზეა, ხოლო ანა – მეთორმეტეზე.

სპორტის რედაქცია.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ალბომი

ყველას რამე აქვს სახსოვარი

თბილისში, ვერაზე მდებარე ერთ-ერთი საბავშვო ბაღის (დირექტორი თ. ერისთავი) გამოსაშვები ჯგუფი. 1939 წელი.

სურათი მოგვაწოდა ლოლო ლომთაძემ.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

რედაქცია გთხოვთ, მობრძანდეთ დაბეჭდილი სურათების ორიგინალებისათვის. დაკარგვის შემთხვევაში ჩვენ პასუხს აღარ ვაგებთ.

ღიმილის დოზა

– როგორ მოვკლათ ლურჯი სპილო?
– ლურჯი სპილოების მოსაკლავი თოფით.
– როგორ მოვკლათ წითელი სპილო?
– უნდა ყელში წვდე და დახრჩობა დაუწყო, როგორც კი გალურჯდება, უნდა ესროლო ლურჯი სპილოების მოსაკლავი თოფი.
– როგორ მოვკლათ მწვანე სპილო?
– უნდა მოვუყვეთ უხამსი ანეკდოტები, როგორც კი სირცხვილისგან გაწითლდება, ვწვდეთ ყელში, დავუწყოთ დახრჩობა, სანამ არ გალურჯდება. გალურჯდება თუ არა, უნდა მოვკლათ ლურჯი სპილოების მოსაკლავი თოფით.
– როგორ მოვკლათ ყვითელი სპილო?
– სულელო, ყვითელი სპილოები არ არსებობს!

* * *

– რა შესანიშნავი ტყუპები გყავთ!
– არა, ერთი ბიჭია. ოღონდ ძალიან ნერვიულია!

* * *

– რით განსხვავდება ძველი მანქანების გამყიდველი კომპიუტერების გამყიდველისგან?
– ძველი მანქანების გამყიდველმა იცის, როდესაც გატყუებს.

დანაშაული

გამოვლენილია 107 სამართალდარღვევის ფაქტი

ეკოლოგიის პოლიციის მთავარი სამმართველოს ანალიზისა და კონტროლის განყოფილების ცნობით, აპრილის ბოლო კვირის მანძილზე მთავარი სამმართველოს, ეკოლოგიის პოლიციის სამხარეო და რაიონულმა სამსახურებმა გამოავლინეს 107 სამართალდარღვევის ფაქტი. აქედან ყველაზე მეტი, 52 ფაქტი ეხება ხე-ტყის უკანონო ჭრას, 15 თევზის უკანონო ჭერას, 20 გარემოს დაბინძურებას, 8 უხარისხო პროდუქტებით ვაჭრობას და სხვა.

როგორც განყოფილებაში განაცხადეს, მოთხოვნები კიდევ უფრო გამკაცრდება ხე-ტყის უკანონო ჭრისა და უხარისხო პროდუქტებით ვაჭრობის წინააღმდეგ.

საქინფორმი.

მცხეთა-მთიანეთის სამხარეო ადმინისტრაცია სამძიმარს უცხადებს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" სარედაქციო კოლეგიის წევრს, გაზეთის პასუხისმგებელ მდივანს ბონდო მძინარაშვილს მამის

ბოზბან მძინარაშვილის

გარდაცვალების გამო.

გამომცემლობა „სამშობლოს" სამედიცინო სამსახურის თანამშრომლები თამარ ჩაჩიბაია, ქეთი პაჭკორია, მარიამ საგინაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" პასუხისმგებელ მდივანს ბონდო მძინარაშვილს

მამის

გარდაცვალების გამო.

ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს ხელმძღვანელობა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ბოროტმოქმედებთან ბრძოლაში დაიღუპა ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის შს სამმართველოს პოლიციის VIII განყოფილების სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების ინსპექტორი, პოლიციის ლეიტენანტი

შალვა დეკანოიძე

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახის წევრებს.

მეუღლე ცირა ჩხიკვაძე, შვილი მედეა როსებაშვილი, ძმისწულები გიორგი, მაია როსებაშვილები, რძალი ლია დარსაველიძე, მამიდაშვილები ლეილა, ნუნუ იმხნელები, დეიდაშვილი ცისია, სიძე ვახტანგ აბაშიძე, დეიდაშვილისშვილები ზურაბ, ქეთევან აბაშიძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზივი იოსების ძე როსებაშვილი

პანაშვიდი 17, 18 IV, 4 სთ. მისამართი: წმინდა პანტელეიმონის ეკლესია, რჩეულიშვილის ქ. (ძველი ვერის სასაფლაო), დაკრძალვა 19 IV, 3 სთ. გამოსვენება მისამართი: წმინდა პანტელეიმონის ეკლესია, რჩეულიშვილის ქ. (ძველი ვერის სასაფლაო).

საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის საწარმოო ტექნოლოგიური სამმართველო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე სამმართველოს მთავარი სპეციალისტი

ზივი როსებაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე ცირა ჩხიკვაძე, შვილი მედეა როსებაშვილი, ცოლისძმა ილია ჩხიკვაძე, რძალი მზია შევარდნაძე, ცოლისდები ნელი და ნატა ჩხიკვაძეები, ქვისლები ვაჟა წიკლაური და ზურა გუმბერიძე ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზივი იოსების ძე როსებაშვილი

აკადემიკოს ა. ზურაბაშვილის სახ. საქართველოს ფსიქიატრთა საზოგადოება, მ. ასათიანის სახ. ფსიქიატრიის ს/კ ინსტიტუტი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქიატრიისა და სამედიცინო ფსიქოლოგიის კათედრა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფსიქიატრიის კათედრა, ექიმთა დიპლომისშემდგომი განათლების სამედიცინო აკადემიის ნევროლოგიისა და ფსიქიატრიის კათედრა გულისტკივილით აცხადებენ, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ქართველი ფსიქიატრი, მ. ასათიანის სახ. ფსიქიატრიის ს/კ ინსტიტუტის ფსიქიურ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური განყოფილების მეცნიერული ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი

ზივი ბებიაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სს ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები თანაუგრძნობენ დირექტორის მოადგილეს ბატონ თენგიზ ქუჩუკაშვილს მეუღლის

ნათელა არველაძე-ქუჩუკაშვილის

გარდაცვალების გამო.

კავშირი (ასოციაცია) საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამ ორგანიზაციის თანამშრომელი

ტარიელ ხაბეიშვილი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე საიდა ხუხუა, შვილები თემური, ნანა, რძალი ნანა მგელაძე, სიძე მამუკა დუმბაძე, შვილიშვილები გაგა, გიგი, კოკა, ძმისწული ალექსანდრე ჭაჭია, ბიძაშვილები ნუცა, გულიკო, რაჟდენ ჭაჭიები, მამიდაშვილი პეპელა პაჭკორია ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზივი ლარისმანის ძე ჭაჭია

პანაშვიდი 19, 20 IV, 5 სთ. გამოსვენება 21 IV, 2 სთ. მოსაშვილის 5, III სადარბაზო.

ხსოვნა

ვალერიან იაშალაშვილი

საქართველოს პედაგოგიურ საზოგადოებრიობას 70 წლის ასაკში გამოაკლდა კიდევ ერთი უთვალსაჩინოესი წევრი – გარდაბნის რაიონის ტაბახმელის საშუალო სკოლის დირექტორი **ვალერიან იაშალაშვილი.**

პედაგოგობა მისი მოწოდება გახლდათ. ამიტომაც იყო, რომ ტაბახმელის რვაწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური სასწავლებელი დაამთავრა, შემდეგ კი ა. პუშკინის სახელობის თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი.

18 წლისამ დაიწყო მუშაობა ტაბახმელის საშუალო სკოლაში – ჯერ საქმეთა მწარმოებლად, მერე კი მშობლიური ენისა და ისტორიის მასწავლებლად. 1970 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე კი ტაბახმელის საშუალო სკოლის დირექტორი იყო.

თავდადებულად ემსახურებოდა მშობლიური სოფლის ახალგაზრდობის აღზრდას. შესანიშნავი ადამიანი იყო – დამთმობი, დინჯი, მოსიყვარულე, დახვეწილი ინტელიგენტი, სკოლაში არასოდეს ისმოდა მისი ხმამაღალი ლაპარაკი. პედაგოგიური კოლექტივი მისი ხელმძღვანელობით ერთ მუშტად შეიკრა და დაირაზმა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მაღალ დონეზე წარსამართავად.

ტაბახმელის საშუალო სკოლა ნიადაგ აქტიურად მონაწილეობდა რაიონულ თუ რესპუბლიკურ ღონისძიებებში. ამიტომაც არის, რომ ცრემლი ახრჩობს სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს, მის გაზრდილ მოსწავლეებს და მათ მშობლებს, სოფლის მოსახლეობას.

ბატონმა ვალერიანმა მართლაც სახელდენად განვლო პედაგოგიური მოღვაწეობის თითქმის ნახევარსაუკუნოვანი გზა.

თავდადებული მუშაობისათვის მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები, მათ შორის ხალხთა მეგობრობის ორდენი. ის ნაადრევად, მაგრამ ვალმოხდილი მიდის ამ ქვეყნიდან და ასეულობით აღზრდილის ნათელი მოგონება რჩება განსვენებულ უაღრესად კულტურულ, სპეტაკ და კეთილსინდისიერ პედაგოგზე.

გლოვობს მთელი სოფელი, რაიონის პედაგოგიური საზოგადოებრიობა, მისი ტკბილი და ლამაზი ოჯახი: მეუღლე, შვილები და შვილიშვილები.

მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის სათაყვანებელი მშობლიური ტაბახმელის მიწა.

გარდაბნის რაიონის გამგეობა, რაიონის განათლების განყოფილება, ტაბახმელის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი.

მიხეილ უგულავა

გარდაიცვალა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის არაორგანული ქიმიის კათედრის ღვაწლმოსილი და საპატიო წევრი, პროფესორი მიხეილ მელიტონის ძე უგულავა. იგი დაიბადა 1915 წლის 8 იანვარს წულუკიძის რაიონის სოფ. ნახახულევში. მან 1940 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტი და იმავე წელს ჩაირიცხა არაორგანული ქიმიის კათედრის ასპირანტურაში.

ბატონი მიხეილი 1944 წლიდან შესაშური ენერგიით ემსახურებოდა ახალგაზრდობის აღზრდას არჩეული სპეციალობით დაკვალიანებაში; იყო შესანიშნავი მეცნიერი და ბრწყინვალე ლექტორი, მთელი კათედრის კეთილმოსურნე დამრიგებელი და მოძღვარი, მან ჭეშმარიტად მდიდარი და შინაარსიანი ცხოვრებისა და შრომის გზა განვლო.

პროფ. მ. უგულავას ლექციები გამოირჩეოდა მაღალი აკადემიური დონით და მეთოდური გამართულობით. მისთვის არ არსებობდა კარგი და ცუდი სტუდენტი, იგი ყველასათვის ერთნაირად იხარჯებოდა. ბატონი მიხეილის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა ეხებოდა ჩვენი ქვეყნის წიაღისეული რესურსების შესწავლა-რაციონალური გამოყენების ახალ შესაძლებლობათა დადგენას.

პროფ. მ. უგულავას ეკუთვნის 80-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომი, რომელთაგან ორი მონოგრაფიაა. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 3 საკანდიდატო და ერთი სადოქტორო დისერტაცია. მისი თანაავტორობით გამოიცა დამხმარე სახელმძღვანელო „არაორგანული ქიმიის ლაბორატორიული პრაქტიკუმი", რომელმაც ქიმიკოსთა მთელი თაობები აღზარდა.

სამამულო ომის პერიოდში ბატონი მიხეილი უნივერსიტეტში აქტიური მუშაობისათვის დაჯილდოებული იყო მედლით „მამაცური შრომისათვის 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში". ამას გარდა, მიღებული ჰქონდა რამდენიმე მედალი, მათ შორის გამოირჩეოდა ივანე ჯავახიშვილის მედალი.

1971-1973 წლებში პროფ. მ. უგულავა იყო არაორგანული ქიმიის კათედრის გამგე და შემდგომ წლებში კათედრის გამგის მოადგილე. ასევე წლების მანძილზე იყო საკანდიდატო დისერტაციების საბჭოსა და ქიმიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრი.

განსწავლული და შეუდარებელი პედაგოგი, მომთხოვნი და სამართლიანი აღმზრდელი, მართალი და ალალი – იგი ასეთად დარჩება ჩვენს ცნობიერებაში.

თსუ არაორგანული ქიმიის კათედრა.

ოთარ ყანჩელი

ქართველ მშენებელთა რიგებს მოულოდნელად გამოაკლდა ბატონი **ოთარ ყანჩელი.**

ოთარ ყანჩელი დაიბადა თბილისში 1932 წლის 3 ივნისს. საშუალო სკოლა დაამთავრა 1950 წელს. ამავე წელს ჩააბარა გამოცდები და ჩაირიცხა თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში, ხიდებისა და გვირაბების ფაკულტეტზე.

1957 წლიდან ო. ყანჩელი მუშაობდა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე ინსტიტუტში და თბილისის ორგანიზაციებში.

ო. ყანჩელის საინჟინრო საქმიანობა გაგრძელდა ტრესტ „ორგტექმშენისა" და საწარმოო-სამშენებლო სამონტაჟო გაერთიანება „თბილქალაქმშენის" მთავარი ინჟინრის თანამდებობებზე. მისი უშუალო მონაწილეობით აშენებულია მსხვილბლოკოვანი, მსხვილპანელოვანი, კარკასულპანელოვანი და ინდივიდუალური პროექტებით საცხოვრებელი სახლები, სკოლები, საბავშვო ბაღები და ბაგა-ბაღები, საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტები, საინჟინრო ქსელები და სხვ.

ო. ყანჩელი დამსახურებულად იყო აღიარებული როგორც ღვაწლმოსილი პრაქტიკოსი მშენებელი. მისი ღვაწლი მთავრობის მიერ მრავალჯერ იქნა აღნიშნული ორდენებითა და მედლებით, მინისტრთა საბჭოს პრემიებით.

ახლახან ოთარ ყანჩელი დამოუკიდებელი საქართველოს ღირსების ორდენის კავალერი გახდა.

1991 წლიდან ბატონი ოთარი ნაყოფიერად იღვწოდა საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროში მშენებლობის სამშენებლო ინდუსტრიისა და საშენი მასალების სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობაზე.

უდროოდ წავიდა ჩვენგან ადამიანი, რომელიც თავისი ჰუმანურობით, ოპტიმიზმით, დიდი ერუდიციით, საქმის უანგარო სიყვარულით ყველა მისი მეგობრის, კოლეგის, თანამშრომლის პატივისცემით სარგებლობდა.

ნათელში ამყოფოს ღმერთმა მისი სული.

ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრო.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
მოწვევა საკონკურსო ვაჭრობაზე

ქ. ბათუმის მერიის სანიტარიული დასუფთავების სპეცავტომეურნეობისათვის ნაგავმზიდი და შლამსასრუტი მანქანების მიწოდება

1. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს საკონკურსო ვაჭრობაზე დაინტერესებულ ორგანიზაციებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ დალუქული კონვერტები საკონკურსო წინადადებებით ქ. ბათუმის მერიის სანიტარიული დასუფთავების სპეცავტომეურნეობისათვის ნაგავმზიდი და შლამსასრუტი მანქანების მიწოდებაზე (Ref.No. BATUMI ICB-003/01), რაც მოიცავს:
ლოტი 1: ნაგავმზიდი ა ტიპის (2 ცალი)
ლოტი 2: ნაგავმზიდი ბ ტიპის (1 ცალი)
ლოტი 3: ნაგავმზიდი გ ტიპის (4 ცალი)
ლოტი 4: შლამსასრუტი მანქანა (2 ცალი)
კონკურსში მონაწილე ორგანიზაციებს უფლება აქვთ, წარმოადგინონ წინადადება ნებისმიერ ლოტზე. წინადადებების შეფასება და კონტრაქტის მინიჭება მოხდება თითოეულ ლოტში ცალ-ცალკე. წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს ცალკეული ლოტის მოთხოვნათა სრულ ჩამონათვალზე. წინადადება, რომელიც ცალკეულ ლოტში სთავაზობს მოთხოვნილ რაოდენობაზე ნაკლებ მანქანას, ჩაითვლება როგორც არადამაკმაყოფილებელი და არ განიხილება.
2. საკონკურსო ვაჭრობა ჩატარდება საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობის პროცედურების თანახმად, რომლებიც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოში შესყიდვებისათვის. საკონკურსო წინადადებას, რომელიც სთავაზობს საქართველოში წარმოებულ საქონელს, შეფასებისას მიენიჭება უპირატესობა აღნიშნული სახელმძღვანელოს პროცედურების შესაბამისად.
3. დაინტერესებულ მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია და გაეცნონ საკონკურსო დოკუმენტაციას საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში ქვემოთ მოყვანილ მისამართზე, 10 სთ-დან 18 სთ-მდე.
4. საკონკურსო დოკუმენტაციის სრული კომპლექტი ინგლისურ ენაზე კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ წერილობითი განაცხადის წარდგენისას ქვემოთ მოყვანილ მისამართზე, თითოეული კომპლექტისთვის აუნაზღაურებადი 100 ლარის, ან 50 აშშ დოლარის გადახდისას. დამატებითი 100 ლარის (ან 50 აშშ დოლარის) გადახდა იქნება საჭირო, თუ დოკუმენტები უნდა გადაიგზავნოს რომელიმე მოცემულ მისამართზე. გადახდა შეიძლება მოხდეს საბანკო ჩეკის ან შემდეგ ანგარიშზე პირდაპირი გადარიცხვის საშუალებით:
თბილუნივერსალბანკი, თბილისი, საქართველო
SWIFT: TBILGE22 C/A № 185051
Societe Generale, New York, USA
SWIFT: SOGEUS33
სავალუტო ანგარიში № 3618000448
სალარე ანგარიში № 3608000763
ბენეფიციარი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
დოკუმენტი გადაიგზავნება საკურიერო ფოსტის მეშვეობით.
5. საკონკურსო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს ქვემოთ აღნიშნულ მისამართზე არაუგვიანეს 2001 წლის 30 მაისის 12 საათისა. მათ თან უნდა ახლდეს წინადადების უსაფრთხოების საბანკო გარანტია 8,000 ლარის ოდენობით (ან ეკვივალენტურ თანხაზე კონვერტირებად ვალუტაში). დაგვიანებული წინადადებები უარყოფილი იქნება, ყველა საკონკურსო წინადადება გაიხსნება კონკურსის იმ მონაწილეთა თანდასწრებით, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს დაესწრონ წარმოდგენილი წინადადებების გახსნის პროცედურას, 2001 წლის 30 მაისს 12.10 საათზე, ქვემოთ მოყვანილ მისამართზე:
საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
თბილისი, 380077,
ვაჟა-ფშაველას გამზ. № 41.
ტელ: 94-32-40; 94-29-47.
ფაქსი: 94-04-39.
ელ. ფოსტა:
MDF@WANEX.NET

განცხადება

იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში არსებული იუსტიციის სასწავლო ცენტრი სთავაზობს სასამართლო აღსრულების დეპარტამენტში ვაკანტური ადგილების დაკავების მსურველებს, გაიარონ ერთთვიანი მოსამზადებელი კურსი, რომელიც დასრულდება გამოცდითა და შესაბამისი მოწმობის გაცემით.

ცნობებისათვის მიმართეთ იუსტიციის სასწავლო ცენტრს. საბუთების მიღება წარმოებს 2001 წლის 27 აპრილამდე მისამართზე: **იუსტიციის სამინისტრო, რუსთაველის 30.**

ტელ: 98-42-69.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
მოწვევა საკონკურსო ვაჭრობაზე (ბიდინგზე)

ქ. ბათუმში ტბელ აბუსერიძის ქუჩაზე გამავალი კანალიზაციის კოლექტორის დაზიანებული უბნის აღდგენა

1. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი საკონკურსო ვაჭრობაზე იწვევს დაინტერესებულ ორგანიზაციებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ დალუქული კონვერტები საკონკურსო წინადადებებით ქ. ბათუმში ტბელ აბუსერიძის ქუჩაზე გამავალი კანალიზაციის კოლექტორის დაზიანებული უბნის აღდგენითი სამუშაოების წარმოებაზე, რაც მოიცავს ტბელ აბუსერიძის ქუჩაზე (გრიბოედოვისა და ჯავახიშვილის ქუჩებს შორის კვარტალში) კოლექტორის დაზიანებული მონაკვეთის აღდგენას, არტეზიული ჭის მოწყობას, მიწის სამუშაოებს და სხვა სამუშაოებს (კონტრაქტის № BATUMI/NCB-004/01).
2. საკონკურსო დოკუმენტაცია (და აგრეთვე დამატებითი ასლები) კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ მუნიციპალური განვითარების ფონდში მისამართზე: თბილისი, 380077, ვაჟა-ფშაველას გამზ. № 41, ტელ: 94-32-40, 94-29-47, ფაქსი: 94-04-39. თითოეული კომპლექტისათვის აუნაზღაურებადი 50 ლარის გადახდისას დაინტერესებულ მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.
3. საკონკურსო წინადადებები ძალაში უნდა იყოს 90 დღის განმავლობაში კონკურსის გახსნის დღიდან და მათ თან უნდა ახლდეს წინადადების უსაფრთხოების საბანკო გარანტია 2.000 ლარის ოდენობით (ან ეკვივალენტურ თანხაზე კონვერტირებად ვალუტაში). საკონკურსო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში ზემოთ აღნიშნულ მისამართზე არაუგვიანეს 2001 წლის 22 მაისს 12 საათისა, ყველა საკონკურსო წინადადება გაიხსნება კონკურსის იმ მონაწილეთა თანდასწრებით, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს, დაესწრონ წარმოდგენილი წინადადებების გახსნის პროცედურას.

გახსენება

ვიქტორ ნიკოლაიშვილი

შენი სიცოცხლე დამთავრდა 13 მარტს. ლამაზად დატოვე ეს წუთისოფელი, უძლური აღმოჩნდი სიკვდილის წინაშე, მიუხედავად იმისა, რომ სულიერად ძლიერი ადამიანი იყავი. უამრავი ლამაზი მოგონება დაგვიტოვე შვილებს. სული გაგვეყინა. შენი მონატრება გვაცივებს, ვერ წარმოგვედგინა როგორ უნდა გვეცხოვრა უშენოდ, ჩვენ შენ გვიყვარხარ. ოჯახისთვის, ნათესავებისთვის, მეზობლებისთვის კაცობის ეტალონად დარჩი. სათუთად ვეფერებით ყველა მოგონებას შენზე, ყველა შენახულ ნივთს და ეს გვატანინებს ტკივილს. შენს საფლავს გეფიცებით, არასდროს შევარცხვენთ შენს სახელს. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ შენი შვილები ვართ.

შენი ბენიკო, ნატო, ნინო.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-98"

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, როლანდ ბასილაშვილი, გურამ გოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, გიორგი ლალიაშვილი, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბექა ჭედია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები – „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი ბონდო გულიაშვილი.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება – ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა – PRESS-98@CAUCASUS.NET

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსში, ხოშტარიას 29.